# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№135(12814) 11 ივნისი ხუთშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი




## ცინცაძე ესტონეთის საუკეთესო მოთამაშეა!

მას და სარეკიძეს თვალი ძლიერმა კლუბებმა დაადგეს

» გვერდი 12

მატჩის შემდეგ



ექტორ კუპერი გუშინდელი მატჩის დროს

# ტირი ტირანაში

## კუპერმა მიზანი კარგად გაასწორა, ბედიაშვილმა კი...

**ექტორ კუპერმა** მოლდოვასთან მატჩის შემდეგ სასტარტო შემადგენლობა მკვეთრად გადაახალისა - შვიდი ფეხბურთელი შეცვალა და ისეთ შედეგს მიაღწია, იმ შეხვედრის მერე გულს რომ არ შეგილონებს.

**ლომაია, შაშიაშვილი, კვახაძე, კვირკველია, გოცირიძე, დაუშვილი** და **ალექსიძე** - მათ ნაცვლად სენიორ კუპერმა ძირითადში **ბედიაშვილს, ლობჟანიძეს, კაშიას, სეთურიძეს, მერებაშვილს, რაზმაძესა** და **დვალიშვილს** უხმო. ორი შეცვლა იძულებითი იყო - **გოცირიძე** და **კვახაძე** დაშავებულები არიან.

მოლდოვასთან მატჩის მერე კუპერმა გვითხრა, გაბრაზებული ვარო. გუშინ კი მისი განვრთნილი ნაკრები წინა შეხვედრაზე უკეთ თამაშობდა და მწვრთნელსაც ფეხბურთელებისადმი სამდურავი რა უნდა ჰქონდეს?!

საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მეათე მატჩი ვერ მოიგო, მაგრამ ახლა ამას ვინღა ჩივის - საქართველომ სტუმრად ალბანეთთან არ წააგო და ეს უკვე საქმეა ამ გუნდისთვის.

კუპერმა პირველად ათამაშა სასტარტოში დვალიშვილი და მიზანშიც ზუსტად მოარტყა. დვალიშვილი პირველ ტაიმში ჯარასავით ტრიალებდა, მონდომებული და სატევარივით მახვილი გახლდათ, აკი გოლიც გაიტანა და ნაკრებს გამარჯვების შანსი მისცა.

ბედიაშვილმა კი ისეთი გოლი გაუშვა... თამაშს ხანდახან ერთი კაცი იგებს, მაგრამ ერთი კაცი ვერ წააგებს თამაშს. ფეხბურთს თავისი ზნე აქვს და რაღაც არ გამოდის, რომ ვერმოგება ერთ კაცს დაჰბრალდეს. საქართველოს ნაკრებს კი გუშინ მოგება, ალბათ, არ ეკუთვნოდა.

ეს კარგი ფრე იყო, გოლიანი და იმედიანი... თურმე საქართველოს ნაკრებშიც კი რაღაცის შეცვლა შესაძლებელი ყოფილა. ახლა მთავარი ის უნდა იყოს, კიდევ რა ცვლილებებს მიმართავს კუპერი, ვისაც საქართველოს ნაკრებში სიჯიუტე თითქოს წესად ჰქონდა გადაქცეული.

ნაკრებში უკვე შინაურულად გრძნობს თავს მერებაშვილი - ვფიქრობთ, ამით კიდევ ერთი პოზიტივი გამოდნა გუშინდელი მატჩიდან. ცუდი კი ის იყო, გაშვებული გოლის შემდეგ ჩვენს ნაკრებს თითქოს გზა და კვალი რომ აერია, მაგრამ არც ალბანეთი აღმოჩნდა დიდი ხვითო...

**დავით თავართქილაძე**

» გვერდი 2 უფრო ვრცლად



გუშინ ტირანაში. ალბანეთი-საქართველო 1:1 საქართველოს ნაკრებიდან ერთადერთი გოლი ვლადიმერ დვალიშვილმა (მარცხნივ) გაიტანა

## ექტორ კუპერი: ბევრი რამ სასიკეთოდ შევცვალეთ

ტირანაში, „ქემალ სტაფაზე" გამართული გუშინდელი მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია არ ჩატარებულა. თუმცა ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **სანდრო ცნობილაძის** დახმარებით, **ექტორ კუპერის** კომენტარი მოვიპოვეთ:

„მნიშვნელოვანი იყო, რომ სწრაფი გოლით დავწინაურდით. პირველ ტაიმში უპირატესობა გვქონდა, ბურთსაც ვაკონტროლებდით და თამაშის სადავეებსაც ვფლობდით... კარგად ჩატარებული პირველი 45 წუთის შემდეგ, ვფიქრობ, ჩვენს გუნდში დაღლილობამ იჩინა თავი. სამწუხაროდ, აბსოლუტურად დაუმსახურებელი გოლი გაგვიტანა მეტოქემ. მეორე ტაიმში, კონტრშეტევაზე, კიდევ შეგვეძლო ბურთის გატანა, მაგრამ... ვერ მოვახერხეთ. ვინც თამაში ნახა, ალბათ, დამეთანხმება, რომ მოლდოვასთან თამაშის შემდეგ ჩვენი ნაკრების ეს მატჩი მართლაც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ფეხბურთელებისგან ბევრი მოვითხოვე და ეს გუნდის თამაშზეც აისახა. ისინი ამჯერად უფრო მოტივირებულები იყვნენ და მნიშვნელოვნად უკეთაც ითამაშეს, ვიდრე თბილისში მოლდოვასთან. მთლიანობაში, ტირანის მატჩმა ოპტიმისტურად განმაწყო და დამანახვა, რომ ბევრი რამ სასიკეთოდ შევცვალეთ და სწორ გზას ვადგავართ".

**დავით ცაგაძე**



## ცხადაძე ინტერის თავკაცი გახდა

ფეხბურთის ფედერაციას თავსატეხი გაუჩნდა...

» გვერდი 3

გუშინ კი, ცხადაძის შეგირდებმა ალბანელ თანატოლებთან 1:0 წააგეს

## უკეთესი თამაში უარესი შედეგით

» გვერდი 2

ამხანაგური მატჩი

10.06. ტირანა. ქემალ სტაფა. 2 000 მაყურებელი

**ალბანეთი-საქართველო 1:1**

0:1 დვალიშვილი (2), 1:1 აგოლი (59)

ალბანეთი: უიკანი - ვანგიელი (55. ა. ლილა), ბექირი, დალკუ (46. ბილიკბაში), ცური - მუზაკა (46. ბერიშა), ვილა (80. ტელი), აგოლი, ბულკუ - სალიჰი (70. გ. ლიკა), კაპლანი (55. ჰიკა).

საქართველო: ბედიაშვილი - ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, გ. კაშია, ფოფხაძე - რაზმაძე, კობიაშვილი (83. კლიმიაშვილი), სეთურიძე, მერებაშვილი (59. მარცვალაძე) - იაშვილი (78. დაუშვილი), დვალიშვილი (65. ალექსიძე).

არბიტრი: ა. სტავრევი (მაკედონია)

**სტატისტიკა**

| | | |
|---|---|---|
| 6 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 1 | კარში დარტყმა | 3 |
| 8 | ჯარიმა | 1 |
| 0 | კუთხური | 4 |
| 2 | თამაშგარე | 2 |

**სტენოგრამა**

2. იაშვილმა პასი მერებაშვილს გადაანოდა, რომელმაც მარცხენა ფლანგიდან შესანიშნავად ჩააწოდა და ლადო დვალიშვილმა თავით სტუმართა კარის მაღალი მარჯვენა კუთხე დალაშქრა - 0:1.

7. ქართველთა დაცვის მარცხენა ფლანგზე ალბანელებმა გაინავარდეს, იქიდან სახიფათო ჩაწოდებული კი ხიზანიშვილმა თავით მოიგერია.

9. დვალიშვილი და ალბანელი ცური შეეჯახნენ თავებით ერთმანეთს. მათ სამედიცინო დახმარება ალმოუჩინეს, თამაში ორივემ განაგრძო.

19. დაინიშნა პირველი კუთხური მატჩში, რომელიც კობიაშვილმა ჩააწოდა.

20. ბედიაშვილმა გამოსვლაზე დაბნეულად ითამაშა, თუმცა მან მაინც შეძლო სიტუაციის განმუხტვა, მასპინძელთა ფორვარდის ფეხებში ჩავარდნით.

22. საქართველოს ნაკრები აშკარა გოლს გადაურჩა, მეკარე კვლავ დაიბნა და ქართველი მცველები ზედიზედ 4-ჯერ (!) გადაეღობნენ მასპინძელთა დარტყმებს.

23. იაშვილმა თავით გადაუგდო ბურთი კარის ბაქანზე დვალიშვილს, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია... ოფსაიდი.

34. ერთდროულად ორმა ქართველმა (იაშვილი, დვალიშვილი) „მოჰპარა" ბურთი ალბანელ ვაგიელის, შეტევა დვალიშვილმა განაგრძო, საჯარიმოს ხაზამდე მივიდა და საკმაოდ სახიფათოდ დაარტყა მარცხენა დაბალ კუთხეში... კუთხური.

36. ალბანელებმა პირველად დაარტყეს კარისკენ (ვილა), თანაც ხელსაყრელი ადგილიდან, მაგრამ ბურთი ლამის გვერდით ხაზზე გადავიდა, იმდენად არაზუსტი იყო დარტყმა.

46. კობიაშვილმა ალბანელთა კარში ჯარიმა დაარტყა.

51. მერებაშვილი კარგად შევიდა მარცხენა კუთხიდან საჯარიმოში, მაგრამ ცუდად ჩააწოდა და მცველმა სიტუაცია განმუხტა.

59. აგოლიმ ძალიან შორიდან დაარტყა ბურთი ლამის გაგორდა მინდორზე, მაგრამ ბედიაშვილმა მაინც დააგვიანა რეაქცია - 1:1.

68. კობიაშვილი საჯარიმოს ხაზთან დაჯარიმდა, ალბანელებმა (აგოლი) ბურთი ცოცხალ კედელს გაარტყეს.

79. კაშიამ დასწრებაზე ითამაშა და განმუხტა სიტუაცია საჯარიმოში, ალბანელები ამაოდ ითხოვდნენ პენალტს.

93. საქართველოს ნაკრები აშკარა გოლს გადაურჩა, ლიკას ჩაწოდებულის შემდეგ... ფრე - 1:1.

*P.S. თამაში ინტერნეტის საშუალებით ვნახეთ. სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი ტექნიკური მიზეზის გამო, მატჩის ბოლო 6 წუთის ნახვა ვერ მოვახერხეთ.*



გურამ კაშია (№3) და სალიჰი

# აგოლი, ა გოლი!

## მთავარი პოზიტივი: დვალიშვილი საჭირო კაცია

როგორც უნდა შევაფასოთ გუშინდელი თამაშის ხარისხი „ქემალ სტაფაზე", მწვრთნელების მიერ შემოთავაზებული ტაქტიკური სქემები, ფაქტია, მატჩის ბედი 59-ე წუთზე ერთმა, ერთი შეხედვით არცთუ სახიფათო დარტყმამ გადაწყვიტა - მანამდე საქართველოს ნაკრების კართან მხოლოდ ერთი რეალური საგოლე მომენტი იყო შექმნილი, „ტირანას" ნახევარმცველის **ანსი აგოლის** მოქნეულმა ცაციამ დაახლოებით 35 მეტრიდან სახტად დატოვა ჩვენი გუნდის 29 წლის დებიუტანტი მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილი** - 1:1. ეს იყო აგოლის სადებიუტო გოლი შკიპერიელ „არწივთა" შემადგენლობაში. ამის შემდეგ **ექტორ რაულ კუპერის** გუნდს, ჩვეული სენი შეეყარა, ნაკრები აირია. საბედნიეროდ, ალბანელებს კლასი არ ეყოთ ამ შემთხვევებისთვის თორემ, თამაშს ლოგიკურ წერტილს დაუსვამდნენ. ნეტავი გენახათ, როგორ უშნოდ იქნევდნენ მათი შემტევები ფეხებს და ტანს, რა მანძილით აცილებდნენ ბედიაშვილის კარს ისინი ბურთებს...

მანამდე კი რაც იყო, მართლაც გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე „მიხეილ მესხზე" 4 დღის წინათ ვნახეთ. კუპერმა „მოლდოვური" შემადგენლობიდან მხოლოდ 4 კაცი დატოვა სასტარტოში და წარმატებასაც მალევე მიაღწია - **გიორგი მერებაშვილმა** საგოლე პასი მიითვალა, ხოლო **ლადო დვალიშვილმა** ქვეყნის პირველ გუნდში მეორე მატჩში პირველი გოლი გაიტანა. პირველ ტაიმში ჩვენი გუნდი მწყობრად თამაშობდა, აქტიურობდა შუა ხაზში და გაცილებით აგრესიული იყო მეტოქეზე. არ ვამბობთ, რომ ჩვენები ვარსკვლავებს ციდან წყვეტდნენ, მაგრამ ალბანელებს კი სჯობდნენ. კუპერის სატკივარს დაცვის მარცხენა ფლანგზე ჩავარდნები და მეკარის ნერვიულობა წარმოადგენდა. სამაგიეროდ, ლადო დვალიშვილი ორივე გუნდში საუკეთესო იყო. ის მეტოქის დაცვასაც ატერორებდა, საჰაერო დუელშიც თამამად შედიოდა და უკან ჩამოსვლასაც არ თაკილობდა. 23-ე წუთზე ლადომ მეორეც შეაგდო, მაგრამ **ალექსანდრე იაშვილის** თავური პასის მომენტში ის ნახევარი მეტრით წინ იყო უკანასკნელ მცველზე. მანამდე წუთით ადრე კი საქართველოს ნაკრები აშკარა გოლს გადაურჩა, მეკარემ საჯარიმოში ვერ განმუხტა სიტუაცია, ალბანელთა ოთხ დარტყმას კი ამდენჯერვე გადაეღობნენ (მეტად ტრაგი-კომიკური სიტუაცია იყო ჩვენს კართან) ქართველი მცველები და ბურთი ბედიაშვილამდე არ მიუშვეს, კიდევ კარგი, თორემ ჩვენი გოლკიპერი იმ მომენტში ძალიან დაბნეული ჩანდა...



მარცხნიდან: უჩა ლობჟანიძე, სალიჰი, ლუკა რაზმაძე და ალექსანდრე იაშვილი

შესვენების შემდეგ მოპირდაპირე ტრიბუნა, რომელიც პირველ ტაიმში თითქმის ცარიელი იყო, მესამედით შეივსო. ეტყობა იქაც უბილეთოები შემოუშვეს. მეორე ტაიმი პირველის ანალოგიურად დაიწყო, ალბანელები უკბილოდ თამაშობდნენ, დვალიშვილი ბევრად ველარ ამწვავებდა ქართველთა თამაშს, თუმცა საშიშროებაც არსაიდან ჩანდა. მასპინძელთა თამაში ძალიან გამოაცოცხლა „მაინცის" 20 წლის ნახევარმცველმა **იაჰმირ ჰიკამ**, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ საპასუხო გოლი რაიმე ლოგიკურ ჯაჭვში ჯდებოდა...

იაშვილის მოედნიდან გაყვანის შემდეგ ცხადი იყო, რომ კუპერმა სანუკვარ მოგებაზე ოცნების ნაცვლად ფრის შენარჩუნებას მიჰყო ხელი, რაც მის გუნდს წარმატებით გამოუვიდა. თუმცა ძალიან არასასიამოვნო სანახავი იყო დროის გამყვანი საქართველოს ნაკრები, რომელიც ძალიან, ძალიან პატარა პოზიტიურ შედეგს ასე იოლად დაყჰაბულდა...

ნიკოლოზ ნეფარიძე

## U21 უკეთესი თამაში უარესი შედეგით

### ცხადაძე: თავდასხმაში უნდა მოვუმატოთ

10.06. დურესი. ნიკო დოვანა. 700 მაყურებელი

**ალბანეთი-საქართველო 1:0**

1:0 კარაბიტი (87)

საქართველო: კვასხვაძე - თომაშვილი, თოთაძე, ხიდეშელი (90. ხურცილავა), კაკუბავა - ნემსაძე, შონია (79. ბოლქვაძე), მაისურაძე (71. ბარაბაძე), თარხნიშვილი (79. ადამაძე) - თარგამაძე (46. კბილცეცხლაშვილი), ფანცხავა (46. ივანიშვილი).

გაფრთხილება: შონია (34)

არბიტრი: ა. იანკუ

როგორც ალბანეთში მყოფი ჩვენი დელეგაციის წევრებთან საუბრისას შევიტყვეთ, **კახა ცხადაძის** გუნდმა გუშინ უკეთ ითამაშა, ვიდრე გასულ პარასკევს რუსთავში, მოლდოვასთან მოგებულ შეხვედრაში. თუმცა ეს საბოლოო შედეგშიც ვერ აისახა...

მატჩის პირველ 15 წუთში მასპინძლები დომინირებდნენ. ალბანელებმა სწრაფი გოლის გატანა სცადეს, მაგრამ **როინ კვასხვაძემ** და ჩვენი გუნდის დაცვამ საწყის შეტევებს გაუძლო და მეტიც - ტაიმის შუაწელში საქართველო თავად დაეუფლა უპირატესობას და შესვენებამდე არაერთი ხიფათიც შექმნა, თუმცა **დავით თარგამაძემ** და **ვახტანგ ფანცხავამ** საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. ნახევარდაცვაში ჩინებულად ირჯებოდნენ **ვაჟა ნემსაძე** და **თემურ შონია**, დაცვაც საიმედოდ გამოიყურებოდა, მაგრამ...

შესვენებისას ცხადაძემ ცვლილებები განახორციელა, რითიც მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერა. მოგვიანებით, თამაშში ჩაერთვნენ **ბარაბაძე, ბოლქვაძე** და **ადამაძეც**. ალბანელთა კართან სიმშვიდე კიდევ არაერთხელ დაირღვა, მაგრამ გოლი ვერაფრით გავიტანეთ. ამიტომაც დაისაჯა ჩვენი ნაკრები მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე. არბიტრის მიერ კომპენსირებულ დროში ქართველებმა თამაშის გადარჩენა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ.

*„მატჩის საწყის 15 წუთს თუ არ ჩავთვლით, თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით და უპირატესობაც საგრძნობი გვქონდა. სამწუხაროდ, გოლი ვერ გავიტანეთ და შეხვედრის მიწურულს, ელემენტარული შეცდომა გოლად დაგვიჯდა. არადა, ვთვლი, რომ ალბანეთთან უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე შინ მოლდოვასთან. ჩვენი გუნდის დაცვა და შუახაზი კარგად გამოიყურებოდა. თავდასხმაში კი სამუშაო გვაქვს. ამდენი საგოლე მომენტიდან ერთი მაინც უნდა გამოგვეყენებინა, თუ მეტი არა"*, - ასე შეაჯამა მატჩი ცხადაძემ.

დავით ცაგაძე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

სფფ

# ფედერაციამ ყრილობა დანიშნა!

## ალმასკომი 12 ივნისს გაიმართება

დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი რჩებოდა ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომის გამართვის თარიღი. როგორც ცნობილია, უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება თბილისის „ამერმა“ და „სამტრედიამ“ მოიპოვეს. უმაღლესში დარჩა ახალციხის „მესხეთიც“, თუმცა არც ერთ მათგანს მთავარ ლიგაში სათამაშოდ აუცილებელი ლიცენზია არ გააჩნია. ამ დროს კი ლიცენზია მიიღეს უმაღლესიდან გავარდნილმა „გაგრამ“ და ცხინვალის „სპარტაკმა“. შესაბამისად, ამ კლუბის მესვეურები იმედოვნებენ, რომ „მესხეთის“, „ამერის“ ან „სამტრედიას“ ადგილს დაიკავებენ.

მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, „ამერმა“ დოკუმენტაციაზე მუშაობა თავად არ ისურვეს. „სამტრედიას“ ხელმძღვანელობა კი უმაღლესში გადასვლაზე არც ფიქრობდა და როცა ეს ამოცანა რეალური გახდა, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს დოკუმენტაციის შეგროვება და ამის გამო ფედერაციაში საბუთების წარდგენა ორი დღით დაუგვიანდათ. აქედან გამომდინარე, კლუბი ამტკიცებს, რომ სალიცენზიო პირობების შესრულება მათთვის პრობლემა არ იქნება.

რომელი კლუბი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში, ამას ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი გადაწყვეტს. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **უჩა უგულავას** თქმით, ალმასკომის სხდომა პარასკევს, 12 ივნისს, 12 საათზეა დანიშნული.

ამას გარდა, დიდი ხნის განმავლობაში ვრცელდებოდა ჭორები, თითქოს ფედერაცია რიგგარეშე ყრილობის მოწვევას აპირებდა. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ საქმე სხვაგვარადაა:

*„ეს იქნება არა რიგგარეშე, არამედ ჩვეულებრივი, გეგმური საანგარიშო ყრილობა. თარიღიც დადგენილია, ყრილობა 29 ივნისს გაიმართება“,* - გვითხრა უჩა უგულავამ.

**მერაბ მამულაშვილი**

მოულოდნელი გადაწყვეტილება

# ცხადაძე ინტერის მთავარი მწვრთნელი გახდა

## აქაც და იქაც გამოვა? ფეხბურთის ფედერაციას თავსატეხი გაუჩნდა...

გუშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ალბანეთთან ამხანაგურ მატჩში **კახა ცხადაძემ** დამოძღვრა. თუმცა ვინ იქნება შესარჩევი ციკლის დაწყებისთვის გუნდის მთავარი მწვრთნელი, ჯერჯერობით უცნობია. ბაქოს „ინტერის“ ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაცია აზერბაიჯანის ყველა სააგენტომ გაავრცელა - ცხადაძეს სწორედ ქვეყნის უმდიდრესი კლუბი ჩააბარეს.

*„ბაქოს „ინტერის“ აქციონერთა კრებაზე გადაწყდა, რომ კლუბის მთავარ მწვრთნელად კახა ცხადაძე დაინიშნა, რომელიც მანამდე ბაქოს „სტანდარდში“ მუშაობდა. ყოფილი მწვრთნელი, 70 წლის ვალენტინ ხოდუკინი, რომელიც გუნდში 2005 წლიდან მუშაობს, საფეხბურთო პროექტების მენეჯერის პოსტზე დატოვეს. ცხადაძე, რომელიც 2008 წლის იანვრიდან დეკემბრამდე „სტანდარდში“ მუშაობდა, თავი მხოლოდ საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. გუნდმა მეშვიდე ადგილი დაიკავა, რაც ამ კლუბისთვის კარგი შედეგი იყო. თუმცა ამ დროისთვის ცხადაძე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობს“,* - იუწყება „ინტერის“ პრესსამსახური.

დარჩება თუ არა ცხადაძე ახალგაზრდულ ნაკრებში და რა გახდა ნაკრებიდან მისი წასვლის მიზეზი? კომენტარისთვის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **უჩა უგულავას** დავუკავშირდით:

*„სიმართლე გითხრათ, ცხადაძის „ინტერში“ დანიშვნა ჩემთვის იმდენად მოულოდნელი ამბავი აღმოჩნდა, ჯერ ვერაფერს გიპასუხებთ. კახამ პარასკევს, მოლდოვასთან მატჩის შემდეგ გვითხრა, რომ აზერბაიჯანში ინვევდნენ. „ინტერის“ წინადადება მივიღე, საკმაოდ კარგ პირობებს მთავაზობენ და ამ კლუბში უნდა ვიმუშავოო. იყო ლაპარაკი ორივე პოსტის შეთავსებაზეც, მაგრამ ახლა ვერ გეტყვით, ფედერაციაში ამაზე რა გადაწყვეტილებას მივიღებთ. თებერვალში მასთან ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა - ანუ, ახალგაზრდულ ნაკრებში მას ციკლის ბოლომდე უნდა ემუშავა“.*

ცხადაძეს ახალგაზრდულ ნაკრებში გაცილებით ნაკლები ხელფასი აქვს, ვიდრე მისი წინამორბედებს - **რალფ მინგე** და **პეტარ შეგრტს**. ახალგაზრდულ ნაკრებში დანიშნულმა მინგემ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უნიკალური გადაწყვეტილება მიიღო - საკუთარ გუნდს პირველივე შეხვედრაზე, ლიტვაში არ გაჰყვა და და ფარერის კუნძულებზე ეროვნული ნაკრების მატჩზე წაბრძანდა. ეტყობა, ესოდენ დიდი „პასუხისმგებლობისთვის“ იღებდა ციკლში 700 ათას დოლარს. თქვენ წარმოიდგინეთ, ცხადაძეზე მეტი ხელფასი ჰქონდა 19-წლამდელთა ნაკრების თავკაც **ჰაინც ტოპმიოლერსაც** - 300 ათასი დოლარი. ეს კიდევ არაფერი, 17-წლამდელთა ნაკრებში გერმანელი **ჰერბერტ ცანკერის** ხელფასი 170 ათასს აღწევდა.

ბუნებრივია, აზერბაიჯანის უმდიდრეს კლუბში მიწვევის შემდეგ, ცხადაძეს ფინანსების მხრივ არჩევანი არ რჩებოდა. სხვა საქმეა, რომ ის ახალგაზრდულ ნაკრებს სჭირდებოდა და შესარჩევი ციკლის დაწყებამდე გუნდის მიტოვება სასურველი არ იყო.



კახა ცხადაძე

შევიტყვეთ ისიც, რომ ცხადაძის „ინტერში“ ასისტენტად **ზაურ სვანაძის** წაყვანა სურს. მასთან ერთად ის თბილისის „ლოკომოტივსა“ და ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობდა. ცხადაძე „ინტერს“ თურქეთში დაგეგმილ შეკრებაზე შეუერთდება. 2 ივლისს კი ბაქოელები ევროპის ლიგის გათამაშებაში ჩაერთვებიან. წლევანდელი ჩემპიონატი „ინტერმა“ მეორე ადგილზე დაასრულა და ჩემპიონ „ბაქოს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა. გუნდი ქვეყნის თასის ფინალშიც დამარცხდა და ხოდუკინიც სწორედ ამას შეეწირა. სხვათა შორის, ცხადაძეს ლენქორანის „ხაზარის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიც შესთავაზეს, მაგრამ მან „ინტერი“ ამჯობინა, რადგან კლუბის მეპატრონეებს კარგად იცნობს - მის ყოფილ კლუბ „სტანდარდსა“ და „ინტერს“ ხომ ერთი დამფინანსებელი ჰყავს...

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ




ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჭი, რომელიც ბოლომდე ჯერ არ დახარჯულა - სანდრო იაშვილის კარიერა [illegible]. ის არასდროს ყოფილა ნაცრისფერი ფეხბურთელი, საქართველოში სადაც კი მივიდა, ყველაგან ფიგურა იყო, თუმცა ყველგან და ყოველთვის ერთნაირი წარმატებით არ უთამაშია.

„ანჟიში“ გადასვლამდე იაშვილი ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა, შვეიცარიიდან დაბრუნებულს უკეთესი ვარიანტი არ გამოუჩნდა. იაშვილი მართლაც არაორდინარული ფეხბურთელია...

წლეულს გაზაფხულიდან კი მას მახაჩყალის „ანჟიში“ უნდა დაეწყო თამაში, კლუბთან კონტრაქტიც გააფორმა, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო დაღესტანში ჯერაც ვერ ჩადის. იგივე პრობლემა შეექმნათ „ანჟის“ სხვა ქართველ ახალწვეულებსაც, თუმცა ერთმა მათგანმა უკვე მოახერხა რუსული ვიზის მიღება...

# ოპტიმისტი უნდა იყო და ცოტა ცივსისხლიანიც

## მწვრთნელი და ფეხბურთელი ერთმანეთზე საჯაროდ არ უნდა ლაპარაკობდნენ

**- კახა ალადაშვილს, ოთარ მარცვალაძეს და შენ, სავიზო პრობლემები შეგექმნათ. თუმცა ალადაშვილმა მოახერხა ამ საკითხის მოგვარება და უკვე გუნდთან ერთადაა. რატომ ვერ ახერხებთ ამას შენ და მარცვალაძე?**

- ალადაშვილს გაუმართლა და მას ვიზა ჩვენზე ადრე მისცეს. პრობლემა ის არის, რომ საჭირო საბუთებს ვერ მოვუყარეთ თავი.

**- მთელი ამ ხნის განმავლობაში ინდივიდუალურად ვარჯიშობ? როგორ ახერხებ ფორმის შენარჩუნებას?**

- ერთი-ორჯერ გუნდთან ერთადაც ვივარჯიშე, „სიონთან“ და „სპარტაკთან“. რა თქმა უნდა, გუნდთან ერთად რომ ვვარჯიშობ, სულ სხვა არის.

**- შვეიცარიიდან რომ დაბრუნდი, ბოლნისის „სიონში“ მიხვედი, თუმცა ალბათ იყო შანსი, რომ ისევ თბილისის „დინამოში“ გეთამაშა. ალბათ, დაგვეთანხმები, რომ საქართველოში „დინამო“ ყველასგან განსხვავებული გუნდია...**

- არ ვიცი, რატომ, მაგრამ „დინამოში“ ჩემი აყვანა აღარ უნდოდათ. არ ჩათვალეს საჭიროდ, ჩემი იქ დაბრუნება.

**- სანდრო იაშვილზე სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ. უკვე 24 წლის ხარ. ეს ის ასაკია, როცა ფეხბურთელი ფორმის პიკს აღწევს. თუმც ახლა ჩამოშორებული ხარ საფეხბურთო დინამიკას, მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობ და ალბათ დრო საკმაოდ გაქვს იმისთვის, რომ კარგად გააანალიზო განვლილი გზა. მაინც რატომ მოხდა ისე, რომ ჯერჯერობით ბევრს ვერ მიაღწიე?**

- გამართლების ფაქტორი ფეხბურთში ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერი ისე არ აეწყო, როგორც სასურველი იყო, მაგრამ იმედს არ ვკარგავ.

**- „დინამოდან“ შუაგულ ევროპაში, შვეიცარიის „თუნში“ წახვედი. წესითა და რიგით, შვეიცარიიდან უნდა დაწყებულიყო შენი კარიერის ახალი ეტაპი. რამ შეგიშალა ხელი „თუნში“?**

- გუნდი არ იყო რიგიანად დაკომპლექტებული და ასეთ სიტუაციაში ყველას უჭირდა თავის გამოჩენა. „თუნის“ შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა. არ იყო კარგი ატმოსფერო, რაც ფეხბურთელის ნერვებზე, ზოგადად, უარყოფითად მოქმედებს. „თუნის“ ფეხბურთელთა უმეტესობა ასეთ დღეში იყო.

**- როგორც უნდა იყოს, წლები გადის და სანდრო იაშვილის მნიშვნელოვანი წინსვლა ჯერ არ ჩანს. იღბალი მართლაც საჭიროა, მაგრამ საკუთარ თავს არაფერს აბრალებ?**

- ფეხბურთის კანონები და პროფესიონალი ფეხბურთელის ცხოვრება - სხვა ნაბიჯები არ გადამიდგამს. ალბათ მეც გამიმართლებს, როცა ახალ გუნდში მოვეწყობი და თამაშს დავიწყებ.

**- არაერთი მწვრთნელი გიწუნებდა ხასიათს. ზოგიერთმა ამასთან დაკავშირებით კონკრეტული ფაქტებიც მოიყვანა. არც ერთ მწვრთნელს არ უთქვამს, სანდრო იაშვილი უნიჭოა და კარგი მონაცემები არა აქვსო, მაგრამ შენს ხასიათთან ჰქონდათ პრეტენზიები...**

- შეცდომებს ყველა უშვებს და არც მწვრთნელია უშეცდომო. მთავარია, შეცდომები სისტემატურად არ დაუშვა. მწვრთნელმა ფეხბურთელს საქმის კეთება მოედანზე უნდა მოსთხოვოს და არ უნდა ჩაერიოს მის სხვა საქმეებში. ცხადია, რასაც ფეხბურთელი მოედნის გარეთ აკეთებს, ამასაც აქვს თავისი ზომა და წესი. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ შეცდომა და უხასიათობა სხვადასხვა რამეა და თუ ფეხბურთელმა შეცდომა დაუშვა, ეს არ უნდა დაჰბრალდეს მის ცუდ ხასიათს.

**- ქართველ მწვრთნელებს კი გაეცალე, თუმცა „თუნში“ საქმე კარგად არ წაგივიდა და როგორც შენ ამბობ, ეს იქაური ცუდი ატმოსფეროს ბრალი იყო. რა თქმა უნდა, დალაგებულ საფეხბურთო ქვეყნებშიც არის პრობლემები და სირთულეების გარეშე, ადვილად იქაც არ ეძლევა ფეხბურთელს არაფერი. „თუნი“ მაინც ევროპული შანსი იყო შენთვის...**

- მე კი მიმაჩნია, რომ ეს არ იყო შანსი. მწვრთნელს შეცვლებზე შევყავდი, თანაც მაშინ, როცა ანგარიში მეტოქეს მიჰყავდა.

**- ანუ შანსი და გამართლება ის იქნებოდა, რომ ოთხი წლის წინ გლაზგოს „რეინჯერსში“ შენი ტრანსფერი არ ჩაშლილიყო?**

- რა თქმა უნდა, „რეინჯერსის“ ვარიანტი რომ გამომსვლოდა, ეს მართლაც დიდი შესაძლებლობა იქნებოდა საკუთარი თავის წარმოსაჩენად. როგორც უნდა იყოს, არ ვფიქრობ, რომ ვინმეს იმედი გავუცრუე - შეგიძლიათ ეს იმ მწვრთნელებსაც ჰკითხოთ, რომლებიც მენდობოდნენ.

**- ზოგი მწვრთნელი შენზე ამბობდა, ისეთი ფეხბურთელია, მთლიანად გუნდი უნდა აეწყოს მასზეო...**

- მე საწინააღმდეგო აზრი მაქვს. არასდროს მომითხოვია, რომ გუნდი ჩემზე ყოფილიყო აწყობილი. ერთიც უნდა ვთქვა - ფეხბურთელს საქართველოში იმავეს რომ სთხოვ, რასაც უცხოეთში სთხოვენ, მაშინ პირობებიც იგივე უნდა იყოს. მაგალითად, მოედანზე რომ გადიხარ, არ უნდა გქონდეს იმის შეგრძნება, რომ საფეხბურთო მინდვრის ნაცვლად ყანაში ხარ. მოკლედ, ფეხბურთელებს ისეთი რამ უნდა მოსთხოვო, რასაც მართლა აზრი აქვს.

**- ივო შუშაკი, გია გეგუჩაძე, გიორგი დევდარიანი, კახა ცხადაძე, დუშან უჰრინი - ყველაზე უფრო რომელ მწვრთნელთან გრძნობდი თავს კომფორტულად?**

- დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, თუმცა თუ გადახედავთ სტატისტიკას, ძნელი გამოსაცნობი არ იქნება, როდის ვითამაშე ყველაზე წარმატებულად. თქვენ მიერ ჩამოთვლილი ხუთივე მწვრთნელი კარგი სპეციალისტია და თითოეულ მათგანს თავისი აზრი აქვს, უბრალოდ, ზოგი უფრო მენდობოდა, ზოგი კი - ნაკლებად. მიმაჩნია, რომ მწვრთნელი და ფეხბურთელი ერთმანეთზე საჯაროდ არ უნდა ლაპარაკობდნენ. ფეხბურთელმა მწვრთნელს პატივი უნდა სცეს და იგივე დამოკიდებულებას უნდა გრძნობდეს მწვრთნელისგანაც. ასე კეთდება საქმე, ეს არის ნამდვილი თანამშრომლობა.

**- სამი წლის წინანდელ ამბავს გაიხსენებ, როცა საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ალბანეთში ჩავიდნენ ამხანაგური მატჩებისთვის. ჯერ ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ითამაშა და როგორც შევიტყვეთ, თამაშის შემდეგ შენთან კლაუს ტოპმიოლერი მოვიდა და სანაკრებო პერსპექტივაზე ჩამოგიგდო სიტყვა.**

- ასეთი საუბარი მართლაც შედგა, ტოპმიოლერმა მითხრა, თუ რამდენიმე კილოგრამს დაიკლებ, კარგი იქნებაო.

**- ეს ხომ ფაქტობრივად იმას ნიშნავდა, რომ ტოპმიოლერი შენით სერიოზულად დაინტერესდა...**

- მერე რა მოხდა?! ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გავხდი (2007 წელს, როცა „დინამოს“ მწვრთნელი **დუშან უჰრინი** იყო - ავტ.) და ნაკრებში ერთხელაც არ გამომიძახეს. ეს ის შემთხვევაა, როცა კითხვა უკვე მე უნდა დავსვა. რაც მოხდა, ეს იყო ეროვნული ჩემპიონატის და პირადად ჩემი უპატივცემულობა. რაც შეეხება ზედმეტ კილოგრამებს, იმ საუბრის შემდეგ წონა მართლაც დავიკელი.

**- ჩვენი ინფორმაციით, გერმანული „კობლენცი“ რომ დაინტერესდა შენით, ტოპმიოლერის სამწვრთნელო შტაბიდან ამ კლუბის მესვეურებმა შენზე არცთუ კარგი რეკომენდაცია მიიღეს. გსმენია ამის შესახებ?**

- ვერაფერს გეტყვით, მე თვითონ ასეთი რამის მომსწრე არ ვყოფილვარ.

**- როგორც უნდა იყოს, წლები გავიდა და სანდრო იაშვილი არ არის იმ სიმაღლეზე, რომელზეც მისი ნიჭის პატრონი უნდა იყოს. ასეთი სიტუაციიდან როგორ უნდა დააღწიოს თავი ფეხბურთელმა?**

- ოპტიმისტი უნდა იყო და ცოტა ცივსისხლიანიც. მთავარი კი ის არის, რომ გჯეროდეს საკუთარი თავის და იმის, თუ რეალურად, რა შეგიძლია. შეუძლებელი კი არაფერია - ვინც ასე ფიქრობს, ის დიდ პრობლემებს არ გადააწყდება. „ანჟის“ მწვრთნელი ომარ თეთრაძე მენდობა და მის გუნდში მელოდებიან. „ანჟი“ პრემიერლიგაში აპირებს გადასვლას და მჯერა, რომ ამას მოვახერხებთ.

**- მაინც რომელი იყო ის პერიოდი, როცა დაწინაურების ყველაზე მეტი შანსი გქონდა? ყველაზე კარგად შენი კარიერის რომელი ეტაპი გახსენდება?**

- ივო შუშაკის დროს თბილისის „დინამოში“ ისეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ, რომ ამ გუნდს მართლა შეეძლო კარგი ფეხბურთის თამაში. ამის მერე გავხდი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი. ვფიქრობ, წინ კიდევ მაქვს ბევრი წელი, რომ უკეთესი განცდები მივიღო.

**- ყველაზე უფრო რომელი გოლი გახსენდება?**

- 2002 წელს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გერმანიასთან და პოლონეთთან რომ გავიტანე. ამის მერე იყო არაერთი ეფექტური გოლი საქართველოს ჩემპიონატში... ცარიელ კარში კი გოლი რატომღაც არასდროს გამიტანია.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# კვლავ ნომინანტებსა და... გემოვნებაზე



ლევან ცქიტიშვილი

ზუსტად ერთი კვირის წინ, „ლელომ“ სეზონი შეაჯამა და საკუთარი ვერსიით სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებიც დაასახელა; ტრადიციულად, ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრებიც შევადგინეთ და, რალა თქმა უნდა, ამ „სიმბოლურში“ მხოლოდ თერთმეტი ფეხბურთელი მოხვდა. მოკლედ, ახსნა-განმარტება იმიტომ დაგვჭირდა, რომ, როგორც გაირკვა, სეზონის სიმბოლურ ნაკრებსაც და რამდენიმე ნომინაციაში ჩვენს არჩევანს, აზრთა სხვადასხვაობა გამოუწვევია; ერთი მხრივ, ამაში მოულოდნელი არც არაფერია - ბოლოს და ბოლოს, ყველას საკუთარი შეხედულება აქვს ფეხბურთზე და კონკრეტულად ჩვენი ჩემპიონატის გამორჩეულ მოთამაშეებზე. ალარაფერს ვამბობთ „ჩვეულებრივ“ თუ „ტრადიციულ“ გამოთქმაზე - გემოვნებაზე ხომ არასდროს დაობენ! თანაც, ყველა ნომინანტის გამოვლენაც და სეზონის სიმბოლური ნაკრების შედგენა ერთპიროვნულად არავის მიულია; პირიქით - „ლელოში“ მომუშავე ქართულ ფეხბურთზე მწერალ ჟურნალისტთა, ასე ვთქვათ, შიდა გამოკითხვის შედეგების მიხედვით იყო. ალარაფერს ვამბობთ ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმზე: თავის ამპლუაში ფეხბურთელი თითქმის ყოველ მეორე ტურში „სიმბოლურ ნაკრებში“ რომ მოხვდება, რა ბევრი ფიქრი სჭირდება იმას, რომ ამ მოთამაშეს სეზონის სიმბოლურში მოხვედრაზე უნდა ჰქონდეს სამართლიანი პრეტენზია; აი, მაგალითად, მეკარეთა შორის, სეზონის განმავლობაში, **გიორგი ლომაია** ყველაზე ბევრჯერ (რვაჯერ) დავასახელეთ „ტურის ნაკრებში“ და სეზონის შეჯამებისას, მასზე წინ ვინ უნდა დაგვეყენებინა? იმედია, „სეზონის მწვრთნელის“ კანდიდატურა მაინც არ გამოიწვევდა აზრთა სხვადასხვაობას: ციფრებით რომ ვიხელმძღვანელოთ, **რამაზ მუმლაძეს** კონკურენტებზე ხშირად ვასახელებდით „ტურის მწვრთნელად“; ალარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ რამაზ მუმლაძემ საკუთარ გუნდს... ჩემპიონობა მოაპოვებინა.

...ფეხბურთელებს შორის, აბსოლუტური რეკორდსმენი არ გვყოლია: ყველაზე მეტჯერ (რვაჯერ) ტურის სიმბოლურში გიორგი ლომაიას გარდა **ლევან ცქიტიშვილს** და **ნიკოლოზ გელაშვილს** ვასახელებდით. თანაც, ცქიტიშვილის მიღწევა უფრო ფასეულია - „ლოკომოტივის“ და საერთოდ, ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ხომ მხოლოდ... პირველ ეტაპზე იასპარეზა! აქვე, საპირისპირო შემთხვევებზეც უნდა ვთქვათ: შესაძლოა, კონკრეტული ფეხბურთელი თანაამპლუელზე ცოტაჯერ იყო მოხვედრილი „ტურის სიმბოლურში“, მაგრამ, სამაგიეროდ... „სეზონის ნაკრებში“ მოვუძებნეთ ადგილი. აქ კი, უპირველეს ყოვლისა, ამ ფეხბურთელის სტაბილურობით და გადამწყვეტ თუ პრინციპულ შეხვედრებში ასპარეზობას ვითვალისწინებდით.

მოკლედ, საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატი თუ მართლაც სკანდალური აღმოჩნდა, ნამდვილად არ გვინდა, რომ „ლელოს“ არჩევანსაც... სკანდალურ-არაობიექტურის ელფერი ჰქონდეს. ახლა კი შემოგთავაზებთ ჩემპიონატის ყველა ფეხბურთელისა და მწვრთნელის „მონაგარს“; ანუ, „ლელოს“ ვერსიით, ვინ რამდენჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში...

**გია ტუხაშვილი**

| | |
|---|---|
| **მწვრთნელები** | |
| რამაზ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია) | 6 |
| ვარლამ კილასონია (ოლიმპი) | 4 |
| თემურ მახარაძე (ზესტაფონი) | 3 |
| რაინერ ცობელი (დინამო) | 3 |
| ოთარ კორღალიძე (სიონი) | 3 |
| სერგო გაბელაია (სპარტაკი) | 3 |
| კახა კაჭარავა (დინამო) | 2 |
| ვლადიმერ ხაჩიძე (გაგრა) | 2 |
| კობა თედიაშვილი (მესხეთი) | 2 |
| ბესიკ შეროზია (მგლები) | 2 |
| გია გეგუჩაძე (ზესტაფონი) | 1 |
| გიორგი სუხიაშვილი (ბორჯომი) | 1 |
| **მეკარეები** | |
| გიორგი ლომაია (ლოკომოტივი) | 8 |
| ბექა შეყრილაძე (ბორჯომი) | 4 |
| რევაზ თევდორაძე (გაგრა) | 3 |
| გიორგი სოლხიშვილი (მესხ./მგლები) | 3 |
| გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფ./სიონი) | 2 |
| ზურაბ მამალაძე (მგლები/ზესტ.) | 2 |
| როინ კვასხვაძე (ზესტაფონი) | 2 |
| ზვიად სტურუა (ოლიმპი) | 2 |
| დიდიე ოვონო (დინამო) | 1 |
| ზურაბ ბათიაშვილი (მესხეთი) | 1 |
| **მცველები** | |
| დავით ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| თენგიზ ჩიკვილაძე (ოლიმპი) | 7 |
| ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია) | 5 |
| როინ ონიანი (ზესტაფონი/მგლები) | 5 |
| გურამ კაშია (დინამო) | 5 |
| მილოშ კრშკო (დინამო) | 4 |
| გიორგი ონიანი (ოლიმპი) | 4 |
| ერნესტ აკუასაგა (ოლიმპი) | 4 |
| თემურ ლონლაძე (ოლიმპი) | 3 |
| გიორგი რეხვიაშვილი (მგლ./ოლიმპი) | 3 |
| ლევან ხმალაძე (დინამო) | 3 |
| გიგა ბეჭვაია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| დავით გიგაური (გაგრა) | 3 |
| ლაშა ჯანგიძე (სპარტაკი) | 3 |
| ჟილვან ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| ლაშა ჯაფარიძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| ზაალ ელიავა (დინამო/ლოკომოტივი) | 2 |
| ნოდარ მაჭავარიანი (ოლიმპი) | 2 |
| გულვერდ თომაშვილი (დინამო) | 2 |
| დიმიტრი ლეკიშვილი (მესხეთი) | 2 |
| უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| მურმან ძურასბედიანი (სიონი/სპარტ.) | 2 |
| მაკარ აძუბარდია (მგლები) | 2 |
| გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი) | 2 |
| ირაკლი ვაშაკიძე (სიონი) | 1 |
| რევაზ ძემოკლიძე (სიონი) | 1 |
| დავით სვანიძე (სიონი) | 1 |
| ვლადიმერ კაკაშვილი (სიონი) | 1 |
| სერგი ორბელაძე (სიონი) | 1 |
| გიორგი კვახაძე (მესხეთი/სპარტაკი) | 1 |
| შალვა ლონდაძე (ზესტ./სპარტაკი) | 1 |
| დაჩი ფოფხაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| ნიკა გუმარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| დავით ხურცილავა (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| ვლადიმერ კოზლენკო (გაგრა) | 1 |
| ნიკა მგელაძე (გაგრა/ვიტ ჯორჯია) | 1 |
| გივი ძარძუზაშვილი (ბორჯ./სპარტ.) | 1 |
| ზაზა ლაცაბიძე (ბორჯომი) | 1 |
| **ნახევარმცველები** | |
| ლევან ცქიტიშვილი (ლოკომოტივი) | 8 |
| ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| გიორგი სეთურიძე (ოლიმპი) | 7 |
| ალექსანდრე კოშკაძე (სიონი/დინამო) | 7 |
| გიორგი კახელიშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| დავით ოდიკაძე (დინამო) | 4 |
| შოთა კაშია (დინამო) | 4 |
| ლევან შარიძაძე (გაგრა) | 4 |
| შოთა ბაბუნაშვილი (ოლიმპი) | 4 |
| ირაკლი ჩირიკაშვილი (ლოკომოტივი) | 4 |
| გიორგი ნერგაძე (დინამო) | 3 |
| ოლეგ გველესიანი (დინამო) | 3 |
| გივი დიდავა (სიონი) | 3 |
| გ. მერ. ხიდეშელი (სპარტაკი/სიონი) | 3 |
| კახა მახარაძე (ლოკომოტივი) | 3 |
| მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი) | 3 |
| ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი) | 3 |
| გიორგი გულორდავა (მგლები) | 3 |
| თენგიზ შონია (სპარტაკი) | 2 |
| რევაზ წულაძე (ლოკომოტივი) | 2 |
| დავით დიღმელაშვილი (დინამო) | 2 |
| გიორგი მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| გიორგი კვალინიძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| ვალტერ გუჩუა (მგლები) | 2 |
| ზაზა ჭელიძე (სიონი) | 2 |
| თამაზ ჩარგეიშვილი (გაგრა) | 2 |
| შოთა გრიგალაშვილი (მესხ./ზესტ.) | 2 |
| ვიტალი დარასელია (ლოკომოტივი) | 1 |
| ირაკლი სამხარაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| გიორგი დიაკვნიშვილი (ლოკომოტ.) | 1 |
| გიორგი ფეიქრიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| გიორგი გაბიდაური (ოლიმპი/მესხ.) | 1 |
| გოგა ფიფია (ოლიმპი) | 1 |
| გიორგი დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.) | 1 |
| პაატა დათუნაიშვილი (მგლები) | 1 |
| ვლადიმერ ჯოჯუა (მგლები) | 1 |
| არჩილ ბაჯელიძე (მგლები) | 1 |
| კობა შალამბერიძე (სპარტ./სიონი) | 1 |
| ნიკა კვასხვაძე (ზესტაფონი) | 1 |
| ირაკლი ძარია (ზესტაფონი) | 1 |
| ლევან სანიკიძე (სიონი) | 1 |
| გიორგი ცხადაია (გაგრა) | 1 |
| ზამორა დათუნაშვილი (გაგრა) | 1 |
| ერეკლე ფილია (გაგრა) | 1 |
| გელა ხუბუა (სიონი/ოლიმპი) | 1 |
| გიორგი ჩივაძე (სიონი/სპატაკი) | 1 |
| ლაშა ვაშაკიძე (ბორჯომი/მესხეთი) | 1 |
| ვაჟა ნემსაძე (დინამო) | 1 |
| ნიკოლოზ ჯიმშარიანი (დინამო) | 1 |
| დანილო ტომიჩი (დინამო) | 1 |
| **თავდამსხმელები** | |
| ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) | 8 |
| ჯაბა ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| მათე ვაწაძე (დინამო) | 6 |
| გიორგი მერებაშვილი (დინამო) | 6 |
| გიორგი გაბედავა (გაგრა) | 6 |
| გიორგი მეგრელაძე (ოლიმპი) | 6 |
| გიორგი ჭედია (მგლები) | 6 |
| ირაკლი კიკნაძე (ბორჯომი) | 4 |
| ილია სპასოევიჩი (დინამო) | 4 |
| გია თოდუა (მგლები) | 4 |
| ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| გურამ სამადაშვილი (მესხეთი) | 3 |
| კოკა მიკუჩაძე (ოლიმპი/სიონი) | 3 |
| შალვა კვანტალიანი (ლოკომოტივი) | 2 |
| გიორგი ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| ილია პაპლიაშვილი (ბორჯომი) | 2 |
| დონალდ ჯუისი (დინამო) | 2 |
| სანდრო იაშვილი (სიონი) | 2 |
| რატი ალექსიძე (ლოკომოტივი) | 2 |
| ზურაბ იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| ბექა გოცირიძე (ზესტაფონი) | 1 |
| ლევან მელქაძე (ზესტაფონი) | 1 |
| ირაკლი შენგელია (სიონი) | 1 |
| სულიკო დავითაშვილი (სიონი) | 1 |
| მიხეილ ბოზოხიძე (სიონი) | 1 |
| მამუკა ლონდაძე (სპარტაკი) | 1 |
| ზვიად მეტრეველი (გაგრა/სპარტაკი) | 1 |
| ირაკლი სირბილაძე (სპარტაკი) | 1 |
| დავით ჩაგელიშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| ბაჩანა ცხადაძე (გაგრა) | 1 |

მოსალოდნელი ტრანსფერები



გიორგი სეთურიძე კარლ ცაისში თამაშის დროს

# სეთურიძე ისევ გერმანიაში?

საქართველოს ნაკრებში წარმატებული დებიუტის შემდეგ, არ არის გამორიცხული, **გიორგი სეთურიძემ** კარიერა ისევ გერმანიაში გააგრძელოს. მართალია, საქართველომ მოლდოვასთან საზიზღრად ითამაშა, მაგრამ რუსთავის „ოლიმპის“ მარჯვენა ნახევარმცველმა სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. სეთურიძეს „ზესტაფონში“ გადასვლა შესთავაზეს, მაგრამ ევროპაში დაბრუნების იმედად გიორგიმ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა. ის ხომ მეორე ბუნდესლიგის „კარლ ცაისში“ ირიცხებოდა...

როგორც შევიტყვეთ, მოლდოვასთან მატჩის შემდეგ, სეთურიძეს რამდენიმე მენეჯერი დაუკავშირდა და თანამშრომლობა შესთავაზა. ერთ-ერთ მათგანს გერმანული ბუნდესლიგის კლუბის ვარიანტიც ჰქონდა. მალე გაირკვევა, რამდენად რეალურია ეს წინადადება. ბოლოდროინდელი იმედგაცრუებების ფონზე, ძნელი დასაჯერებელია, ბუნდესლიგის კლუბმა საქართველოს ჩემპიონატიდან მოთამაშე აიყვანოს, მაგრამ... ვინ იცის...

**მერაბ მამულაშვილი**

# განუგრავას დიორში?

## რატომ არ გამოიძახეს ოდიკაძე ნაკრებში

**ექტორ კუპერმა** ბოლო ამხანაგურ შეხვედრებში **დავით ოდიკაძე** არ გამოიძახა. „დიორი ეტოს“ ქართველმა ლეგიონერმა ძირითად შემადგენლობაში თითქმის ყველა შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ რამდენიმე რამდენიმე ტური გამოტოვა - ისიც ტრავმის გამო. ეს ხომ არ გახდა მისი გამოუძახებლობის მიზეზი?

*„სიმართლე გითხრათ, მიზეზი ჩემთვის უცნობია. ტრავმა არაფერ შუაშია, რადგან თამაშები ჩემპიონატის შუაში გამოვტოვე. ახლა კი ჯანმრთელად ვარ და ბოლოს სრული დატვირთვით ვვარჯიშობდი. ტელევიზიით აჩვენეს სიუჟეტი ნაკრებზე, სადაც თქვეს, რომ ამ შემთხვევაში ოდიკაძეზე უარი გარკვეული მიზეზით ვთქვითო. ეტყობა, კუპერს უცნობი ფეხბურთელების გასინჯვა სურდა. იმედია, მომავალში ისევ მიმიწვევენ“*, - გვითხრა ოდიკაძემ.



გიორგი განუგრავა

ჩვენი ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, მალე „დიორი ეტოში“ კიდევ ერთი ქართველი გადავიდეს - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი და კაპიტანი **გიორგი განუგრავა**. ამჟამად, გიორგი უგუნდოდაა. ბოლოს ის ჩეხეთის უმაღლესი ლიგის კლუბ ბოლესლავის „მლადაში“ გამოდიოდა. თუმცა, როგორც გაირკვა, „ზესტაფონს“ მასზე გარკვეული უფლებები დღემდე აქვს და საკომპენსაციო თანხასაც ითხოვს.

ფეხბურთელმა ინფორმაცია არც დაგვიდასტურა და არც უარყო. შეგახსენებთ, რომ მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან რუსთავში გამართული შეხვედრისას განუგრავას თავი გაუტეხეს და ამის გამო, გუშინ ალბანეთში ვერ ითამაშა.

სხვათა შორის, უნგრული კლუბის ძირითად შემადგენლობაში გადასვლის იმედი აქვს „დიორი ეტოს“ დუბლშემადგენლობაში მოთამაშე **თემურ შარაშენიძესაც**. 17-მა ფეხბურთელმა დუბლშემადგენლობაში თავი გამოიჩინა და შესაძლოა, ადაპტაციის მიზნით ახალი სეზონიდან ძირითად გუნდში ავარჯიშონ.

**მერაბ მამულაშვილი**

განცხადება

„დინამო“ თბილისის საფეხბურთო აკადემია აცხადებს 1993-94-95 წლებში დაბადებულ ბავშვთა შერჩევას.

13-14 ივნისი, 11 საათი.

„დინამოს“ დილმის საწვრთნელი ბაზა

ტელეფონი 53 20 76

ზესტაფონი



# ვუშველოთ კოპიტნარს!

## ონიანი და დვალი გეგუჩაძესთან

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია - შარშანდელი რუსული აგრესიის შედეგებს ახლაც ვიმკით. ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ აგვისტოს ომმა ქართული ფეხბურთიც აზარალა. რუსულმა ბომბდამშენებმა ჩვენი სოფლები, ქალაქები და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები რომ დაბომბეს, მათ შორის იყო კოპიტნარის აეროპორტიც, რომლის ასაფრენი ბილიკი დღემდე შესაკეთებელია. ამიტომაცაა, რომ უკვე თვეებია, კოპიტნარი უფუნქციოდაა.

ქართული ფეხბურთი კადრებით ოდითგანვე რეგიონებიდან მარაგდებოდა. ერთი შეხედვით, რეგიონებში ფეხბურთის განვითარებაზე არა მარტო ფედერაცია, არამედ მთავრობა და თვით სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალიც კი ზრუნავს, რაც ათასგვარი სპორტული თუ საფეხბურთო ობიექტის გახსნაში გამოიხატება - რეგიონებში სპორტის განვითარება ჩვენი პრიორიტეტია და ამ საქმეში ფეხბურთს განსაკუთრებულ ადგილი უჭირავსო, - არაერთგზის გვსმენია.

ჩვენი ქება არ სჭირდება და ისიც ფაქტია, ზესტაფონი და ამავე სახელწოდების ადგილობრივი კლუბი საფეხბურთო რეგიონებიდან ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი გამორჩეული მაინცაა. „ზესტაფონი" ქვეყნის თასის მფლობელი და სამგზის ფინალისტია. გარდა ამისა, უკვე წლებია, რაც ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი მოწინავე გუნდია. მაგრამ რა ხდება დღეს? დღეს „ზესტაფონი" აგვისტოში აგრესიის შედეგებს მწარედ იმკის... ეს ზოგადად, მაგრამ კონკრეტულად...

ზესტაფონის ცენტრალური სტადიონი ევროსტანდარტების დონეზეა მოწყობილი. ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის კლუბი ფინანსებს რომ არ იშურებს, ამის დასტურია ისიც, რომ ჰოლანდიური წარმოების ტრაქტორში (რომელიც 5 კომპონენტისგან შედგება და ამდენივე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს) იმერული კლუბის მესვეურებმა 100 ათასი ევრო გადაიხადეს. სტადიონი კეთილმოწყობილია, განათება და ტაბლო უკვე შეკვეთილია... ამავე დროს, უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა გუნდის გაძლიერებისთვის - შეძენილია 5 ახალი ფეხბურთელი, მათ შორის, უცხოეთიდან ჩამოყვანილი ქართველი ფეხბურთელებიც, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ...

ერთი სიტყვით, სტადიონის კეთილმოწყობიდან დაწყებული, გუნდის გაძლიერებით დამთავრებული, ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ივლისში იმერეთს საფეხბურთო ზეიმი ჰქონდეს. „ზესტაფონი" ევროპის ლიგაზე (ყოფილი უეფას თასი) იასპარეზებს. ტრადიციულად, გუნდის მატჩებს ქომაგები იმერეთის სხვადასხვა ქალაქებიდანაც ესწრებიან. 22 ივნისს გასამართავი წილისყრა გაარკვევს, თუ რომელ გუნდთან მოუწევს დაპირისპირება, მაგრამ საკითხავია, დაფასდება თუ არა „ზესტაფონის" მესვეურთა გარჯა, ექნება თუ არა იმერულ გუნდს საშინაო არენაზე თამაშის უფლება. საქმე ისაა, რომ უეფას რეგლამენტის მიხედვით „ზესტაფონმა" ევროპის ლიგის საშინაო მატჩი მშობლიურ ქალაქში რომ გამართოს, მეტოქე გუნდის მისაღებად აუცილებელია, აეროპორტი 100 კმ-ის რადიუსში იყოს. ამ პირობის გამო, თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებით სარგებლობა გამორიცხულია. რჩება ერთადერთი - კოპიტნარის აეროპორტი. თავის დროზე, სწორედ ამ აეროპორტს იყენებდნენ ქუთაისის „ტორპედო" და ფოთის „კოლხეთი", როცა ევროტურნირებზე უწევდათ ასპარეზობა...

აეროპორტის ასაფრენი ზოლის შესაკეთებლად უსაშველო თანხა ნამდვილად არ არის საჭირო. ამ პრობლემის მოუგვარებლობის გამო, „ზესტაფონი" ევროპის ლიგაზე საშინაო მატჩს მშობლიურ ქალაქში ვერ გამართავს. არა გვგონია, დაძაბული პოლიტიკური ფონის გამო, იმერელთა ეს პრობლემა, პრიორიტეტად ფეხბურთის გამომცხადებელ პრეზიდენტს, სპორტის მინისტრს ან სხვა სახელმწიფო უწყების თავკაცს ახსოვდეთ, თორემ იქნებ, ეს საკითხი აქამდეც მოგვარებულიყო.

დრო კიდევაა. იმედია, ამ პრობლემას 2-3 კვირაში მაინც დაადგება საშველი და საქართველოში უეფას წარმომადგენელი რომ გვეწვევა, ზესტაფონში ევროპის ლიგის მატჩის გამართვაზე არ დაეჭვდება და უმალ მწვანე შუქს აუნთებს.

დაბოლოს, „ზესტაფონის" სატრანსფერო სიახლეებზეც გამცნობთ. იმერულ კლუბთან 2-2 წლიანი კონტრაქტები უკვე გააფორმეს კიშინიოვის „დაჩიას" ფორვარდმა **ჯაბა დვალმა** და რუსთავის „ოლიმპის" მცველმა **გიორგი ონიანმა**.

**დავით ცაბაძე**




სტუმრები

# სიმურგი თბილისში რვა ქართველით ემზადება

## ვლადიმირ პოკორა: თავი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მგონია

**აზერბაიჯანის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი ზაქათალის „სიმურგი" ევროთასებისთვის საქართველოში მოემზადება. ეს უკვე ტრადიციაა. აზერბაიჯანელი სტუმრები სასტუმრო „პრესტიჟში" დაბინავდნენ. „სიმურგი" დილით კარლო მჭედლიძის საფეხბურთო აკადემიაში, საღამოს კი „ლოკომოტივის" სტადიონზე ივარჯიშებს. კლუბის მთავარ მწვრთნელ რომან პოკორას გუნდის გეგმების იმ ნაწილზე ვესაუბრეთ, რომელიც ქართველებს ეხება...**

**- რომან მიხაილოვიჩ, საქართველოში მომზადებას ქართული კლუბები აღარ კადრულობენ, თქვენ კი ეს ტრადიციად აქციეთ...**

- მშვენიერ პირობებში ვვარჯიშობთ, კარგი სპარინგები დავნიშნეთ და რაც მთავარია, აქაური მომზადებით, „სიმურგი" ყოველწლიურად წინ მიდის. ჩვენ დღეს ჩამოვედით და საქართველოში 26 ივნისამდე დავრჩებით. ევროპის ლიგისთვის მოსამზადებლად დიდი დრო არ გვაქვს და რაც არის, ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ, ბევრი ახალი მოთამაშეც უნდა გავსინჯოთ...

**- ...მათ შორის, ბევრი ქართველიც. ასე არ არის?**

- ასეა, რამდენიმე მათგანი გასინჯვაზეა. ბაქოს „ოლიმპიკიდან" რომან ახალკაცი და რევაზ გენაძე მოვიწვიეთ. ახალკაცს უკეთ ვიცნობ. რაც შეეხება გენაძეს, მან აზერბაიჯანში მხოლოდ წელს ითამაშა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. თუმცა ბოლო დროს ტრავმა ჰქონდა და არ ვიცი, ახლა როგორ ფორმაშია. ძალიან მინდა, რომ რუსთავის „ოლიმპის" მარჯვენა მცველი ღონღაძე დავიმატოთ. მე ვნახე საქართველოს თასის ფინალი და ამ ბიჭმა ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. მოსამზადებელ ეტაპზე დავაკვირდები თავდამსხმელებსაც - გია მეგრელაძეს „ოლიმპიდან" და რევაზ გოცირიძეს „სიონიდან". ისინი უკვე ჩვენთან არიან. ამას გარდა, „სიონის" ცენტრალური ნახევარმცველის, გიორგი ხიდეშელის ნახვაც გვსურს. ყველას დავაკვირდებით და საუკეთესოებს დავტოვებთ.

**- „სიმურგში" აქამდე ოთხი ქართველი თამაშობდა. ოთხივე დარჩება?**

- რა თქმა უნდა, დოლიძე, ბოლქვაძე, მახვილაძე და ჩხეტიანი „სიმურგში" რჩებიან, რადგან კლუბთან მოქმედი კონტრაქტები აკავშირებთ. დოლიძემ მენისკის ოპერაცია გაიკეთა, ტრავმა მოირჩინა და კარგია, რომ ვარჯიში განაახლა. ისე, 8 ქართველს ერთად ვავარჯიშებ და თავი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მგონია.

**- ამხანაგური შეხვედრები რომელ კლუბებთან დაგეგმეთ?**

- რუსთავის „ოლიმპს" ორჯერ შევხვდებით, მატჩებს „ვიტ ჯორჯიასა" და თბილისის „დინამოსთანაც" ვგეგმავთ, თუმცა „დინამოსთან" ჯერ კიდევ შესათანხმებელია (ინტერნეტპორტალ „აზერისპორტის" ინფორმაციაში უზუსტობაა - ზაქათალელთა მეტოქეებად დასახელებული არიან „ოლიმპი", „სიონი" და „ზესტაფონი" - ავტ).

**- ევროპის ლიგაში დებიუტანტი „სიმურგისგან" დიდ წარმატებას ვერავინ მოითხოვს.**

- ევროთასებზე დებიუტანტი ზაქათალაა, თორემ სტაროსტიაკის, მალიგინის, მაზიარის, ბოლქვაძე-ჩხეტიანი-დოლიძე-მახვილაძისთვის სულაც არ არის ახალი ხილი. სულ მცირე, პირველი ეტაპი მაინც უნდა გადავლახოთ. მთავარია, მომზადება მოვასწროთ, რადგან მოკლე პერიოდში ოპტიმალური სათამაშო კონდიციები უნდა აღვიდგინოთ.

### მთავარია სახელმწიფოს დამოკიდებულება

*„სიმურგის" პრეზიდენტი ზაურ მამედოვი ამბობს, რომ საქართველოში მომზადება კარგად დაებედათ:*

- საქართველოში მომზადება კარგად გვაქვს დაცდილი, მე კი ტრადიციას არ ვღალატობ. სამაგიეროდ, ჩვენს ბაზაზე მომზადებას ბოლნისის „სიონი" აპირებს. ქართველები ჩვენი ძმები არიან და ამ კავშირებს ვუფრთხილდებით.

**- ბატონო ზაურ, საქართველოში ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ თურქეთისა და აზერბაიჯანის საფეხბურთო მოდელებზე. თუმცა ჩვენთვის უცნობია, კონკრეტულად რა კანონები შეიცვალა თქვენთან?**

- სახელმწიფო გვეხმარება, მაგრამ მთავარია ჩვენი პრეზიდენტის ნება და მოწოდება ბიზნესმენებისადმი - სპორტს და კერძოდ ფეხბურთს უნდა დაეხმაროთო. ილჰამ ალიევის სიტყვა ამ საქმეში გადამწყვეტი აღმოჩნდა.

**- მოდით, დავკონკრეტდეთ: ზაქათალის ულამაზესი სტადიონი, საფეხბურთო ბაზა და ოლიმპიური მომზადების ცენტრი ვინ ააშენა?**

- სტადიონი კლუბმა ააშენა, რადგან საკმაოდ დიდი ბიუჯეტი გვაქვს, ოლიმპიური ცენტრი კი სახელმწიფოს ნახელავია. თუმცა კლუბის ბიუჯეტიც გარკვეულწილად სახელმწიფოზეა დამოკიდებული. ჩვენი სახელმწიფო მზარდია, ეკონომიკა პროგრესირებს და ბიზნესს განვითარების საშუალება აქვს.

**- ფეხბურთში ინვესტიციების გამო რაიმე შეღავათი მიიღეთ?**

- ფეხბურთში ბიზნესი ზედმეტ ფულს ხარჯავს, ასეა ჩვენთანაც. ილჰამ ალიევის დამსახურებაა, რომ ბიზნესი სპორტისკენ და, კერძოდ, ფეხბურთისკენ გაახედა. თუ მერწმუნებით, ჩვენთან მომხიბლავია არა იმდენად შეღავათები, არამედ, ფეხბურთის უმაღლეს დონეზე განვითარების სახელმწიფოებრივი ინტერესი - ეს ყოველგვარ კანონზე მაღლა დგას. ფეხბურთი ჯანმრთელობა, სოციალური მოვლენაა... როცა ჩვენში ბიზნესმენი წარმატებას მიაღწევს, არა მხოლოდ ოჯახის, არამედ ქვეყანის დახმარებასაც საკუთარ ვალად მიიჩნევს. ალიევს სურს, რომ სპორტი არა მხოლოდ ბაქოში, არამედ რეგიონებშიც განვითარდეს. ქვეყანაც ასეა - მხოლოდ ცენტრის ხარჯზე ვერ განვითარდება.

**- ქართველი ფეხბურთელების თაობაზეც ვისაუბროთ. როგორც გავიგეთ, მათთან კონტრაქტებს აგრძელებთ...**

- რა თქმა უნდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. საქართველოს ფეხბურთში დიდი წარმატებები კომუნისტების დროიდან ჰქონდა და ხალხი ამით ცხოვრობდა. ახლა თქვენთან გაჭირვებაა და კლუბების ძალზე მცირე დაფინანსება აქვთ, მაგრამ საქართველოში ტალანტები მრავლად იყვნენ და ახლაც არიან.

### *რევაზ გენაძე:* შესაძლოა, მაინც რუსთავში დავბრუნდე

„სიმურგში" ნახევარმცველ **რევაზ გენაძის** გასინჯვის ამბავი მოულოდნელი აღმოჩნდა. ბოლო ერთი სეზონი მან აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ კლუბ „ოლიმპიკში" გაატარა. აზერბაიჯანელთა ინტერესზე ამ რამდენიმე ხნის წინათ გვამცნეს, მაგრამ რუსთავის „ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტმა **ზურაბ ჯაფარიძემ** ახლახან გვითხრა - გენაძე ჩვენთან ითამაშებსო. ვითარებაში გასარკვევად კომენტარი თავად ფეხბურთელს ვთხოვეთ.

*„ბაქოელებთან კონტრაქტი დამიმთავრდა. „ოლიმპიკს" ჩემი დატოვება სურდა, მაგრამ პირობები არ გამიუმჯობესეს და ამ წინადადებაზე უარი ვთქვი. საერთოდ, კონტრაქტი რუსთავის „ოლიმპთან" მაქვს, აზერბაიჯანში არენდით ვთამაშობდი. ახლა მეუბნებიან, შენი აყვანა „სიმურგს" სურსო, მაგრამ ჯერ გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ. თუ აქ არ დავრჩი, არ არის გამორიცხული, ისევ „ოლიმპში" დავბრუნდე",* - გვითხრა გენაძემ.



გიორგი მეგრელაძე

### *რომან ახალკაცი:* ოლიმპიკში თვეები ხელფასს არ გვიხდიდნენ

ბაქოს „ოლიმპიკიდან" გუნდის ერთ-ერთი ლიდერის **რომან ახალკაცის** წასვლა ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. თუმცა მას საამისო მიზეზები ჰქონია.

*„ოლიმპიკი" კარგი გუნდია, მაგრამ ბოლო ოთხი თვეა, ხელფასს არ გვიხდიან. მაინცდამაინც, არც თავი გაუგიჟებიათ - გინდა თუ არა, დარჩიო. ჰოდა, მეც წამოვედი. ამ დროს გამოჩნდა „სიმურგის" ვარიანტი და იმედია, კონტრაქტს გავაფორმებთ. თუმცა იმასაც არ დავმალავ, რომელიმე ქართულ კლუბს ნორმალური პირობები რომ შემოეთავაზებინა, შესაძლოა, დავბრუნებულიყავი კიდეც. ზაქათალელებს საინტერესო გუნდი ჰყავთ, ნორმალური პირობები აქვთ, სახლთანაც ახლოს ვიქნები და ამ ყველაფრის გამო, „სიმურგი" ჩემთვის მისაღები ვარიანტია",* - გვითხრა ახალკაცმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# პერესმა კრისტიანო რონალდოც იყიდა?...

## სამეფო კლუბს პორტუგალიელი ვარსკვლავი 96 მილიონი ევრო დაუჯდება. მადრიდელებმა ეს თანხა 26 თვის განმავლობაში უნდა გადაიხადონ


კრისტიანო რონალდო

ესპანური გაზეთები ერთხმად აცხადებენ, რომ **კრისტიანო რონალდო** 30 ივნისამდე მადრიდის „რეალის" სრულუფლებიანი წევრი გახდება. ეს ინფორმაცია ავტორიტეტულმა გამოცემებმა სამეფო კლუბის თანამშრომელზე დაყრდნობით გაავრცელეს. მათი ინფორმატორის კატეგორიული მოთხოვნით, ამ ადამიანის ვინაობა არ გახმაურდა, თუმცა ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი არა მისი ვინაობის დადგენა, არამედ ინფორმაციის მიღება და მისი გაანალიზებაა. დაიწერა, რომ **ფლორენტინო პერესმა** „მანჩესტერ იუნაიტედის" მესვეურებთან მოლაპარაკებები პირადად გამართა და პორტუგალიელ ვარსკვლავთან დაკავშირებით საბოლოო შეთანხმებას მიაღწია. ამთავითვე უნდა გითხრათ, რომ მხარეებს საერთო ენის გამონახვა უკიდურესად გაუჭირდათ. ფლორენტინოს არასოდეს დაუმალავს, რომ კრისტიანო რონალდოს მისი გუნდის ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელად მოიაზრებს. ინგლისელებმა ეს დიდი ხანია იციან. სხვათა შორის, ისინი სენიორ პერესს, განსხვავებით, მშვიდად და სიამოვნებით დაელაპარაკნენ. ბრიტანელებმა ესპანელს თავიდანვე აგრძნობინეს, რომ პორტუგალიელ ვარსკვლავს იაფად არავინ დაუთმობდა. არადა, ფლორენტინომ მათთან დიდი ვაჭრობა წამოიწყო. „რეალის" პრეზიდენტს იმედი ჰქონდა, რომ კოლეგებს თანხის დაკლებაზე დაიყოლიებდა, მაგრამ ალბიონელებმა მას კატეგორიული უარი განუცხადეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით სამეფო კლუბის ინკოგნიტო თანამშრომლის განცხადებას შემოგთავაზებთ:

*„გულშემატკივრებს ძალიან დიდი სიურპრიზი და სიხარული ელით. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ფლორენტინო პერესმა „მანჩესტერთან" საბოლოო შეთანხმებას მიაღწია და კრისტიანო რონალდო გადმოიბირა. პორტუგალიელი ახალი პროექტის მეორე უდიდესი ვარსკვლავია. მოგეხსენებათ, ორი დღის წინ ჩვენ კაკა შევიძინეთ. „მილანთან" გაფორმებული ხელშეკრულებისა და ბრაზილიელის გადაბირების შემდეგ იგი ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახდა, თუმცა უნდა გითხრათ, რომ კაკა ამ სიმაღლეზე დიდხანს ვერ გაჩერდება. ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი სულ მალე სწორედ კრისტიანო რონალდო გახდება. სენიორ პერესმა თანხაზე ძალიან დიდი შემართებით ივაჭრა, მაგრამ, სამწუხაროდ, შედეგს ვერ მიაღწია. თუ იმის პირობას მომცემთ, რომ ჩემს ვინაობას არ გაამხელთ, ერთ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას მოგაწვდით (ინფორმატორმა საამისო გარანტია მაშინვე მიიღო). სამეფო კლუბს კრისტიანო რონალდო 96 მილიონი ევრო დაუჯდება. ბრიტანელებმა სწორედ ეს თანხა მოითხოვეს. სენიორ ფლორენტინომ ისინი ერთ კომპრომისზე მაინც დაითანხმა. აღნიშნულ თანხას, ჩვენ ეტაპობრივად, 26 თვის განმავლობაში გადავიხდით. მოკლედ, ეს საქმე გადაწყვეტილია. კრისტიანო რონალდო ყველაზე გვიან, 30 ივნისს „რეალის" სრულუფლებიანი წევრი გახდება. იოლი შესაძლებელია, რომ ეს ფაქტი რამდენიმე დღით ადრეც მოხდეს. ვფიქრობ, გულშემატკივრებს მისალოცად აქვთ საქმე. მართალია, 96 მილიონი ძალიან დიდი თანხაა, მაგრამ კრისტიანო იმდენად დიდი ფეხბურთელია, მის სანაცვლოდ ამ ფულის გადახდა ნამდვილად არ უნდა დაგვენანოს".*

და მაინც, 96 მილიონი ევრო მართლაც ძალიან დიდი თანხაა. ამ თანხის ეტაპობრივად გადახდა გარკვეული შეღავათია, მაგრამ ფაქტია, ეს ფული აუცილებლად უნდა დაიფაროს. ამ საკითხზე ფიქრისას, ისევ და ისევ, მაისურებით ვაჭრობის ყბადაღებული თემა გვახსენდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ სენიორ ფლორენტინოს სწორედ მაისურების უდიდესი რაოდენობით გაყიდვის იმედი აქვს. ეს უტოპიური მოსაზრება ნამდვილად არ გახლავთ, თუმცა ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ. თუ კრისტიანო „სანტიაგო ბერნაბეუზე" მართლა გადაბარგდება, მაისურებით ვაჭრობის საქმეში ის უნებლიედ **კაკას** კონკურენტი გახდება. სამეფო კლუბი მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და მაისურებზე მართლაც დიდი მოთხოვნაა, მაგრამ ეს ბაზარი ამოუწურავი სულაც არ გახლავთ. არსებობს მყიდველთა გარკვეული რაოდენობა. ისინი ფულს აუცილებლად დახარჯავენ, მაგრამ კაკას, ან გნებავთ კრისტიანო რონალდოს მაისურები უფრო დიდი რაოდენობით მაშინ გაიყიდებოდა, სამეფო კლუბში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი რომ გადაბარგებულიყო. ისიც უნდა ითქვას, რომ კრისტიანოს გადაბირების შემთხვევაში, „რეალი" იმაზე ბევრად მეტ მაისურას გაყიდის, ვიდრე იმ სიტუაციაში, თუ ესპანური გრანდის ახალწვეული მხოლოდ კაკა გახდებოდა... უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ზოგადად მაისურებით ვაჭრობის საერთო მაჩვენებელი გაიზრდება, მაგრამ საკითხავი ის არის, ეს რაოდენობა რონალდოს 96-მილიონიანი ტრანსფერის ღირებულების დაფარვას თუ ეყოფა. ასეა თუ ისე, ფლორენტინო პერესი საკუთარ თავს არ ღალატობს და „ბერნაბეუზე" პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელებს ექაჩება. შემადგენლობის გაძლიერებაზე კარგი რა უნდა იყოს, მაგრამ პრეზიდენტის პოლიტიკას ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მათი უმრავლესობა ეკონომიკური ექსპერტები არიან. ახლა თქვენს სამსჯავროზე სწორედ ერთ-ერთი ასეთი ექსპერტის მანუელ მორალესის განცხადებას გამოვიტანთ:

*„სანახაობა ძალიან კარგია, სპექტაკლი ყველას გვიყვარს, მაგრამ როცა ეს სანახაობა ძალიან ძვირი ჯდება, იოლი შესაძლებელია, რომ სპექტაკლი აღარ შედგეს და თეატრის კარს გაკოტრების გამო ბოქლომი დაედოს. სამწუხაროდ, „რეალის" შემთხვევაში ასეთ საფრთხეს ვხედავ. ბუნებრივია, სამეფო კლუბი ისე არ გაკოტრდება, რომ „სანტიაგო ბერნაბეუს" ყველა ჭიშკარს ბოქლომი დაედოს, მაგრამ ბიუჯეტის გარღვევის საფრთხე მართლაც რეალურია. ჩემი აზრით, 96 მილიონი ევროს გადახდა სერიოზული შეცდომაა. ამ ყველაფერს ის კოლოსალური ხელფასიც უნდა დავუმატოთ, რომელსაც პორტუგალიელი ყოველთვიურად მიიღებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი ჯერ არ დასრულებულა. ყველა კვლევის თანახმად, ხალხი ფუფუნების საგნებში თანხების ხარჯვას თავს არიდებს. სამეფო კლუბის მაისურა სწორედ ფუფუნების საგანია. თანაც, ეს მარკეტინგი, რა თქმა უნდა, საშუალო ფენაზეა გათვლილი. ძნელი სათქმელია, სპონსორები ამ ტრანსფერის მიმართ რამდენად დიდ დაინტერესებას გამოიჩენენ. თუ რომელიმე კომპანია გამოჩნდება და იტყვის, რომ რონალდოს სამეფო კლუბში გადასვლის შემთხვევაში „რეალთან" კონტრაქტს გააფორმებს და 50-მილიონიან ინვესტიციას გააკეთებს, მაშინ ეს პროექტი მეტნაკლებად გამართლებული იქნება. სხვა შემთხვევაში, ფლორენტინო პერესი ეკონომიკურ პრობლემებს ვერ გაექცევა. ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი პროგნოზი არ გამართლდება, მაგრამ ყველა ეკონომიკური გათვლა სწორედ ამ საფრთხის რეალურობაზე მეტყველებს. ვნახოთ, იქნებ სენიორ ფლორენტინოს საზოგადოებისთვის რაიმე სიურპრიზი ჰქონდეს შემონახული. სიურპრიზში, ისევ და ისევ, გულუხვ სპონსორთან გაფორმებულ კონტრაქტს ვგულისხმობ".*

ატლეტიკო

# აგუეროს ჩელსი იწვევს

## თუმცა სერხიო ბარსელონაზე ოცნებობს

უცნაური და საინტერესო ის ორი სიტყვაა, რომლებიც „ატლეტიკოს" ყველაზე კარგად ახასიათებს. ამ უცნაურობას მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობის უაღრესად ჯიუტი და ზოგ შემთხვევაში კარიკატურული ხასიათი განაპირობებს. „როხიბლანკოს" ხელმძღვანელები რამდენიმე წლის წინ მთელი სერიოზულობით აცხადებდნენ, რაც არ უნდა მოხდეს, **ფერნანდო ტორესს** არ გავყიდითო. სხვათა შორის, ელ ნინიოს მართლაც უამრავი მთხოვნელი დაუფრთხეს, მაგრამ ბოლოს ბრძოლა მაინც წააგეს და ახალგაზრდა ფორვარდი „ლივერპულში" გაყიდეს. ახლაც აბსოლუტურად იდენტური სიტუაციაა, თუმცა განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ამჯერად ვაჭრობის სუბიექტი **სერხიო აგუეროა**. არგენტინელ ფორვარდს ძალიან ბევრი კლუბი ეპატიჟება. მათ შორის, „ჩელსი". ლონდონელები მზად არიან სამხრეთამერიკელი 54 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადაიბირონ. კუნს თანამშრომლობას „ბარსელონაც სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ თავად არგენტინელს კატალონიურ გრანდში გადასვლა სურს:

*„არაფრის დამალვას არ ვაპირებ. მსოფლიოს საუკეთესო კლუბში თამაში მინდა. ასეთ კლუბად კი მხოლოდ და მხოლოდ „ბარსას" მივიჩნევ. კატალონიელებმა წელს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ შეუდარებელი არიან. მათ ყველაფერი მოიგეს, რისი მოგებაც შეიძლებოდა. დარწმუნებული ვარ, ისინი მომავალ სეზონშიც უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობლად იბრძოლებენ. ძალიან მინდა, ამ პროცესის მონაწილე მეც გავხდე. ლეო მესის ვეხვეწები, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ „კამ ნოუზე" წამიყვანონ. მჯერა, ლეო სიტყვას შემაწევს და ეს ტრანსფერი გაიჩარხება".*

აღსანიშნავია, რომ კუნთან თანამშრომლობის სურვილი კატალონიელებსაც ამოძრავებთ, მაგრამ ისინი „ჩელსის" გააქტიურებამ დააფრთხო. **ჟოან ლაპორტა** პირდაპირ და დაუფარავად ამბობს, ლონდონელებთან აუქციონის გამართვას არ ვაპირებთო. ცნობილია, რომ „ბარსას" მესვეურები ტრანსფერებში ათეულობით მილიონი ევროს გადახდას გაუმართლებლად მიიჩნევენ.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**


სერხიო აგუერო

### იბრა-ეტოო არ შედგა

"ელ მუნდო დეპორტივომ" გუშინ დილას სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა: გამოცემის მტკიცებით, "ინტერი" და "ბარსელონა" **სამუელ ეტოოსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის** გაცვლაზე შეთანხმდნენ. კატალონიელებს დამატებით 10 მილიონი ევრო უნდა გადაეხდათ. ჩვენი ესპანელი კოლეგების მტკიცებით, აღნიშნულ გარიგებას მხარეები ოფიციალურად 30 ივნისს დაადასტურებდნენ. ვერ გეტყვით, რა მოხდება 30-ში, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ "ინტერმა" გაზეთის მიერ გავრცელებული ხმები კატეგორიულად უარყო. განცხადების ავტორი იმპერატიული ტონით წერს: *"ინფორმაცია, რომელიც ესპანურმა "ელ მუნდო დეპორტივომ" გაავრცელა, სიმართლეს არ შეესაბამება. ზლატან იბრაჰიმოვიჩი "ინტერის" ფეხბურთელია და მის ტრანსფერთან დაკავშირებით ჩვენს კლუბს არანაირი მოლაპარაკება არ გაუმართავს, ლაპარაკი ზედმეტია უკვე მიღწეულ შეთანხმებაზე".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი


ლუკა ტონი და ფრანკ რიბერი

# ტონიმ ბარსელონა დაადასტურა

## რეალი რიბერის შეეშვა! პერესი: ბაიერნის შეფებმა მითხრეს, რიბერი არ იყიდებაო და მათ სიტყვას პატივი უნდა ვცე

გუშინდელ ნომერში ვიუწყდებოდით, რომ იტალიური გამოცემა „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, „ბარსელონას“ „ბაიერნისა“ და იტალიის ნაკრების ფორვარდ **ლუკა ტონის** გადაბირება უნდა. გუშინ მიუნხენური კლუბის თავდამსხმელმა დაადასტურა, რომ „ბარსა“ მისით მართლაც სერიოზულადაა დაინტერესებული. *„ბარსელონას“ მსოფლიოში უძლიერესი, საუკეთესო გუნდი ჰყავს და ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ კატალონიელები სერიოზულად დაინტერესდნენ,“* - განუცხადა ტონიმ „გაძეტა დელო სპორტს“. აღსანიშნავია, რომ 32 წლის იტალიელს „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. თუმცა მას მერე, რაც ბავარიელებმა **მარიო გომესისა** (შტუტგარტიდან) და **ივიცა ოლიჩის** (ჰამბურგიდან) ტრანსფერები სრულყვეს, „ბაიერნს“ თავდასხმაში ზედმეტად დიდი კონკურენცია აქვს.

გომესი, ოლიჩი, **კლოზე** და ტონი - როგორც ჩანს, ბუნდესლიგის 2007/2008 წლების სეზონის საუკეთესო ბომბარდირ ლუკას ამ კომპანიაში დარჩენა არ სურს, რადგან ეჭვი აქვს, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდება. თანაც, გუშინაც ვწერდით, რომ ტონი „ბარსელონას“ ამჟამინდელ თავკაც **პეპ გვარდიოლას** ძალიან კარგად იცნობს, რადგან თავის დროზე „ბრეშიაში“ მასთან ერთად თამაშობდა.

*„ბაიერნთან“ კონტრაქტი მაქვს გაფორმებული, რომელსაც ვადა ჯერ არ გასდის და ისიც ფაქტია, რომ მიუნხენში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ,* - აცხადებს ტონი და იქვე დასძენს, - *მაგრამ გუნდმა ახლა მარიო გომესი იყიდა, რომელიც ძალიან კარგი თავდამსხმელია, თანაც ახალგაზრდა და უაღრესად პერსპექტიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნს“ ჩემი ჩათვლით უკვე ოთხი მაღალი კლასის ფორვარდი ჰყავს. მე კი ვფიქრობ, რომ გუნდში ოთხი მაღალი კლასის თავდამსხმელი ძალიან ბევრია. შესაბამისად, არ შემიძლია გადაჭრით იმის თქმა, რომ მომავალ სეზონსაც აუცილებლად მიუნხენურ გრანდში გავატარებ. ფაქტია, რომ გომესმა ძირითად შემადგენლობაში უნდა ითამაშოს, რადგან ახალგაზრდა და პერსპექტიულია. შესაძლოა, ჩემი აქ ყოფნით სხვა ფორვარდებს ხელიც კი შევუშალო. მე არ ვამბობ, რომ კონკურენციის მეშინია და ჯერ არ გადამიწყვეტია, წავალ თუ დავრჩები, მაგრამ დასამალი არაფერია, გუნდის გამოცვლაზე ვფიქრობ“.*

ტონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ სადაც იქნება, მომავალ სეზონში აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს, რადგან წინ მსოფლიოს ჩემპიონატია და ლუკას არ უნდა, რომ სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო მუნდიალს დააკლდეს. იტალიელ თავდამსხმელს მცირე რისკზე წასვლაც კი არ სურს იმის საფასურად, რომ ეს რისკი მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩენად დაუჯდეს. ამ სეზონში ის „ბაიერნის“ სასტარტო შემადგენლობის წევრი იყო და საკმაოდ კარგი სეზონიც ჩაატარა, შესაბამისად, იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარჩელო ლიპიმ** ტონი კონფედერაციის თასზე იახლა.

იტალიაში ვრცელდება ხმები, რომ თუ „ბარსელონას“ ვარიანტი არ გამოვიდა, ტონი სამშობლოში დაბრუნდება. სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ლუკას გადაბირება „მილანს“ და „ინტერს“ უნდათ, მაგრამ თვითონ ფეხბურთელი მილანურ კლუბებთან კონტაქტს არ ადასტურებს. ბუნდესლიგაში ჩატარებულ პირველ სეზონში ტონიმ 24 გოლი გაიტანა და გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მეორე სეზონში კი 14 გოლით შემოიფარგლა, თუმცა წელს მთელმა „ბაიერნმა“ ცუდად ითამაშა.

ტონისთან ერთად, „ბაიერნიდან“ წასვლის კანდიდატია **ფრანკ რიბერიც**. როგორც იცით, მას მადრიდის „რეალი“ ეპატიჟება. „სამეფო გუნდის“ ახალმა პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** დაადასტურა, რომ „ბაიერნის“ ფრანგი ნახევარმცველისთვის იბრძოლებდა. თუმცა მიუნხენელებს რიბერის შენარჩუნება სურთ და ამბობენ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რიბომ გაისადაც „ბაიერნში“ ითამაშოსო. როგორც ჩანს, პერესი რიბერის შეეშვა. აი, რა განუცხადა მადრიდელთა პრეზიდენტმა ჩვენს ესპანელ კოლეგებს: *„რიბერი „ბაიერნს“ ეკუთვნის, მიუნხენურ კლუბს კი მისი გაყიდვა არ უნდა. ფაქტია, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელების სიტყვას პატივი უნდა ვცეთ.“* თუმცა პერესი დასძენს: *„თუკი მიუნხენელები აზრს შეიცვლიან, ნებისმიერ დროს მზად ვარ, საინტერესო წინადადებით მივმართო. კარლ-ჰაინც რუმენიგემ და ული ჰიონესმა იციან, რომ თუ რიბერის გაყიდვას დააპირებენ, პირველ რიგში, მე უნდა დამირეკონ, რადგან მზად ვარ, ამ ფეხბურთელში დიდი თანხა გადავიხადო.“*

გამოდის, რომ „ბაიერნის“ გულშემატკივრებს შეუძლიათ, შვებით ამოისუნთქონ? არა, რადგან პერესის ინტერვიუს პარალელურად, ესპანურმა „სპორტმა“ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ რიბერიზე „ბარსელონას“ შეფებიც ძალიან სერიოზულად ფიქრობენ. „ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, რიბერის „ბარსელონასთან“ წინასწარი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, არ დასტურდება. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი წერენ, რომ „ბაიერნმა“ რიბერი 100 მილიონ ევროდ შეაფასა.

### 20 მილიონი სებასტიან ფრეის სანაცვლოდ?

ამასობაში, იტალიური „კორიერე დელო სპორტი“ წერს, რომ „ბაიერნის“ გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** „ფიორენტინასთან“ აწარმოებს მოლაპარაკებებს. როგორც იცით, მიუნხენელებს სასწრაფოდ მაღალი კლასის მეკარე სჭირდებათ და ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, ფლორენციელთა კარის დარაჯ **სებასტიან ფრეის** დაუმიზნეს. ზემოთ ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, „ბაიერნი“ მზადაა, ფრეიში 20 მილიონი ევრო გადაიხადოს.

### უკვე ოფიციალურად: ბრააფჰაიდი მიუნხენში

გუშინ, „ტვენტეს“ ხელმძღვანელებმა უკვე ოფიციალურად დაადასტურეს, რომ მარცხენა მცველი **ედსონ ბრააფჰაიდი** 2.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ მიუნხენის „ბაიერნში“ გადადის. ახალგაზრდა უკანახაზელი დღეს დილას მიუნხენში სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც მას ოფიციალურად წარადგენენ. გარკვეულია ისიც, რომ ბრააფჰაიდი რეკორდმაისტერთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. 26 წლის ბრააფჰაიდი „ბაიერნში“ მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშებს, შესაბამისად, **ფილიპ ლამი** მისთვის საყვარელ მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლებს.

**გოტფრიდ ლენცი**

პრობლემა

# კალჩოდან ვარსკვლავები მიდიან

## ...თუმცა ეს ბევრს ახარებს

„მილანიდან“ კაკას წასვლას იტალიურ საფეხბურთო სამყაროში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ბევრმა დანანებით აღნიშნა, რომ სერია A-დან კიდევ ერთი მაღალი დონის ფეხბურთელის წასვლა, მხოლოდ დაასუსტებს კალჩოს, ბევრი კი პირიქით, რიკის ესპანეთში წასვლით ერთობ გახარებული ყოფილა. ყველა თავისი გადასახედიდან უყურებს მიმდინარე პროცესებს, მათ შორის **მარჩელო ლიპიც**. იტალიის ნაკრების თავკაცი ამჟამად სამხრეთ აფრიკაშია, სადაც „სკუადრა აძურას“ კონფედერაციის თასისთვის ამზადებს. მაესტროს ჟურნალისტი კაკას ტრანსფერზე დაეკითხა და მისგან შემდეგი პასუხი მიიღო:

*„პირადად მე, ძალიან მიხარია, რომ კაკამ სამეფო კლუბს მიაშურა. ნუ გიკვირთ, ეს მართლაც ასეა. ერთი მხრივ, ცუდია ვარსკვლავთა გადინება, მაგრამ მეორე მხრივ, ეს ძალიან კარგია. უცხოელი ვარსკვლავების გადამკიდე, ახალგაზრდა იტალიელ ფეხბურთელებს, გრანდებში დამკვიდრების საშუალება სულ უფრო და უფრო ნაკლებად ეძლევათ და ადრე თუ გვიან, ეს ძალიან ცუდ შედეგამდე მიგვიყვანს. დარწმუნებული ვარ, „ინტერს“ რომ მარჯვენა ფლანგზე საკადრო პრობლემა არ შექმნოდა, დღეს დავიდე სანტონი კვლავაც დუბლების შემადგენლობაში იქნებოდა. თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა და სანტონი ახლა ეროვნულ ნაკრებთან ერთად, კონფედერაციათა თასისთვის ემზადება. კაკას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, არც ლეგიონერებს ვემდური, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ადგილობრივ მოთამაშეებს გზას ულობავენ. გარკვეული დოზებით, ეს ყველაფერი კარგიც არის, რადგან მათ ჩემპიონატში განსხვავებული თამაშის კულტურა და გამოცდილება შემოაქვთ, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი ვარგა“.*

კაკას „რეალში“ გადასვლით, კმაყოფილია **ჯანლუიჯი ბუფონიც**. ალბათ მიხვდით, რომ იტალიის ნაკრების კიპერს კონკურენტის დასუსტება ახარებს. მოვუსმინოთ ჯიჯის:

*„რა დასამალია და კაკას „მილანიდან“ წასვლა, ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. „როსონერი“ დიდწილად რიკიზე გახლდათ დამოკიდებული და მის გარეშე მილანელებს ძალიან გაუჭირდებათ. სიმართლე გითხრათ, ვერ ამიხსნია, რატომ დაუშვა სილვიო ბერლუსკონიმ საუკეთესო ფეხბურთელის გასხვისება, მაგრამ ფაქტია, რომ მომავალი სეზონიდან ბრაზილიელი ესპანეთში ისპარეზებს. როგორც გავიგე, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ლიდერი „ინტერსაც“ დატოვებს. ზლატან იბრაჰიმოვიჩი „ბარსელონაში“ აპირებს გადასვლას, რაც კიდევ უფრო გაზრდის მომავალ სეზონში ჩვენს საჩემპიონო შანსებს. დიახ, დღეს თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ მომავალ სეზონში სკუდეტოსთვის ვიბრძოლებთ. უკვე გადმოვიბირეთ ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი და გაჩერებას არც მომავალში ვაპირებთ. თუმცა, ისიც კარგად მესმის, რომ შევსება მილანურ გრანდებსაც ექნებათ“.*

სიტყვამ მოიტანა და **იბრაჰიმოვიჩის** საკითხსაც შევეხოთ. „ბარსელონას“ მესვეურებმა, შვედის გადაბირების სურვილი სეზონის დასრულებისთანავე გამოთქვეს და დღეს, უკვე თავისუფლად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ზლატანი „ასულგრანასთან“ ძალიან ახლოს არის. მეტიც, თუ ესპანურ „მარკას“ დავუჯერებთ, გარიგება უკვე შემდგარია. იბრაჰიმოვიჩმა თავად გამოთქვა კატალონიაში გადაბარგების სურვილი და როგორც ჩანს, ეს იქნება ტრანსფერის მთავარი საფუძველი. და რას მიიღებს ლიდერის სანაცვლოდ „ნერაძური“? - სავარაუდოდ, **სამუელ ეტო'ოს** და 10-დან 40 მილიონამდე ევროს. რომ არ დაიბნეთ, ახლავე აგიხსნით. „კორიერეს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მილანელებმა იბრას სანაცვლოდ ეტო'ო და ორმოცი მილიონი ევრო მოითხოვეს, „ბარსას“ კი თანხა ძალიან ეძვირა და მხოლოდ ათ მილიონზე ჩამოაგდო სიტყვა. ბუნებრივია, მილანელებს ეს წინადადება არ მოეწონებოდათ, მაგრამ მთლად თავიანთ ვარიანტს რომ ვერ გაიტანენ, ესეც ფაქტია. მოკლედ, მხარეებს კომპრომისული ვარიანტი აქვთ მოსაძებნი და თუ ეს ასე მოხდა, გარიგებას წინ ველარაფერი დაუდგება.

როგორც ხედავთ, კაკას კვალს იბრაჰიმოვიჩიც მიყვება და ისიც აპირებს სერია A-ს დატოვებას. ეტო'ო თავისთავად შესანიშნავი თავდამსხმელია, მაგრამ დაგვეთანხმებით, იბრაჰიმოვიჩს თავისი წონა აქვს მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში. სულ ბოლოს კი სიტყვა **ჯანკარლო აბატეს** გადავცეთ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ლიპისგან და ბუფონისგან განსხვავებით, უკმაყოფილოა ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით:

*„კლუბების საქმეებში ვერ ჩავერევი, თუმცა მაქვს უფლება, ჩემი აზრი გამოვხატო მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. თუ ასე გაგრძელდა და სერია A-ს წარმომადგენლებმა წამყვანი ფეხბურთელები გაყიდეს, მაშინ ევროპული მასშტაბით კიდევ უფრო ნაკლებად კონკურენტუნარიანნი ვიქნებით. იმედია, გამოვნახავთ რესურსს და მდგომარეობას გამოვასწორებთ. ახლა, ჩვენი მთელი ყურადღება ეროვნული ნაკრებისკენ არის მიმართული, კონფედერაციათა თასის შემდეგ უფრო აქტიურად გადმოვერთვები საკლუბო ფეხბურთზე და შევეცდები, არსებული ვითარება კარგად შევისწავლო. ისეთი განცდა მაქვს, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი მხოლოდ იტალიურ კლუბებს შეეხო, არადა, ეს ასე არ უნდა იყოს“.*

**ლაშა ნიკლაური**


ზლატან იბრაჰიმოვიჩი და კაკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## ვან ნისტელროი ჩამოაფასეს

„რეალის“ მიერ **კაკას** შეძენისა და **დავიდ ვილიას** გადაბირების მცდელობის შემდეგ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ **რუუდ ვან ნისტელროის** ადგილი აღარ არისო, - განუცხადა **ჰარი რედნაპმა** ერთ-ერთ ბრიტანულ რადიოარხს. იმავე ინტერვიუში მან დაადასტურა, რომ კლუბის პრეზიდენტი **დენიელ ლევი** მადრიდშია და „რეალთან“ ფეხბურთელის შესაძენად მოლაპარაკებას აწარმოებს. „დეილი მეილი“ ირწმუნება, რომ ვეტერანი ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი 1,5 მილიონი ევროა. „მამლები“ ფეხბურთელს კვირაში 80 ათასი გირვანქას ჰპირდებიან.

## მარტინესი უიგანში დაინიშნა

„სუონსის“ ექსდამრიგებელი **რობერტო მარტინესი** პრემიერლიგურ „უიგანში“ დაინიშნა. მხარეთა შორის ხელშეკრულება სამი წლით გაფორმდა. ახალი დამრიგებლის წარდგენა კლუბის გულშემატკივრების წინაშე გუშინვე მოხდა. „უიგანის“ პრეზიდენტმა **დეივ უილანმა** კმაყოფილება გამოთქვა, რომ მოლაპარაკებათა პროცესი ასე მალე დასრულდა. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ **სტივ ბრუსი** სამუშაოდ „სანდერლენდში“ გადავიდა.

## ფაბრეგასმა თავი გაიტეხა

„არსენალის“ ესპანელმა კაპიტანმა **ფრანსესკ ფაბრეგასმა** აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდთან შეხვედრაში, რომელიც რამდენიმე დღის წინ ბაქოში გაიმართა(6:1 ევროპის ჩემპიონთა სასარგებლოდ), თავი გაიტეხა. ფეხბურთელს იმდენად სერიოზული სისხლდენა ჰქონდა, რომ მას ადგილზე დასჭირდა რამდენიმე ნაკერის დადება. მიილო თუ არა ფეხბურთელმა ტვინის შერყევა, ამას ჯერჯერობით ვერ გეტყვით.

## ბენტუშ კონტრაქტი გაახანგრძლივა

ლისაბონის „სპორტინგმა“ მთავარ მწვრთნელ **პაულუ ბენტუს** ხელშეკრულება გაუხანგრძლივა, - გვამცნობს უეფას ოფიციალური საიტი. 39 წლის სპეციალისტი კლუბში 2005 წლიდან მუშაობს. მისი ახალი კონტრაქტი 2011 წლის ივლისამდე იქნება ძალაში.

სწორედ პაულუს დამსახურებაა, რომ „სპორტინგმა“ ორჯერ მოახერხა ქვეყნის თასის დაუფლება და ორჯერაც კლუბი ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა. ბოლო სეზონში „სპორტინგი“ ვერცხლის მედლებს შესწვდა, რისი წყალობითაც ჩემპიონთა ლიგაში ბოლო, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება.

## სანტა კრუსი თვის ბოლომდე

„ბლექბერნის“ 27 წლის პარაგვაელი თავდამსხმელი **როკე სანტა კრუსი** თვის ბოლომდე თავის მომავალს გაარკვევს, - გვამცნობს ინგლისური პრესა. „როვერსის“ პრეზიდენტი **ჯონ უილიამსი** ასე მკაცრად საქმის დაყენებას იმით ხსნის, რომ ფეხბურთელს „ივუდ პარკზე“ თამაში აღარ სურს და უმოტივაციო ფეხბურთელის დატოვებას კიდევ აზრი არ აქვს. გთავაზობთ უილიამსის განცხადებას: *„სემ ელერდაისი უახლოეს მომავალში გაარკვევს რამდენი მილიონის დახარჯვის უფლება ექნება სატრანსფერო ბაზარზე. მას მშვენივრად ესმის, რომ ეს დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სარფიანად მოვახერხებთ სანტა კრუსის გაყიდვას. აუცილებელია, მისი ღირსეული შემცვლელიც მოვიძიოთ. ჩვენს მწვრთნელს შემადგენლობის საბოლოოდ დაკომპლექტება უახლოეს მომავალში უნდა. ამიტომ, გვიჯობს, პარაგვაელს ფასი ცოტა დავაკლოთ... ასე მისი გასხვისება უფრო იოლი იქნება და სამომავლო გეგმებს შედარებით ადვილად დავსახავთ“.*

## არც მასკერანო იყიდება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში წაიკითხავდით, რომ „ლივერპულის“ არგენტინელი შუახაზელი **ხავიერ მასკერანო** ხმამაღლა მსჯელობდა „ბარსელონაში“ თამაშის პერსპექტივაზე. მისი აგენტი კი ასკვნიდა, „ლივერპული“ ან **ჩაბი ალონსის** გაასხვისებს, ან ჩემს კლიენტსო. აგენტის განცხადებას ოპერატიულად გამოეხმაურა **რაფაელ ბენიტესი** და განაცხადა, არავითარი დათმობა არ იქნება, ცოცხალი თავით არც ერთს გავყიდით და არც მეორეს, თუნდაც მათში 40 და 50 მილიონი გირვანქა შემოგვთავაზონ.

**შალვა ბიბილაშვილი**




**გამოვიდა ივნისის ნომერი**

საპარაუდო ტრანსფერები

# რობინიო ბარსას ეკურკურება



„მანჩესტერ სიტის“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **რობინიომ** „სანტიაგო ბერნაბეუდან“ გაქცევის მიზეზად ის დაასახელა, რომ იქ მას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ქცევის შანსი არ ჰქონდა. მართალია, მას „ჩელსიც“ იწვევდა, მაგრამ ფეხბურთელმა არჩევანი „ქალაქელების“ სასარგებლოდ გააკეთა. მანკუნიანელები მას კვირაში 160 ათას გირვანქას უხდიან, რაც მას მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქცევს. მას ახალ კლუბში სრული თავისუფლება მისცეს, იმდენიც კი, რომ ადგა და ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე ბრაზილიაში დაბადების აღსანიშნავად გადაფრინდა.

ამ ფაქტმა ფეხბურთელსა და კლუბს შორის ურთიერთობები საკმაოდ დაძაბა. „სიტიმ“ მისი უმთავრესი ვარსკვლავი 320 ათასი გირვანქით დააჯარიმა. მართალია, ფეხბურთელი კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მაგრამ წლის საუკეთესო მოთამაშედ გულშემატკივრებმა ერთხმად **სტივენ აირლანდი** დაასახელეს. ვერ გეტყვით, ამან გამოიწვია თუ არა სამხრეთამერიკელის გააფთრება, მაგრამ ფაქტია: კატალონიურმა გამოცემა „სპორტმა“ დაწერა, ფეხბურთელი „ბარსას“ მესვეურებს დაუკავშირდა და საკუთარი სამსახური შესთავაზაო. როგორც ჩანს, რობინიო ახალ თავშესაფარს ეძებს, ისეთს, სადაც „მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ქცევის შანსი“ მიეცემა. ამას გარდა, იგივე გამოცემა ფეხბურთელის კომენტარსაც აქვეყნებს:

*„ბარსელონა“ დიადი კლუბია, დედამიწაზე არ მეგულება ფეხბურთელი, რომელიც მის შემადგენლობაში თამაშზე არ ოცნებობდეს. სამწუხაროდ, აქამდე არასოდეს მქონია „კამპ ნოუზე“ ასპარეზობის შანსი. თუმცა რა ვიცი, რა ხდება ხვალ და ზეგ. „რეალიდან“ წასვლას წამითაც არ ვნანობ, რადგან „სიტიში“ თავს ბედნიერ ადამიანად ვგრძნობ“.*

ბრაზილიელს ალბათ ლამაზი ფეხბურთი მოენატრა, ფეხბურთი, რომელსაც „სიტი“ ნამდვილად ვერ თამაშობს.

**შალვა ბიბილაშვილი**

მწვრთნელები

# დაუმი თავს იმართლებს


კრისტოფ დაუმი

ამ დღეებში **კრისტოფ დაუმს** გერმანიაში კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. როგორც იცით, 55 წლის მწვრთნელმა ყველასათვის მოულოდნელად „კიოლნი“ დატოვა და „ფენერბაჰჩეში“ წავიდა, რის გამოც, ვისაც არ დაეზარა, კრისტოფი ყველამ გალანძღა.

*„მინდა ყველას შევახსენო, რომ როდესაც მეორე ბუნდესლიგაში მყოფი „კიოლნის“ გაწვრთნას დავთანხმდი, ეს გადაწყვეტილება ჩემი ცხოვრებისა და კარიერის უდიდესი რისკი იყო. მაშინ ისეთ გუნდებზე ვთქვი უარი, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდნენ და „კიოლნზე“ გაცილებით დიდი მიზნები ჰქონდათ. მაშინ ჩემს კონტრაქტში ჩავდე პუნქტი, რომლის თანახმადაც, 2009 წლის ზაფხულში გუნდის დატოვება შემეძლო, რადგან არ ვიცოდი, როგორ წაუვიდოდა ამ გუნდს საქმეები. „კიოლნიდან“ წასვლის შანსი ერთი წლის წინაც მქონდა, მაგრამ მაშინ ეს ნაბიჯი არ გადავდგი, რადგან ვფიქრობდი, რომ ჩემი მისია „კიოლნის“ წინაშე შესრულებული არ მქონდა. ახლა კი უკვე ჩამოყალიბებული გუნდი დავტოვე, რომელშიც საათივით აწყობილი სისტემაა. შესაბამისად, არავის აქვს იმის უფლება, რომ გამლანძღოს. უსამართლო არაფერი ჩამიდენია,“* - აცხადებს „თხების“ ექსთავკაცი.

„კიოლნის“ ბოსებს მის ნაცვლად **ჟერარ ულიეს** დანიშვნა სურდათ და მასთან მოლაპარაკებებსაც აწარმოებდნენ, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ ულიემ „კიოლნის“ შეფებს უარი შეუთვალა.

**გოტფრიდ ლენცი**

# იოლი ბოსებს შემოსწყრა

„აიაქსის“ მთავარი მწვრთნელი **მარტინ იოლი** გუნდის ხელმძღვანელებზე განრისხდა. იოლი იმის გამოა გაბრაზებული, რომ ამსტერდამელებმა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **თომას ვერმალენი** ლონდონის „არსენალს“ მიჰყიდეს (13 მილიონად). მწვრთნელი ამ ფეხბურთელს უმთავრეს ფიგურად მოიაზრებდა და როცა „აიაქსის“ გაწვრთნას დათანხმდა, მისი ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ის იყო, რომ ამსტერდამელემს ეს ფეხბურთელი უნდა შეენარჩუნებინათ. „აიაქსის“ შეფები კი ამბობენ, ცდუნებას ვერ გავუძელით, 13 მილიონი ძალიან დიდი თანხააო. არადა, იოლს გუნდის აწყობა 23 წლის კაპიტნის გარშემო სურდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## თომას დოლმა გენჩლერი ჩაიბარა

"ჰამბურგისა" და დორტმუნდის "ბორუსიას" ყოფილმა თავკაცმა **თომა დოლმა** ახალი სამსახური თურქეთში მონახა. 43 წლის სპეციალისტმა გუშინ "გენჩლერბირლიგის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დაიკავა. გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვებგვერდის ცნობით, კონტრაქტი სწორედ გუშინ უნდა გაფორმებულიყო. თომასი ბოლო 13 თვის განმავლობაში უმუშევარი გახლდათ. ბოლო სეზონი ანკარულმა კლუბმა ძალზე წარუმატებლად ჩაატარა და მე-14 ადგილზე დაასრულა, რის გამოც თანამდებობიდან გაუშვეს ჰოლანდიელი **აად დე მოსი**. მხარეებს შორის ხელშეკრულება 1+1 სისტემით გაფორმდა.

ალსანიშნავია, რომ დოლი "გენჩლერბირლიგის" ისტორიაში მეორე გერმანელი მწვრთნელია. 2007 წელს იქ ნაკლებად ცნობილი **რაინჰარდ შტუმპფი** მუშაობდა.

## მანსიენი შეიძლება მგლებში დაბრუნდეს

"ჩელსის" 21 წლის მცველი **მაიკლ მანსიენი** შეიძლება ერთწლიანი იჯარით "ვულვერჰემპტონში" დაბრუნდეს. თავად ფეხბურთელი მზადაა, ეს ნაბიჯი გადადგას, რადგან მისი ღრმა რწმენით, სათამაშო პრაქტიკის გარეშე პროფესიული ზრდა შეუძლებელია. ფეხბურთელი "ჩელსის" აკადემიის აღზრდილია, თუმცა განათხოვრებით ორი წელიწადი ჯერ "ქუინზ პარკ რეინჯერსში" ასპარეზობდა, შემდეგ კი ნახევარი წელი სწორედ "ვულვზში" გაატარა. ახალგაზრდას ჯერ **კარლო ანჩელოტისთან** პირადად შეხვედრა სურს და გადაწყვეტილებას ამის მერე მიიღებს. ყველაფერი შეედეთში გასამართი ახალგაზრდული პირველობის შემდეგ გაირკვევა. ამჟამად მაიკლი სანაკრებო შეკრებაზე იმყოფება.

## სფორცა გრასჰოპერსში დაინიშნა

"კაიზერსლაუტერნისა" და "ბაიერნის" ყოფილი ვარსკვლავი, გერმანიის ორგზის ჩემპიონი, "ბაიერნის" რიგებში უეფას თასისა და ჩემპიონთა ლიგის მომგები **ჩირიაკო სფორცა** ციურიხის "გრასჰოპერსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ შვეიცარიის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა სამწვრთნელო კარიერა 2006 წელს "ლუცერნში" დაიწყო, სადაც მან ორი წელიწადი გაატარა, თუმცა მაინც ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. ჩირიაკომ ციურიხელებთან ხელშეკრულება 2011 წლამდე გააფორმა. მან თანამდებობაზე **ჰანსპეტერ ლატური** შეცვალა.

**შალვა ბიბილაშვილი**

პრემიერლიგა

# უკანასკნელი მარათონის საუკეთესონი


გასული სეზონის ტიპური სურათი: ჯერარდი გოლს ზეიმობს

ინგლისის უმაღლეს ლიგაში სეზონი დასრულდა და როგორც იტყვიან, ახლა უკვე ნიშნების დათვლის დროც დადგა. გაზეთები, ჟურნალები თუ ვებგვერდები თავის ვერსიებს ახმოვანებენ და საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს ასახელებენ. ფეხბურთელებმა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ თავისი არჩევანი, შესაბამისად, **რაიან გიგზსა** და **სტივ ჯერარდზე** შეაჩერეს. ბუნებრივია, კლუბებს შიდა არჩევანის უფლებაც აქვთ - ისინი საუკეთესოებს თავიანთ რიგებში ეძებენ. დავიწყოთ არასტანდარტული სიტუაციიდან: „არსენალსა“ და „ფულჰემს“ ასეთი ფეხბურთელის ვინაობა ჯერ ვერ გაურკვევიათ. ამის ახსნა მეტ-ნაკლებად შეიძლება: „არსენალმა“ აწ დასრულებულ სეზონში, წინასთან შედარებით, თამაშის ხარისხს მნიშვნელოვნად მოუკლო, მართალია, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ტრავმების გამო „მეთოფეებს“ ლამის მთელი სეზონის განმავლობაში არ გამოუყვანიათ ოპტიმალური შემადგენლობა. ხოლო ვინც თამაშობდა, ვერც ის ბრწყინავდა. შედეგად, ულამაზო სეზონი მივიღეთ. „ფულჰემმა“ კი პირიქით, ფანტასტიკურად ითამაშა და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა. ამ კოლექტივს, პირველ რიგში, გუნდური თამაში გამოარჩევდა, რასაკვირველია, ამ დროს ვინმეს ინდივიდუალურად გამოყოფა ძნელია. ჰო, „ლივერპულმა“ ოფიციალურად განაცხადა, რომ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენას არ აპირებს. ესეც გასაგებია. გამარჯვებული ისედაც ცნობილია - სტივი ჯის წელს პრემიერლიგაში აქა-იქ თუ ჰყავდა ღირსეული მეტოქეები. „ჩელსიმ“ აღნიშნული პატივი კარიერაში მესამედ დასდო **ფრენკ ლემპარდს**, ფეხბურთელს, რომელიც სეზონის დაწყებამდე ლამის გუნდიდან გაიქცა - ლემპარდმა კი 21 გოლი და 20 საგოლე პასი (!) გააკეთა. „მანჩესტერ სიტიმ“ ფეხბურთელებში დიდძალი ფული გადაიხადა, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ გუნდში საუკეთესო სწორედ მისი საფეხბურთო აკადემიის აღზრდილი **სტივენ აირლანდი** ყოფილა, მოთამაშე, რომელმაც „სიტის“ საუკუნო სიყვარული შეჰფიცა და სურვილი გამოთქვა, კარიერის ბოლომდე სწორედ ქალაქელთა რიგებში იასპარეზოს. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ სეზონის უპირველეს ფეხბურთელად **ნემანია ვიდიჩი** მიიჩნია. ახლა კი კლუბების მიხედვით საუკეთესოთა სიას გთავაზობთ:

„არსენალი“ - ჯერ არ აურჩევიათ. ძირითადი ბრძოლა **სესკ ფაბრეგასს, რობინ ვან პერსისა და ბაკარი სანიას** შორის უნდა გაიმართოს.

„ასტონ ვილა“ - **სტილიან პეტროვი.** ბულგარელს პრესტიჟული ჯილდო თანაგუნდელებმაც ერთხმად მიაკუთვნეს და გულშემატკივრებმაც.

„ბლექბერნი“ - **სტივ უორნოკი.** 27 წლის შესანიშნავმა მარცხენა მცველმა გამოკითხვაში **თუგაი ქერიმოღლუსა** და **კრისტოფერ სამბას** აჯობა.

„ბოლტონი“ - **კევინ დევისი.** 32 წლის კაპიტანი „რიბოკ სთედიუმზე“ 6 წელია ასპარეზობს და კარიერაში პირველად დაიმსახურა ასეთი პატივი.

„ჩელსი“ - **ფრენკ ლემპარდი.** ფრენკი პირველი ფეხბურთელი შეიქნა კლუბის ისტორიაში, ვინც წლის საუკეთესოს ტიტულს მესამედ შესწვდა.

„ევერტონი“ - **ფილ ჟაგიელკა.** 26 წლის ცენტრალური მცველი პარტნიორებმაც და გულშემატკივრებმაც ერთხმად დაასახელეს საუკეთესოდ.

„ფულჰემი“ - ჯერ არ აურჩევიათ. ძირითადი პრეტენდენტები არიან **მარკ შვარცერი, ბრედ ჰანგელანდი** და **კლინტ დემპსი.**

„ჰალ სიტი“ - **მაიკლ ტერნერი.** მაიკლმა ყველანაირ გამოკითხვაში პირველი ადგილი დაიკავა.

„ლივერპული“ - არ გადაუციათ. თუმცა აქ ისედაც ყველაფერი ნათელია.

„მანჩესტერ სიტი“ - **სტივენ აირლანდი.** მოწოდება „სიტის“: დაივიწყეთ მსხვილი ტრანსფერები, როცა აკადემია ასეთი დონის ფეხბურთელებს ზრდის.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ - **ნემანია ვიდიჩი.** გამოკითხვაში გადაუსწრო **კრისტიანო რონალდოს,** რაც თავისთავად მეტყველებს მის კლასზე.

„მიდლსბრო“ - **თუნჩაი სანლი.** „რივერსაიდის“ ლაშქარი პრემიერშიფში გავარდა, მაგრამ თუნჩაიმ ეს ყველაზე ნაკლებად დაიმსახურა.

„ნიუკასლი“ - **სებასტიან ბასონგი.** ბასონგმა ხმების 68% მიიღო, **მაიკლ ოუენმა** - 2. ახლა თავად გამოთვალეთ, ვინ იყო გუნდის ლიდერი.

„პორტსმუთი“ - **გლენ ჯონსონი.** ფეხბურთელი ყველა ვერსიით გუნდის ლიდერად დასახელდა. პლუს, ფეხბურთელმა ინგლისის ნაკრებში დაბრუნებაც მოახერხა. ერთი სიტყვით, გლენმა ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა.

„სტოკ სიტი“ - **აბდულა ფაიე.** აბდულა ერთ-ერთი ის ფეხბურთელი აღმოჩნდა, ვინც „სტოკს“ ელიტაში ადგილი შეუნარჩუნა.

„სანდერლენდი“ - **დენი კოლინსი.** კოლინსმა ზედიზედ მეორედ დაიმსახურა ეს ჯილდო, რაც თავისთავად მრავლის მეტყველი ფაქტია.

„ტოტენჰემი“ - **აარონ ლენონი.** „მამლებმა“ რთული სეზონი ჩაატარეს და არჩევანის გაკეთებაც, შესაბამისად, ძნელი აღმოჩნდა. ლენონმა ფანტასტიკურად ჩაატარა განსაკუთრებით სეზონის მეორე ნახევარი.

„ვესტ ბრომვიჩი“ - **კრის ბრანტი. ტონი მოუბრეის** შეგირდები მთელი სეზონის განმავლობაში ბრწყინვალედ თამაშობდნენ შეტევაში და კოშმარულად დაცვაში. შედეგად, საუკეთესო გუნდში შემტევი ნახევარმცველი აღმოჩნდა.

„ვესტ ჰემი“ - **სკოტ პარკერი.** სერიოზული ტრავმის მიუხედავად სეზონის უმთავრესი „ჩაქუჩის“ წოდება ნამდვილად დაიმსახურა.

„უიგანი“ - **ტიტუს ბრამბლი.** ხელმძღვანელობის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა გულშემატკივართა შორის კამათი გამოიწვია. ყველამ იცის, რომ რეალურად გუნდის ლიდერი **ანტინიო ვალენსია** იყო, ფეხბურთელი, ვისთვისაც „რეალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ იბრძვიან.

ფეხბურთი და ფინანსები

# პანიკა ბრიტანულ ფეხბურთში

## ...და არა მხოლოდ. სპორტს მძიმე დროება დაუდგა

სამშაბათ საღამოს ზოგადად ბრიტანული ფეხბურთის მამები პანიკაში ჩავარდნენ. საიმედო წყაროებზე დაყრდნობით ცნობილი გახდა, რომ ირლანდიური ტელეკომპანია „სეტანტა სპორტსი“ რეალურად გაკოტრების საფრთხის წინაშე იდგა. დიდწილად შოტლანდიური და გარკვეულ დონეზე ინგლისური პრემიერლიგები ხსენებული ტელეკომპანიის ფინანსებზე არიან დამოკიდებულნი, რადგან სწორედ მასთან არის გაფორმებული ხელშეკრულება ფეხბურთის მატჩების ტელეტრანსლაციებზე.

ფინანსისტების განცხადებით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე დღეს და ხვალ ხსენებული ტელეკომპანიის აქციებით ვაჭრობა მთლიანად შეწყდება, რაც უკვე იმას ნიშნავს, რომ ფირმას გაკოტრებამდე ბევრი არაფერი უკლია. ფეხბურთის გარდა „სეტანტა სპორტსს“ ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული რაგბის, გოლფის, კრივისა და ბეისბოლის ტრანსლაციებზე. ბუნებრივია, სპორტის ამ სახეობებს ბუნდოვანი მომავალი ელით. სამშაბათ საღამოს „სეტანტას“ შეფებმა **ლეონარდ რაიანმა** და **მაიკლ ორურკმა** უკანასკნელად გაიბრძოლეს „შვილობილის“ გადასარჩენად, მაგრამ 100-მილიონიანი სესხის გამოყოფაზე მათ ყველა ბანკმა კატეგორიული უარი უთხრა. ამას გარდა „სეტანტამ“ უშუალო კონკურენტს, კომპანია BSkyB-ს მიმართა და 50-მილიონიანი სესხის სანაცვლოდ პრემიერლიგის 46 მატჩის ტელერეპორტაჟის დათმობა შესთავაზა, რაზეც ბრიტანელებმა თავაზიანი უარი თქვეს. აღმასრულებელმა დირექტორმა **ჯერემი დაროხმა** განაცხადა, რომ ისინი სამაუწყებლო კომპანიას წარმოადგენენ და არა ბანკს, აქედან გამომდინარე, ისინი უბრალოდ ვერ გარისკავდნენ ასეთ ნაბიჯზე წასვლას. დაროხმა იქვე დაამატა, რომ მას სულაც არ უხარია კონკურენტის გაკოტრება და უამრავი ადამიანის უმუშევრად დატოვება.

ამერიკულ პრესაში უკვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ირლანდიელებისთვის კუთვნილი 46 შეხვედრის ტრანსლაციის უფლებას ამერიკული ტელეკომპანია ESPN გამოისყიდის. თუმცა ოფიციალური წყაროებით ჯერჯერობით ეს ინფორმაცია არ დასტურდება. „სეტანტას“ ვებგვერდზე გუშინდელი დღიდან უკვე შეწყვეტილი იყო განაცხადების მიღება საკაბელო მომსახურების მიღების შესახებ. დარეგისტრირების მცდელობისას ეკრანზე ჩნდებოდა წარწერა: „ადგილი აქვს გაუთვალისწინებელ შეცდომას“. თუმცა კლიენტებთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, რომ ეს მხოლოდ ვებგვერდის პრობლემა იყო და ის მალევე აღმოიფხვრებოდა.

თუკი ინფორმაცია „სეტანტას“ გაკოტრების შესახებ საბოლოოდ დადასტურდა, ყველაზე მეტად დაზარალდებიან (რა თქმა უნდა, ლაპარაკი გვაქვს საფეხბურთო სამყაროზე) შოტლანდიური პრემიერლიგა და ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია. ამ უკანასკნელს ირლანდიურ მაუწყებელთან რამდენიმეწლიანი და 150-მილიონიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული ასოციაციის თასისა და ინგლისის ნაკრების მატჩების ტრანსლაციებზე.

ამბები

ეროვნული

### ტოშიჩი დაამტკიცებს

სერბეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **ზორან ტოშიჩი** ახალგაზრდულ პირველობაზე მაღალ დონეზე გამოსვლას აპირებს, რათა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელების ყურადღება მიიპყროს და პირველ გუნდში გადაყვანას მიაღწიოს. *„ევროპის ჩემპიონატი თითოეული ფეხბურთელისთვის თავის გამოჩენისა და გამოცდილების შეძენის შესანიშნავი შანსია. რეგულარულად უნდა ვითამაშო, რათა ყველა კომპონენტში უფრო ძლიერი გავხდე. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი პირველობა ამაში ხელს მნიშვნელოვნად შემიწყობს. დავამტკიცებ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ტყუილად არ მქვია“,* - განაცხადა ტოშიჩმა.

### ზაგრების დინამო ემზადება

ხორვატიის ჩემპიონი ზაგრების „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებისთვის სერიოზულად ემზადება. კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე განაცხადა, რომ ისინი ფიქრადაც კი არ გაივლებენ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელის, ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელ **მარიო მანჯუკიჩის** გასხვისებას. მეტიც, ისინი გეგმავენ, უახლოეს დღეებში ლონდონს ესტუმრონ და „არსენალთან“ მოლაპარაკება წამოიწყონ **ედუარდო და სილვას** ერთწლიან არენდაზე. ზაგრებელები მზად არიან, ფეხბურთელის ხელფასი სრულად დაფარონ. ედუარდო წელიწადში 1,7 მილიონ ევროს იღებს. აღნიშნული გადაწყვეტილება კლუბის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე გუშინ მიიღეს.

### ცსკა მანიუს წინააღმდეგ

„მანიუს“ თავდამსხმელ **დიმიტარ ბერბატოვს** კარიერაში არცთუ საუკეთესო სეზონი ჰქონდა. **ალექს ფერგიუსონის** ნდობის მიუხედავად, მას გოლების გატანა უჭირდა. შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთელს ადაპტაციის პერიოდი გაუხანგრძლივდა. თითქოს ეს არ ეყოფოდაო, მის გარშემო ახალი სკანდალი აგორდა. ბერბატოვის აღმზრდელმა კლუბმა სოფიის ცსკა-მ გადაწყვიტა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ სასამართლოში უჩივლოს, რადგან ისინი უარს აცხადებენ, ბულგარელების აზრით, მათთვის კუთვნილი 475 ათასი გირვანქის გადახდაზე. სოფიელებმა ფიფაში ოფიციალური სარჩელი უკვე შეიტანეს. ამას გარდა, მათ უკვე დაიქირავეს ძირითადად სპორტული ტიპის დავებზე მომუშავე სახელგანთქმული ადვოკატი, პროფესორი **იენ ბლეკსტოკი.** ცსკა-ს ინტერესებს სწორედ ის დაიცავს.

მოგეხსენებათ, 2001 წელს ფიფამ სპეციალური კანონი მიიღო, რომელიც ფეხბურთელების აღმზრდელი კლუბების ინტერესებს იცავს. იენ ბლეკსტოკი აცხადებს, რომ მის კლიენტებს სწორედ ხსენებული წესის თანახმად ეკუთვნით თითქმის ნახევარი მილიონი გირვანქა. „მანიუში“ კი ვალს არ აღიარებენ. საქმის განხილვა ივნისის ბოლომდე უნდა შედგეს.

### პსვ: ტენ ჰააგი და ენგელაარი

„ტვენტეს“ მთავარი მწვრთნელის **სტივ მაკლარენის** თანაშემწე **ერიკ ტენ ჰააგი** უახლოეს დღეებში „ეინდჰოვენთან“ ხელშეკრულებას გააფორმებს. ერიკი ისევ **ფრედ რუტენის** შტაბში იმუშავებს. შეგახსენებთ, რომ ხსენებული სპეციალისტები „ტვენტეში“ 2006/08 წლებშიც ერთად მუშაობდნენ. ტენ ჰაგეს ხელშეკრულებას ენსხედურ კლუბთან ვადა 2010 წლის ივლისში გასდის, მაგრამ კონტრაქტში უწერია, რომ ტოპკლუბებისგან მიწვევის შემთხვევაში მას დაუბრკოლებლად შეუძლია კონტრაქტის დარღვევა.

რუტენს განზრახული აქვს, კლუბში დაასაქმოს ორი სახელგანთქმული ჰოლანდიელი ფეხბურთელი. ლაპარაკია **რენე ეიკელკამპსა** და **ვიმ კიფტზე.** ამას გარდა, ის შემადგენლობის გაძლიერებასაც აპირებს და ამისთვის „შალკედან“ **ორლანდო ენგელაარის** გადაბირება სურს. მოსალოდნელია, რომ კლუბები ფეხბურთელის იჯარაზე იოლად შეთანხმდებიან, რადგან ენგელაარმა ბუნდესლიგაში აშკარად ვერ გაამართლა, თანაც გელზენკირხენელთა ახალმა თავკაცმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ მას ჰოლანდიელი საყრდენი ნამდვილად არ სჭირდება.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო სტატისტიკა


სესკ ფაბრეგასი


ფრენკ ლემპარდი


ზვიეზდან მიშიმოვიჩი

# საუკეთესო მეპასეები

## ჩავი ერნანდესი სტატისტიკის მიხედვით გასული სეზონის საუკეთესო დირიჟორია

**ფეხბურთში** მთავარი გოლია და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თუ თამაშში ბევრი გოლი გადის, ყველა ექსპერტი ამბობს, რომ შესანიშნავი მატჩი გამოვიდა. გოლებს თავდამსხმელები იტანენ და შესაბამისად, ისინი ყველაზე დაფასებული ფეხბურთელები არიან, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია საგოლე პასის ავტორის როლიც. ხშირად კარგი მეპასე გუნდისთვის კარგ თავდამსხმელზე მნიშვნელოვანი ფიგურაა, თუმცა მეპასეც და მეგოლეც ერთმანეთზე არიან დამოკიდებულები. კარგი მეპასე კარგ თავდამსხმელს ავსებს, კარგი თავდამსხმელი კი კარგ მეპასეს.

მაგალითად, ბუნდესლიგის გასულ სეზონში თამაშში საშუალოდ 3 გოლი გადიოდა, რაც ჩინებული მაჩვენებელია - საუკეთესო სხვა წამყვან ევროპულ ლიგებთან შედარებით. თუმცა ამაში გასაოცარი არაფერია, რადგან გერმანიის ჩემპიონატი გოლუხვობით ყოველთვის გამოირჩეოდა. გერმანიაში **გრაფიტემ** (28 გოლი) და **ედინ ჯეკომ** (26 გოლი) გამოიჩინეს თავი, იტალიაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გახდა საუკეთესო ბომბარდირი, ესპანეთში **დიეგო ფორლანი** და ა.შ. ფაქტია, ამ ფორვარდებისთვის კარგ ფლეიმეიქერებს ზურგი რომ არ გაემაგრებინათ, ისინი ამდენ გოლს ვერ გაიტანდნენ.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა საკმაოდ საინტერესო სტატისტიკა წარმოგვიდგინეს, რომელიც ალბათ ფეხბურთის ნებისმიერ მოყვარულს დააინტერესებს. მიმომხილველებმა ევროპის ხუთი წამყვანი საფეხბურთო ქვეყნის (იტალია, ინგლისი, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი) შედეგები შეაჯამეს და საუკეთესო მეპასეების რეიტინგი წარმოადგინეს, რომელიც მთლიანად სტატისტიკაზეა აგებული. ერთი საკითხია, სად უფრო ადვილია საგოლე პასის გაკეთება და მეორეა, ვინ რამდენი პასით გამოირჩა. ფაქტებს კი ქვემოთ მოცემულ რეიტინგში გაეცნობით.

პირველ რეიტინგში ნახავთ, რომელი ფეხბურთელები იყვნენ საუკეთესოები საშუალოდ ერთ თამაშში გაკეთებული საგოლე გადაცემების მიხედვით. როგორც ხედავთ, აქ პირველობა არავის დაუთმო „ბარსელონას" ცენტრალურმა ნახევარმცველმა **ჩავი ერნანდესმა**, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეპასეა. ჩავი საშუალოდ ერთ თამაშში 0.57 საგოლე პასს აკეთებდა და ალბათ თვითონაც ხვდებით, რომ „ბარსას" გრანდიოზული წარმატება (კატალონიურმა გრანდმა ჰეთ-თრიკი შეასრულა: ესპანეთის ჩემპიონობა, ჩემპიონთა ლიგა, ესპანეთის თასი, პირველ რიგში, სწორედ მისი დამსახურებაა. მეორე ადგილზე კი გერმანიის სენსაციური ჩემპიონის, „ვოლფსბურგის" ბოსნიელი დირიჟორი **ზვიეზდან მიშიმოვიჩია**, რომელმაც ამ სეზონში, მხოლოდ ბუნდესლიგაში 18 (!) საგოლე გადაცემა გააკეთა.

| ფეხბურთელი | კლუბი | საგ. პასი |
|---|---|---|
| 1. ჩავი ერნანდესი | ბარსელონა | 0.57 |
| 2. ზვიეზდან მიშიმოვიჩი | ვოლფსბურგი | 0.55 |
| 3. არნოლდ ბრუგინკი | ჰანოვერი | 0.48 |
| 4. მესუთ იოზილი | ვერდერი | 0.43 |
| 5. პატრიკ ებერტი | ჰერტა | 0.38 |
| 6. მიკელე ფინი | კალიარი | 0.37 |
| 7. დავიდ სილვა | ვალენსია | 0.37 |
| 8. სესკ ფაბრეგასი | არსენალი | 0.36 |
| 9. რობინ ვან პერსი | არსენალი | 0.36 |
| 10. ლეო მესი | ბარსელონა | 0.35 |
| 11. ხუან მანუელ მატა | ვალენსია | 0.35 |
| 12. ფერნანდო გაგო | რეალი | 0.35 |

მეორე რეიტინგიც პასების მიხედვითაა შედგენილი. ოღონდ, აქ საქმე ეხება იმ გადაცემებს, რომლებითაც ამა თუ იმ გუნდის თავდამსხმელები დასარტყმელ პოზიციაზე გადიოდნენ, საგოლე მომენტი ექმნებოდათ. აქ პირველ ადგილზე „ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი **ფრენკ ლემპარდია**. ეს არის ფეხბურთელი, რომელსაც ყველაზე ხშირად გაჰყავდა თანაგუნდელები დასარტყმელ პოზიციაზე, ყველაზე ხშირად უქმნიდა მათ სახიფათო მომენტებს. მეორე ადგილზე კი აქაც ჩავია. ანუ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩავი 2008-2009 წლების სეზონის საუკეთესო მეპასეა!

| ფეხბურთელი | კლუბი | დაგპ* |
|---|---|---|
| 1. ფრენკ ლემპარდი | ჩელსი | 3.62 |
| 2. ჩავი ერნანდესი | ბარსელონა | 3.54 |
| 3. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 3.24 |
| 4. სესკ ფაბრეგასი | არსენალი | 3.23 |
| 5. სტივენ ჯერარდი | ლივერპული | 2.87 |
| 6. სიმაო საბროსა | ატლეტიკო | 2.85 |
| 7. დევიდ ბექჰემი | მილანი | 2.83 |
| 8. ანტონიო კასანო | სამპდორია | 2.80 |
| 9. თომას კალენბერგი | ოსერი/ვოლფსბურგი | 2.76 |
| 10. დავიდ პისარო | რომა | 2.76 |

*შენიშვნა: * - დასარტყმელ პოზიციაზე გამყვანი პასი საშუალოდ თამაშში*

გოტფრიდ ლენცი


ფრენკ რიბერი


ჩავი ერნანდესი


არნოლდ ბრუგინკი

ჯენოა

# კვარეშმა გამოირიცხა

## ჯენოა კრუსზე გადაერთო?

მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე, იტალიურ გუნდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური „ჯენოაა". გენუური კლუბის მესვეურებმა ორი წამყვანი ფეხბურთელი გაყიდეს, შემდეგ კი გუნდის გაძლიერებას შეუდგნენ და პირველი სერიოზული ტრანსფერიც გაჩარხეს. ალბათ იცით, რომ მომავალი სეზონიდან „ჯენოაში" **ერნან კრესპო** იასპარეზებს.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც „როსობლუში" უნდა გადასულიყო, **რიკარდო კვარეშმა** გახლდათ, თუმცა ტრანსფერი არ შედგა და პორტუგალიელი ჯერაც „ინტერის" ფეხბურთელად მიიჩნევა. არადა, გემახსოვრებათ, თუ როგორი გახარებული იყო „ჯენოას" პრეზიდენტი, კვარეშმაზე დიდ იმედებს ამყარებდა და აცხადებდა, პირენეელი **დიეგო მილიტოს** დაგვავიწყებსო. **ენრიკო პრეციოზი** გუშინ პრესასთან საუბარში გამოტყდა, რომ რიკარდოს გენუაში გადაბარგება გამოირიცხა:

*„კვარეშმას შეძენას წინ არაფერი ედგა, „ინტერის" მესვეურებთან ყველა დეტალი შეთანხმებული გვქონდა, მაგრამ ტრანსფერი მაინც ჩაიშალა. ამაში დამნაშავე თავად ფეხბურთელია, რომელმაც რატომღაც არ ისურვა ჩვენს გუნდში თამაში. ჩვენი პროექტი და ამბიციური გეგმები მისთვის უინტერესო გამოდგა და სხვა გზა არ გვქონდა, ყოველგვარი მოლაპარაკებები შევწყვიტეთ. თუ ფეხბურთელს არ სურს „ჯენოაში" გადმოსვლა, მისი გუნდში ხილვის სურვილი არც მე მაქვს. რიკარდოს წარმატებებს ვუსურვებ იქ, სადაც ითამაშებს, ჩვენ კი უმისოდაც გავალთ ფონს. აქვე, მინდა გამცნოთ, რომ მოტას და მილიტოს სანაცვლოდ, „ინტერიდან" ოთხი ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელი გადმოვიბირეთ. დღეს, მათი გვარები არაფერს გეტყვით, მაგრამ მოვა დრო და ისინი დიდ ფეხბურთს ითამაშებენ. აი, ისინიც: ბონუჩი, ბოლცონი, ფატიჩა, მეჯორინი. თუმცა, კარგად მესმის, რომ გულშემატკივრებს ხმაურიანი გარიგებები სურთ. შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან უახლოეს დღეებში სახელგანთქმულ ფეხბურთელს გადავიბირებთ. დღეს ბევრს ვერაფერს გეტყვით, მხოლოდ იმას გავამხელ, რომ ეს მოთამაშე გასულ სეზონში „ინტერში" ასპარეზობდა. გარდა ამისა, მომავალ კვირაში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან დავიწყებთ მოლაპარაკებებს და იმედია, ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ წარიმართება. მომავალ სეზონში, „ჯენოას" მიზანი ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა იქნება და საამისოდ, სერიოზული გაძლიერება გვჭირდება".*

ჟურნალისტები, რა თქმა უნდა დაფაცურდნენ და იმის გარკვევა დაიწყეს, თუ რომელი ფეხბურთელი შეიძლება გადავიდეს უახლოეს დღეებში „ინტერიდან" „ჯენოაში". საყოველთაო ვარაუდით, ეს **ხულიო კრუსი** უნდა იყოს, თავდამსხმელი, რომელსაც **ჟოზე მოურინიო** ძალიან არ სწყალობს და ძირითადად სათადარიგო სკამზე აყურყუტებს. არადა, კრუსს აქამდე ყველა მწვრთნელი ენდობოდა და ხშირად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში. პორტუგალიელმა კი აითვალწუნა და მას, ახალგაზრდა **მარიო ბალოტელი** ამჯობინა. კაცმა რომ თქვას, ხულიოს მილანიდან გენუაში გადაბარგება ლოგიკასთან ახლოს უნდა იყოს. ფეხბურთელს „ინტერში" სათამაშო დროის დეფიციტი აქვს, „ჯენოაში" კი ამ მხრივ, არავითარი პრობლემა არ შეექმნება. ერთი სიტყვით, მომავალ სეზონში „როსობლუში" შესაძლოა ვეტერან არგენტინელთა შემტევი დუეტი ვიხილოთ. დაგვეთანხმებით, კრუსს და კრესპოს მეტოქეთათვის დიდი ხიფათის მოტანა შეუძლიათ.

ლაშა ნიკლაური

ვალენსია

# ვილიას ბედი გაურკვეველია

## ფლორენტინოს აბრამოვიჩი ყელში გაეჩხირა

ორი დღის წინ „დიარიო მარკამ" სრული სერიოზულობით დაწერა, **დავიდ ვილია** „რეალის" სრულუფლებიანი წევრი გახდაო. მადრიდული გაზეთის ჟურნალისტები იმაზეც საუბრობდნენ, რომ **ფლორენტინო პერესმა რომან აბრამოვიჩს** ბრძოლა პირწმინდად მოუგო. დღეს გაირკვა, რომ ესპანურ გაზეთში დეზინფორმაცია დაიბეჭდა. როგორც აღმოჩნდა, სამეფო კლუბმა „ვალენსიასთან" შეთანხმებას ვერ მიაღწია. ამის მიზეზი სწორედ აბრამოვიჩის მიერ „ლამურებისთვის" შეთავაზებული ფენომენალური წინადადებაა. საეჭვო ვითარებაში გამდიდრებულმა რუსმა ოლიგარქმა ესპანელებს, არც მეტი არც ნაკლები, 52 მილიონი ევრო შესთავაზა. შეგახსენებთ, მადრიდელები „ვალენსიის" ხელმძღვანელებს 38 მილიონ ევროს უხდიდნენ. დაგვეთანხმებით, 14 მილიონი ევრო იმხელა თანხაა, „ლამურებს" დედაქალაქელებისადმი რაოდენ დიდი პატივისცემაც არ უნდა ამოძრავებდეთ, ამ დათმობაზე არ წავლენ. სხვათა შორის, „რეალის" გენერალური დირექტორი ხორხე ვალდანო სწორედ ამ ფაქტზე საუბრობს:

*„არ დავმალავთ, ვილია შეძენა ძალიან გვინდა, მაგრამ ვალენსიელებმა ძალიან დიდი თანხა მოითხოვეს. წინასწარი შეთანხმება მიღწეული იყო, თუმცა „ლამურებმა" „ჩელსის" მომგებიანი წინადადება მიიღეს და ახალი პირობა წამოგვიყენეს. თუ დავიდის გადაბირება გინდათ, 52 მილიონზე ერთი ევროთი მეტი გადაგვიხადეთო. ვილიას უდიდეს პატივს ვცემთ, მას თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად მივიჩნევთ, მაგრამ ამხელა თანხას მაინც ვერ გადავიხდით. ძალიან სამწუხაროა, რომ ლონდონელების გააქტიურების გამო ვითარება შეიცვალა. პირდაპირ ვაცხადებთ, დავიდ ვილიას ანაცვლოდ 52 მილიონ ევროს არ გადავიხდით. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. არ გამოვრიცხავ, სიტუაცია შეიცვალოს და ვილია სწორედ „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადმობარგდეს".*

თავად დავიდი შექმნილ სიტუაციაში აბსოლუტურ სიმშვიდეს ინარჩუნებს და მოვლენებს აუღელვებლად აკვირდება: *„ჩემთვის ძნელია იმის თქმა, მომავალ სეზონს რომელ გუნდში დავიწყებ. სატრანსფერო ბაზარი 31 აგვისტოს დაიხურება. ამ დროის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. „ვალენსიის" ინტერესები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული. არ დაგიმალავთ, „მესტალიიდან" წასვლის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ კარიერა სხვაგან რომ გავაგრძელო, საინტერესო წინადადება უნდა მივიღო. რამდენადაც ვიცი, „ბარსელონა", „რეალი" და „ჩელსი" მეპატიჟებიან. ძალიან კარგი გუნდებია, მაგრამ წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. ბევრი რამ კლუბების მესვეურების მოლაპარაკების შედეგზე იქნება დამოკიდებული".*

ჭადრაკი

# ძაგნიძემ მოულოდნელი შეაჩერა


ნანა ძაგნიძე
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

უკრაინული „მაზურკა" გუშინ ცეცხლოვანმა „ქართულმა" შეცვალა და ეს მოვლენა ალბათ ყველაზე სასიამოვნო იყო გუშინდელ, საკმაოდ დაძაბულ მეექვსე ტურში. მკითხველმა კარგად იცის, რომ იქამდე ერთპიროვნულად უკრაინელი **ანა მუზიჩუკი** ლიდერობდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ანა დაბადებით არის უკრაინელი, თორემ სლოვენიის სახელით ასპარეზობს და უფრო მართებული ამ, ერთობ პატარა და უპრეტენზიო ბალკანური ქვეყნის ხსენება იქნებოდა. იმედია, ჩვენი გულშემატკივარი ამას დიდ მნიშვნელობას არ მიანიჭებს, მისთვის მთავარი - ტურნირზე განვითარებული მოვლენებია და ჩვენც მივადევნოთ თვალი, თუ რა როგორ მოხდა.

მთავარი ბრძოლა პირველ დაფაზე მიმდინარეობდა, სადაც **ნანა ძაგნიძე** ანა მუზიჩუკს ხვდებოდა. ანამ დებიუტი კარგად გაითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ პაიკით ჩამორჩა, მეტოქეს განვითარებაში აჯობა, ანუ პაიკი შეგნებულად დაუთმო. ერთი პერიოდი ისე ჩანდა, თითქოს ქართველის გეგმა მცდარი იყო, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ სწორი გეზი იყო აღებული. სიმართლე ითქვას, ამ აზრის ჩამოყალიბებაში ანამაც შეგვიწყო ხელი, რადგანაც შუა თამაშში მთლად კორექტულად ვერ გაისარჯა ქართველი და სლოვენიელს საკმაოდ სიმპათიური პოზიცია ჰქონდა. თუმცა ნანას კარგი შეტევითი რესურსი გააჩნდა და მის გამოყენებას მიჰყო ხელი - ერთი ისეთი მანევრი ჩაიფიქრა, რომლის ბოლომდე ამოცნობა მუზიჩუკმა ვერ შეძლო და გახდა კიდეც ეს მისი მარცხის მიზეზი. ძაგნიძემ შესანიშნავად განახორციელა ჩანაფიქრი - ფიგურა შესწირა, რის შემდეგაც ფორსირებულად სვამდა შამათს. გაოგნებულმა მუზიჩუკმა ბევრი იფიქრა და რომ მიხვდა, ხსნა არსაიდან იყო, დანებების ნიშნად საათი გააჩერა. ამ გამარჯვებით ნანამ პირველ ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა მარტო ყოფნა არ დაანებეს - **ბელა ხოტენაშვილმა** თეთრებით შესანიშნავ სტილში დაამარცხა საქართველოს ნაკრების წევრი **სოფიკო ხუხაშვილი** და მასაც 5 ქულა გაუხდა.

არანაკლებ ინტერესს აღძრავდა მეორე დაფაზე მიმდინარე ბრძოლა, სადაც **მაკა ფურცელაძე მარია მუზიჩუკს** ხვდებოდა. მართალია, თეთრი ფერით ქართველი იყო, მაგრამ უკრაინელის დამარცხება მაინც რთულია და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ზავს მოაწერეს ხელი. ვფიქრობთ, რომ ქართველი მოჭადრაკისთვის ასეთი შედეგი ცუდი არ არის - ლამის ყველა ფავორიტთან ითამაშა ღირსეულად, რაც მშვენივრად ისახება მის რეიტინგზე - დღეისთვის 25-ზე მეტ პუნქტს იმატებს. მაკასაც და მარიასაც 4,5-4,5 ქულა აქვთ, ისევე, როგორც ანა მუზიჩუკს. მეშვიდე ტურის წილისყრამ დებს არ გაუმართლა და ერთმანეთს შეახვედრა. რთული სათქმელია, იბრძოლებენ თუ არა ანა და მარია მოგებისთვის, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაზავდებიან - რამდენიმე დღის წინათ ჩვენთან საუბარში ორივემ აღნიშნა, რომ აქამდე ყოველთვის ყაიმით ვამთავრებდით ურთიერთშეხვედრებსო.

სასიამოვნოა, რომ წინ მიიწევს **ნინო ხურციძე**. გუშინ მან შავებით სძლია **მირანდა მიქაძეს**. ნინოს 4,5 ქულა აქვს.

დღეს პირველ რვა დაფაზე ერთმანეთს ხვდებიან: ბელა ხოტენაშვილი (5)-ნანა ძაგნიძე (5); ანა მუზიჩუკი (4,5)-მარია მუზიჩუკი (4,5); ნინო ხურციძე (4,5)-მაკა ფურცელაძე (4,5); ლელა ჯავახიშვილი (4)-ქეთი წაწალაშვილი (4); ანა გავაშელი (4)-სალომე მელია (4); ნინო ბაციაშვილი (4)-ინგა ჭარხალაშვილი (4); ლილიტ გალოიანი (4)-ალექსანდრა ვახანია (4); იულია-იონელა იონიცა (3,5)-ლილიტ მკრტჩიანი (3,5).

**ზვიად შათირიშვილი**

კრივი

ინტერვიუ ბეჟან ჭიჭინავასთან

# ტრაბზონში ახალგაზრდები გამოვცადეთ

## კონკურენცია და ნიჭიერება ქართული კრივის წინსვლას განაპირობებს

**ამას წინათ, ტრაბზონის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს მოკრივეთა ნაკრებმა საცდელი შემადგენლობით იასპარეზა და გუნდური მეორე ადგილი დაიკავა. ქართველებმა სამი მედალი მოიპოვეს. ჩემპიონი გახდა მძიმეწონოსანი მიხეილ ბახტიძე, სევერიან ჭილაძემ (48კგ.) და თორნიკე კოტრიკაძემ (57კგ.) კი მეორე ადგილი დაიკავეს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებით დაკომპლექტებულ გუნდს ტრაბზონში ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ბეჟან ჭიჭინავა ხელმძღვანელობდა, რომელსაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ქუთაისის კრივის დარბაზში შევხვდით და თურქული ვოიაჟის შესახებ ვესაუბრეთ.**

- ტრაბზონში საკმაოდ მაღალი დონის ტურნირი ჩატარდა, რომელშიც 10 ქვეყანის მოკრივეები მონაწილეობდნენ. რამაზ ფალიანს საქართველოს ეროვნული გუნდი ბაკურიანში ჰყავდა შეკრებაზე და ამის გამო ტრაბზონში საცდელი გუნდით მიგვავლინეს, თუმცა აქაც იყვნენ ისეთი მოკრივეები, რომლებმაც თავი სხვა ტურნირებშიც გამოიჩინეს. მაგალითად, სევერიან ჭილაძემ (48კგ.) უკრაინის A კლასის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, თორნიკე კოტრიკაძემ კი იმავე ტურნირზე ვერცხლის მედლები მოიპოვა. ორივენი ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან. ტრაბზონის საერთაშორისო ტურნირზე ორივე ვერცხლის პრიზიორი გახდა, რაც მათ სტაბილურობაზე მიანიშნებს. მძიმე წონაში პირველობა არავის დაუთმო საქართველოს ნაკრების ქუთაისელმა წევრმა მიხეილ ბახტიძემ. ამათ გარდა რინგზე გავიდნენ გოჩა დარცულიანი (51) და ამბროსი სუთიძე (69), თუმცა მათ ამ ეტაპზე წარმატების მოპოვება ვერ შეძლეს. საერთო ჯამში, ჩვენმა მოკრივეებმა ღირსეულად იასპარეზეს და დიდი იმედები ჩაგვისახეს. ეს ბიჭები გამოსაცდელად გვყავდა წაყვანილი და გამოცდა წარმატებით ჩააბარეს - თქვა მწვრთნელმა.

**- სხვა ქვეყნების ნაკრებები როგორი შემადგენლობებით იყვნენ წარმოდგენილნი?**

- თურქეთს ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა და პირველ ადგილზე გავიდა. სხვა გუნდები მეორე შემადგენლობებით იყვნენ, თუმცა ტურნირზე ბევრი ძლიერი მოკრივე ვიხილეთ და ბიჭებმა დაძაბულ ორთაბრძოლებში მოიპოვეს მედლები. ბახტიძემ ნახევარფინალში აზერბაიჯანელ მოკრივეს მძიმე ბრძოლაში მოუგო და არანაკლებ რთული ბრძოლა გადახდა თავს ფინალში ირანელ მოკრივესთან, თუმცა ორივე მეტოქის ძლევა მოახერხა. ჭილაძემ და კოტრიკაძემაც კარგად იჩხუბეს, მაგრამ ფინალში არ გაუმართლათ. თურქების მსგავსად ფინალში სამი ქართველი მოკრივე გავიდა და გუნდური მეორე ადგილი ჩვენ დაგვრჩა, მესამეზე კი აზებაიჯანის ნაკრები გავიდა.

**- თუ ახალგაზრდა მოკრივეების ბოლოდროინდელი წარმატებებით ვიმსჯელებთ ალბათ, ეროვნულ ნაკრებში მალე კონკურენციაც უფრო მეტად გაიზრდება...**

- რა თქმა უნდა, კონკურენცია იზრდება და კარგი თაობაც მოდის. ახალგაზრდა ბიჭები სწორედ ასეთ ტურნირებზე უნდა ჩამოყალიბდნენ ნამდვილ მოკრივეებად. ეროვნული ნაკრების მწვრთნელი რამაზ ფალიანი დააკვირდება მათ შედეგებს და ვინც კარგ ფორმაში იქნება და სტაბილურად იასპარეზებს, მისთვის ნაკრების კარიც ღია იქნება.

**- თქვენ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობის პარალელურად ქუთაისის კრივის სკოლაშიც ავარჯიშებთ ბავშვებს. ბოლო დროს ქუთაისელი მოკრივეები წარმატებით გამოდიან საქართველოს ჩემპიონატსა და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში. ტრაბზონშიც სევერიან ჭილაძის გარდა ნაკრებში ყველა ქუთაისური კრივის სკოლის წარმომადგენელი იყო...**

- ეს მხოლოდ წლეულს არ ხდება ასე. სამი წელიწადია ქუთაისელი მოკრივეები ნაკრებში წამყვან როლს თამაშობენ.



შარშან 6 ქუთაისელი მოკრივე გახდა საქართველოს ჩემპიონი, წლეულს კი ხუთი, ეს ციფრები კი ყველაფერზე ნათლად მეტყველებს.

**- ბოლო დროს, ქართულ კრივს ჩავარდნა დაეტყო. ჩვენებს მაღალი რანგის ტურნირებზე თავის გამოჩენა ძალიან უჭირდათ, თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს ქართულ კრივს?**

- ნიჭიერი თაობა მოდის, რაც წინსვლის უდავო საწინდარი გახდება. ჭაბუკთა ასაკში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტად მოგვევლინა თბილისელი მოკრივე ალეკო ჭადაშვილი. სხვა მოკრივეებიც წარმატებით გამოდიან საერთაშორისო ტურნირებზე. ფედერაციაც დიდ ყურადღებას უთმობს ნაკრებ გუნდებს. უფრო მეტი შეკრებები გვაქვს, ტურნირებზეც ხშირად დავდივართ. სადაც მეტი შეკრება ტარდება და ბევრი შეჯიბრებებია, იქ უკეთესი შედეგიც არის. ამიტომაც მაქვს იმედი, რომ ქართველი მოკრივეები კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

კადრები

# პლუს 9 სპეციალისტი

საქართველოში სპორტის სპეციალისტთა რიგებს გუშინ კიდევ 9 ახალგაზრდა კადრი შეემატა. ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი მწვრთნელის სპეციალობით ექვსმა მოკრივემ, ორმა ცხენოსანმა და ერთმა მოფარიკავემ დაამთავრა. გუშინ, ოთხწლიანი სწავლის შემდეგ, კომისიის წინაშე მათ წარმატებით დაიცვეს საბაკალავრო ნაშრომები. ახალგაზრდებს უნივერსიტეტის დამთავრება საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა **ჯუანშერ ზალდასტანიშვილმა** მიულოცა.

**თენგიზ თომაშვილი**

ძიუდო

# ლიდერთა სამეულმა გვერდი აგვიარა

## რა გვაკარგვინებს რეიტინგს?

საერთაშორისო შეჯიბრებები ძიუდოში ერთმანეთს ცვლის, თუმცა იქ ქართველები კანტიკუნტად თუ გამოდიან. საქართველოს ნაკრების თავკაც **შოთა ხაბარელს** კი ასეთი სტრატეგია აქვს აღებული - როტერდამის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ნაკრები მხოლოდ ერთ ტურნირში იჭიდავებს, 4-5 ივლისს რიო დე ჟანეიროს (ბრაზილია) „დიდ სლემზე" (საპრიზო ფონდი 150 ათასი $). ნაკრების თავკაცის საქმეებში არ ჩავერევით (ისედაც უშნოდ აფათურებენ ხელს მავანნი), მაგრამ ჩვენს მოკრძალებულ აზრს კი გამოვთქვამთ - ძიუდოს თანამედროვე ფერხულს, რომ ფეხი ავუბათ კარგი იქნება, რაც შეიძლება ბევრი ჩვენებური მონაწილეობდეს მეტ და მეტ ტურნირში. მით უმეტეს, რომ წლეულს ტურნირები სხვადასხვა კატეგორიად დაიყო და დაწესდა არცთუ ურიგო საპრიზო ფონდი, სპორტსმენს შემოსავლის დამატებითი წყარო უჩნდება. ამით კი ძიუდოს მოყვარულებიც მოიგებენ. ერთიცაა, მაშინ, როცა უარს ვამბობთ სხვადასხვა ტურნირებში ასპარეზობაზე, ჩვენი ძიუდოისტთა ნაწილი მაინც ახერხებს საკლუბო ტურნირებში გამოსვლას და რაღა აზრი აქვს...

მოსკოვის „დიდი სლემისა" და ბუქარესტის მსოფლიოს თასის შემდეგ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ (IJF) ახალი რეიტინგ-ლისტი გამოსცა. გაგაცნობთ წონების მიხედვით ჩვენი ძიუდოისტების მდგომარეობას კლასიფიკაციაში და ლიდერთა სამეულებს. არც ერთ წონით კატეგორიაში აღარაა ქართველი ძიუდოისტი მოწინავე სამეულში! რეიტინგი შესანიშნავად ასახავს, თუ როგორ თანაბრად ვითარდება ძიუდო მთელ მსოფლიოში, მოწინავე სამეულებში მხოლოდ კორეელებს ჰყავთ 4 წარმომადგენელი, რუსებს, იაპონელებს და ბელარუსებს - 2-2, დანარჩენებს კი - თითო.

| 60 კგ | |
|---|---|
| 1. ხეროენ მოორენი (ჰოლანდია) | 392 |
| 2. რიშოდ სობიროვი (უზბეკეთი) | 392 |
| 3. ჰოვჰანეს დავთიანი (სომხეთი) | 360 |
| ... 5. ამირან პაპინაშვილი (საქ) | 292 |
| ... 23. ნესტორ ხერგიანი | 112 |
| ... 26. ლევან ჩუბინიძე | 100 |
| ... 38. ბეთქილ შუკვანი | 64 |
| ... 71. სოსო ნიქარაძე | 16 |

ერთადერთი ამ წონით კატეგორიაში იყო დარჩენილი ჩვენებური კლასიფიკაციის „პოდიუმზე" ბოლო ორმა ტურნირმა **ამირან პაპინაშვილსაც** დააკარგვინა მოწინავე პოზიციები. ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი **ნესტორ ხერგიანი** მოწინავე ოცეულშიც აღარაა. წონაში ორხელისუფლებიანობაა, ჰოლანდიელი **მოორენი** ოდენ უკეთესი კოეფიციენტის წყალობით უსწრებს უზბეკ **სობიროვს**.

| 66 კგ | |
|---|---|
| 1. მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი) | 500 |
| 2. სუგოი ურიარტე (ესპანეთი) | 428 |
| 3. ცაგანბაათარ ხაშბაათარი (მონღ.) | 332 |
| ... 34. შალვა ძარდავა | 80 |
| ... 46. ნესტორ ხერგიანი | 60 |
| ... 62. მინდია ხომიზური | 36 |
| ... 88. გიორგი ფირსაშვილი | 12 |
| ... 88. სანდრო იაკობაშვილი | 12 |

რა კომენტარი უნდა გავუკეთოთ ამ მდგომარეობას? წონაში საუკეთესო ქართველი 34-ე ადგილზეა! ხოლო სავარაუდო ლიდერ **ზაზა კედელაშვილს** 66 კგ წონით კატეგორიაში სეზონში ერთი ორთაბრძოლაც არ გაუმართავს! აქ დამსახურებულად ლიდერობს თბილისის ტრიუმფატორი, ევროპის ჩემპიონი **მიკლოშ უნგვარი.**

| 73 კგ | |
|---|---|
| 1. კი ჩუნ ვანგი (კორეა) | 600 |
| 2. მანსურ ისაევი (რუსეთი) | 416 |
| 3. დირკ ვან ტიშელტი (ბელგია) | 388 |
| ... 33. თენგიზ პაპოშვილი | 76 |
| ... 39. ზაზა კედელაშვილი | 60 |
| ... 55. მინდია ხომიზური | 36 |
| ... 107. ამბაკო ავალიანი | 8 |

ქულათა შთამბეჭდავი მარაგით ლიდერობს აზიის ჩემპიონი, კორეელი **ჩუნ ვანგი.** ქართველთა მდგომარეობა ამ წონით კატეგორიაშიც კატასტროფულია.

| 81 კგ | |
|---|---|
| 1. დაე ნამ სონგი (კორეა) | 420 |
| 2. სიარჰეი შუნძიკაუ (ბელარუსი) | 400 |
| 3. იაე ბუმ კიმი (კორეა) | 380 |
| ... 11. ლევან წიკლაური | 188 |
| ... 19. ხვიჩა ხუციშვილი | 148 |
| ... 44. გრიგოლ შინჯიკაშვილი | 52 |
| ... 60. საბა გავაშელიშვილი | 28 |
| ... 87. გრიგოლ ბაინდურაშვილი | 8 |

კორეელი **სონგი** ისე ლიდერობს კლასიფიკაციას, რომ მას მონაწილეობა არ მიუღია აზიის ჩემპიონატში. ამ წონაში გარკვეულ იმედს გვისახავს **ლევან წიკლაურისა** და **ხვიჩა ხუციშვილის** შედეგები.

| 90 კგ | |
|---|---|
| 1. ანდრეი კაზუსიონაკი (ბელარუსი) | 556 |
| 2. ივ მატეო დაფრევილი (საფრან.) | 500 |
| 3. ტაკაში ონო (იაპონია) | 480 |
| ... 6. ვარლამ ლიპარტელიანი | 268 |
| ... 26. ზვიად გოგოჭური | 100 |
| ... 48. მინდია ბოდაველი | 36 |
| .... 66. გრიგოლ მამრიკიშვილი | 20 |

თბილისურ ფინალში **ლიპარტელიანის** დამმარცხებელი **კაზუსიონაკი** ლიდერია, მან ახლახან გადაუსწრო ფრანგ **დაფრევილს.**

| 100 კგ | |
|---|---|
| 1. ტაკამასა ანაი (იაპონია) | 536 |
| 2. რამადან დარვიში (ეგვიპტე) | 420 |
| 3. ჰეე ტაე ჰვანგი (კორეა) | 408 |
| ... 23. ლომერ ჭორჭოლიანი | 96 |
| ... 26. ირაკლი ცირეკიძე | 80 |
| ... 38. დავით ლორიაშვილი | 60 |
| ... 45. ნოდარ მეტრეველი | 36 |
| ... 70. დიმიტრი ტურაშვილი | 16 |

მხოლოდ ამ წონით კატეგორიაში ლიდერობს ძიუდოს ფუძემდებელი ქვეყნის წარმომადგენელი, იაპონია ნელ-ნელა კარგავს მოწინავე პოზიციას.

| მძიმე | |
|---|---|
| 1. ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი) | 552 |
| 2. ანის ჩედლი (ტუნისი) | 448 |
| 3. ოსკარ ბრისონი (კუბა) | 400 |
| ... 13. ზვიად ხანჯალიაშვილი | 200 |
| ... 16. ადამ ოქრუაშვილი | 188 |
| .... 27. ლაშა გუჯეჯიანი | 76 |
| ... 35. ნოდარ მეტრეველი | 40 |

**მიხაილინს** სამშობლოში, „დიდ სლემზე" მოპოვებული 300 ქულა დაეხმარა პირველ ადგილზე გადასასვლელად, აქამდე პირველადგილოსანი კუბელი **ბრისონი** კი მესამეზე ჩამოქვეითდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მკლავჭიდი


ერეკლე გურჩიანი შეგირდებთან ერთად
გიორგი ჭანიშვილის ფოტო

საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ, 10 ივნისს, მკლავჭიდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა - **სოსო ჯაჭვლიანმა** და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ერეკლე გურჩიანმა** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართეს. პრესკონფერენციას ნაკრების წევრებიც ესწრებოდნენ(შეჯიბრების შედეგები "ლელომ" გუშინწინ გამოაქვეყნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# გიორგი ცინცაძე ესტონეთის საუკეთესო კალათბურთელია!

## სანიკიძეს და ცინცაძეს თვალი ძლიერმა კლუბებმა დაადგეს



ვიქტორ სანიკიძე და გიორგი ცინცაძე

უკრაინის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საუკეთესო კალათბურთელად **მანუჩარ მარკოიშვილი** დასახელდა. ესტონეთის პირველობა შედარებით გვიან დამთავრდა და საუკეთესოთა ჩამონათვალი ახლაღა გამოცხადდა. 2008-09 წლების რჩეული კალათბურთელი "ტარტუ როკის" ქართველი გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** გახდა. როგორც წესი, MVP-ს ჯილდოს, ძირითადად, ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდის წევრს აძლევენ, თუმცა მეორეადგილოსანმა ცინცაძემ იმდენად დამაჯერებლად იასპარეზა, რომ სპეციალისტებმა იგი სეზონის საუკეთესოდ დაუფიქრებლად აღიარეს. ამ გადაწყვეტილებაზე გარკვეულწილად იმოქმედა ფინალური სერიის მეექვსე მატჩში ბუს კარგმა თამაშმა. იგი მარტოდმარტო ებრძოლა "კალევს", 26 ქულა მოაგროვა, თუმცა დამარცხდა.

სეზონის MVP-ს გარდა კიდევ რამდენიმე ნომინაციაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ფინალური სერიის საუკეთესო კალათბურთელად კალეველი **კრისტიან კანგური** გამოაცხადეს, რომლის გუნდი ჩემპიონი გახდა.

№1 უკანახაზელისთვის განკუთვნილი ჯილდო... თავადაც მიხვდებოდით, რომ გიორგი ცინცაძეს ერგო. საუკეთესო უცხოელადაც ბუ (ცინცაძის მეტსახელი) დასახელდა. იგი ესტონეთის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

არც მეორე ტარტუელი **ვიქტორ სანიკიძე** დარჩენილა უყურადღებოდ. იგი გიორგი ცინცაძესთან ერთად ლეგიონერთა სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

ეს რომ დავწერეთ, კიდევ ერთხელ გადავხედეთ ნომინანტთა ჩამონათვალს – ქართველების მიერ მიღებული რომელიმე ჯილდო არ გამოგვრჩეს-თქო. არ გამოგვრჩენია. ...საუკეთესო ცენტრის ნომინაციაშიც ბუ ხომ არ გაიმარჯვებდა?!

ვულოცავთ ქართველ "როკერებს" წარმატებებს, მკითხველს კი ვპირდებით, რომ მათთან ინტერვიუებს უახლოეს დღეებში შევთავაზებთ.

ახლა ყველაზე საინტერესო ამ ბიჭების სატრანსფერო ამბებია. ჯერ არ გადაწყვეტილა, სად გააგრძელებენ ცინცაძე და სანიკიძე თამაშს, თუმცა ესტონური წყაროების ინფორმაციით, ქართველებს ისეთი ძლიერი კლუბები ეპატიჟებიან, რომლებსაც "ტარტუ როკი" კონკურენციას ვერ გაუწევს.

აი, რას წერს ესტონური გამოცემა "დელფი":

*"ქართველი მოთამაშეები, გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძე "ტარტუ როკთან" ხელშეკრულებას, სავარაუდოდ, აღარ გაახანგრძლივებენ"*, - ამის შესახებ განაცხადა ტარტუელთა მენეჯერმა, **მეელისმა**. მან იქვე დასძინა:

*- ქართველებს "როკში" კარგი სეზონი ჰქონდათ. მათ ძლიერი, უცხოური კლუბებისგან არაერთი წინადადება მიიღეს და ჩვენი ბიუჯეტით ასეთ გუნდებს ქართველებში ვერ შევეცილებით. ვეცდებით, ცინცაძისა და სანიკიძის შემცვლელი მაღალი დონის უცხოელები მოვძებნოთ. ლეგიონერების გარეშე ბალტიის თასსა და ევროტურნირებზე წარმატებით თამაში გაგვიჭირდება.*

*მენეჯერის თქმით, "როკში" დარჩენას არც ამერიკელი* **ტანოკა ბერდი** *აპირებს."*

**ვაჟა სიმონიშვილი**



ტურნირის გამარჯვებული ზაზა

# ზაზამ იპირველა

თბილისის 21-ე საჯარო სკოლასთან შარშან ჩამოყალიბდა საკალათბურთო კლუბი „ვერე-2008", რომელსაც სათავეში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **თამაზ ოქრუაშვილი** ჩაუდგა. სწორედ მისი ინიციატივით წლის მიწურულს საფუძველი ჩაეყარა თბილისის „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდის მთავარი მწვრთნელის, ამაგდარი პედაგოგის **გიორგი ავალიშვილის** ხსოვნის ტურნირს. შეჯიბრებაში 1994 წელს დაბადებულ სპორტსმენთა 12 გუნდი ჩაება. ისინი ოთხ წრედ შეხვდნენ ერთმანეთს. ფინალში „ზაზა" (სახელი **ზაზა ფაჩულიას** პატივსაცემად დაერქვა, რადგან გუნდს ზაზას ყოფილი მწვრთნელი **ზურაბ სამხარაძე** ავარჯიშებს) და კალათბურთის აკადემია (მწვრთნელები — **გელა წულაძე, გია კაზანჯიანი, ვასილ სომხიშვილი**) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სამრაუნდიან დაძაბულ ორთაბრძოლაში „ზაზამ" (**კახა გიორგაძე, ნიკო ხუციშვილი, ლევან კაკაურიძე, ბექა ბურჯანაძე, თორნიკე იჩქითი, ირაკლი გაბელია, მერაბ მირზიაშვილი, გიორგი სამნიაშვილი, ბექა ბაშარული, ნიკო მჭედლიშვილი, გიორგი ჟღენტი, გუგა ძიძიგური**) 2:1 (83:74, 54:66, 89:70) სძლია მეტოქეს და დაეუფლა მთავარ პრიზს, რომელიც გამარჯვებულებს გიორგი ავალიშვილის ქალიშვილმა, ქალბატონმა ქეთევანმა გადასცა.

მესამე ადგილისთვის პაექრობაში „ორბმა" (**ზვიად დიდბარიძე, ნინო ყიფშიძე**) „ვერე-2008" (თამაზ ოქრუაშვილი) დაამარცხა - 61:52.

შეჯიბრების ორგანიზატორთა თქმით, გიორგი ავალიშვილის ტურნირი ტრადიციული გახდება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ლევან მიქელაძე:

# შენგელიამ NBA-ს სკაუტები დააინტერესა

გუშინ შემოგთავაზეთ ტრევიზოს კემპზე **თორნიკე შენგელიას** თამაშის განხილვა. გითხარით, რომ იგი ტურნირზე ბულგარელ **ტომას სატორანსკისთან** ერთად ყველაზე ახალგაზრდა იყო და ბოლო დღეს თორნიკემ ტურნირის "ოლ სტარში" ითამაშა.

კემპზე შენგელიას გარდა ერთი ქართველიც ჩავიდა – მისი აგენტი **ლევან მიქელაძე**. მან სხვა საინტერესო ამბებთან ერთად გვითხრა, რომ თოკო კემპის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. მოვუსმინოთ ლევან მიქელაძეს:

*- ტრევიზოში 6 ივნისს ჩამოვედი. იმ დროისთვის თორნიკეს პირველი ოფიციალური ვარჯიში უკვე ჩატარებული ჰქონდა. კემპის დაწყებიდან შენგელია უამრავი მწვრთნელის, სკაუტის და კლუბის წარმომადგენლის ყურადღების ცენტრში მოექცა. ვფიქრობ, საზაფხულო ბანაკი თორნიკესთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თუნდაც იმიტომ, რომ დაამტკიცა - თავის ასაკში ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა.*

გუშინაც გითხარით, რომ ამ სახის ღონისძიებები უმთავრესად NBA-ს გუნდებისთვის ტარდება. ამერიკელები აგზავნიან უამრავ დამკვირვებელს, რომლებიც ნარჩევ ევროპელებში სათავისოდ საუკეთესოებს არჩევენ. საინტერესოა, შენგელიამ თუ დააინტერესა ოკეანისგაღმელი სპეციალისტები.

*- პირველივე დღეს თორნიკეს შესახებ „დალას მავერიქსის" სკაუტინგის დირექტორი ამადუ ფოლი მესაუბრა. მან მითხრა იგივე, რაც ბევრმა სხვა სკაუტმა: შეუძლებელია დაადგინო თორნიკე შენგელიას ნამდვილი ამპლუა, მაგრამ შეიძლება ივარაუდო, რომ ის NBA-ში, ან ევროპაში, ყველაზე სასარგებლო მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე იქნებაო. მოკლედ, 203 სმ სიმაღლის ქართველმა დიდი საფიქრალი გაუჩინა NBA-ს სკაუტებს, თუმცა უცხოელმა სპეციალისტებმა თორნიკეს ამპლუას შესაბამისი ტერმინი, "უნივერსალი" შეურჩიეს. მათი დახასიათებით, ქართველი ფორვარდი ბურთს შესანიშნავად ფლობს, აქვს მოედნის ფანტასტიკური ხედვა და შეუძლია ფარს ქვემოთ თამაში, რაშიც მისი ფიზიკური მონაცემები ეხმარება,* - მოგვითხრობს ლევან მიქელაძე.

მისივე თქმით, ჭაბუკმა შენგელიამ საუკეთესო მატჩი "მწვანეების" წინააღმდეგ ჩაატარა. მოვუსმინოთ შეხვედრის თვითმხილველს:

*- თორნიკეს გუნდი "წითლები" ფრანგი ნანდო დე კოლოს მწვანეებს დაუპირისპირდა. ამ მატჩის ბედი შენგელიამ გადაწყვიტა: საშუალო მანძილიდან რეალიზებული ორქულიანის და ბოლო 2 წუთში 2 ჩაჭრის წყალობით, "წითლებმა" "მწვანეებს" 68:64 სძლიეს. სხვათა შორის, ფრანგი ნანდო დე კოლო, რომელიც წლევანდელ ევროჩელენჯზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო (ფრანგული "შოლეს" შემადგენლობაში), მომავალი სეზონიდან "პამესა ვალენსიას" შეუერთდება. "წითელ"-"მწვანეების" შეხვედრას "ვალენსიას" მთავარ მწვრთნელ ნევენ სპაჰიასთან და "პანათინაიკოსის" მეორე მწვრთნელ დიმიტრის იტუდისთან ერთად ვუყურებდი. ბერძენი სპეციალისტი კემპის დირექტორის პიტ ფაილოს მოწვევით იტალიაში ერთი დღით ჩამოვიდა, რათა ვარსკვლავთა გუნდს ჩასდგომოდა სათავეში. თორნიკე შეხვედრის საკვანძო ფიგურა იყო და, შესაბამისად, ბევრი სკაუტიც აალაპარაკა. სპაჰიას და იტუდისის საუბარიც, თორნიკეს თამაშს შეეხო. "ვალენსიას" ხორვატი მწვრთნელი ქართველის მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებდა, ლაპარაკობდა მისი განვითარების მომავალ გეგმაზე. ბერძენმა მწვრთნელმა შენგელიასთან ერთად გიორგი შერმადინი გაიხსენა და ხაზი გაუსვა ქართული კალათბურთის დიდ პერსპექტივას.*



თორნიკე შენგელია

სკაუტებიც კარგია, საქებარი სიტყვებიც სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე: გაისად სად ითამაშებს თორნიკე შენგელია? ამომწურავი პასუხი არც მის აგენტ ლევან მიქელაძეს აქვს:

*- შენგელიას 5 ოქტომბერს 18 წელი შეუსრულდება და ფიბა-ს კანონმდებლობის თანახმად, ავტომატურად გახდება თავისუფალი აგენტი. მას შეეძლება ხელშეკრულების გაფორმება ნებისმიერ კლუბთან. ამ კემპის მსვლელობისას ევროპის მრავალმა გრანდმა გამოიჩინა ინტერესი თორნიკეს მიმართ, მაგრამ არ ვჩქარობთ, რადგან შენგელიას წინ დატვირთული ზაფხული ელის, ჯერ საქართველოს თვრამეტწლამდელთა, ხოლო შემდეგ დიდ ნაკრებთან ერთად. რა თქმა უნდა, "ვალენსია", სადაც თორნიკემ თითქმის 2 წელი დაყო, პირველი ეცდება ხელშეკრულების გაფორმებას, მაგრამ სხვა კლუბების შემოთავაზებები დღითი დღე მატულობს... არ ავჩქარდებით, რათა ნიჭიერი ქართველი კალათბურთელისთვის ოპტიმალური ვარიანტი მოვძებნოთ.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# მარცხი 6:0-ის შემდეგ

საფრანგეთის ქალაქ მარსელის ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი ამერიკული დოლარია, ასპარეზობა დაასრულა საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (172). ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში მას ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა, მე-5 ნომრად განთესილმა **პოლინ პარმენტიემ** (78) მოუგო. მარცხში საოცარი თითქოს არაფერია, პარმენტიე ტატიშვილს რეიტინგში 100 საფეხურით უსწრებს, მასზე ბევრად გამოცდილია და იგი მშობლიური ქალაქის კორტებზე თამაშობდა, მაგრამ ანამ ხომ პირველი სეტი პირწმინდად, 6:0 მოიგო! არ ვიცით, შემდეგ რა დაემართა ჩვენს გამორჩეულ მეჩოგნეს, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი რამ, მას ადრეც მოსვლია, დაწინაურებულა შეხვედრაში, შემდეგ კი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური გამძლეობა არ მიჰყოლია თამაშის ბოლომდე. გადამწყვეტი მეორე სეტის ტაი-ბრეიკი აღმოჩნდა, რომელიც პარმენტიემ ჩვენებურს 7:2 მოუგო, საბოლოოდ - 6:0, 6:7 (2), 3:6. ანამ ძალიან ცუდ დროს წააგო, მარსელში მან მხოლოდ ერთი სარეიტინგო ქულა შეიმატა, შარშან ამ დროს კი მან ელ პასოს (აშშ) ტურნირის მოგებით 50 ქულა აიღო, რომელიც ერთ კვირაში ჩამოაკლდება და ქართველი მეჩოგნე 200-ეულიდან გავარდება.

უზბეკეთის ქალაქ ქარშიში ძალზე წარუმატებლად დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $) ჩვენებურებისთვის - ოთხი ჩოგბურთელიდან სამი პირველივე ეტაპზე დამარცხდა, ყველაზე ბოლოს 17 წლის **ეკა გორგოძემ** (549) წააგო, მას საკვალიფიკაციო წრის გამარჯვებულმა უკრაინელმა **ანასტასია ლიტოვჩენკომ** მოუგო - 6:3, 7:5. საოცარია, გორგოძე ურეიტინგო ჩოგბურთელთან დამარცხდა. ქარშის ერთეულთა ბადეში მხოლოდ **ოქსანა კალაშნიკოვა** (290) დარჩა, რომელიც მე-7 ნომრადაა განთესილი. ამავე ტურნირის წყვილთა ბადეში სამი ქართველი რჩება. პირველ წრეში თანამემამულეთა დაპირისპირების მომსწრენი გავხდით - **სოფიო შაფათავას** (270) და **ელენა კულიკოვას** (რუსეთი, 343) მე-4 ნომრად განთესილმა დუეტმა **სოფიო ქვაცაბაიასა** (564) და **ავგუსტა ციბიშევას** (რუსეთი, 617) წყვილი ძალზე დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა - 7:6 (4), 7:6 (3). მეოთხედფინალშია ოქსანა კალაშნიკოვასა და **კრისტინა ანტონიჩუკის** (უკრაინა, 229) მესამე ნომრად განთესილი გუნდი, ასევე - ეკა გორგოძისა და **ვიქტორია იამიალიანავას** (ბელარუსი, 697) დუეტი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

წყალბურთი

# თითო მოგება, ფრე და წაგება

დნეპროდერჟინსკში გრძელდება წყალბურთელთა უკრაინის ღია ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი, რომელშიც 6 გუნდი მონაწილეობს, მათ შორის — საქართველოს ნაკრებიც (მთავარი მწვრთნელი — **ვლადიმერ ისელიძე**). ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენები პირველ ტურში მარიუპოლელებს დაუზავდნენ — 9:9, შემდეგ კიეველებს სძლიეს - 10:9, გუშინ კი მსგავსი ანგარიშით სევასტოპოლელებთან დათმეს შეხვედრა. ტურნირის ბოლომდე ქართველი წყალბურთელები კიდევ ორ მატჩს გამართავენ.

**ვაჟა დანელია**

## მილოცვა

საქართველოს სპორტის ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაცია და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავენ ვეტერან აკრობატს, მსოფლიოს და ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონს, მსოფლიოს თასის მეორე პრიზიორს, სსრკ-ის სამგზის ჩემპიონს და თასის მფლობელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, პროფესორ მანანა მნათობიშვილს.

ბიბლიოთეკა

# ევროპის ჩემპიონატები

## ვერცხლის მედალოსნები

1. აკობია მარინა - წყალბურთი - 1993, 1997
2. ალთუნაშვილი ლევან - მკლავჭიდი - 1990, 1991
3. ანისიმოვა ნატალია - აკრობატიკა - 1990
4. არახამია-გრანტი ქეთევან - ჭადრაკი - 1992 გუნდური
5. ასათიანი თამილა - ტყვიის სროლა - 2005
6. ასანიძე გიორგი - ძალოსნობა - 1998
7. ბარკალაევი აბდულა - ძიუდო - 1975
8. ბედინაძე დავით - ბ/ რ ჭიდაობა - 2006
9. ბედოშვილი ელისო - მხატვრული ტანვარჯიში - 1990
10. ბერიშვილი იოსებ - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1976
11. ბიჩინაშვილი ხვიჩა - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1998
12. ბიძინაშვილი არჩილ - სამბო - 1992, 1993, 1994
13. ბოდაველი დავით - ძიუდო - 1982
14. ბლიაძე ომარ - ბ/რ. ჭიდაობა - 1972
15. გერასიმოვა ირინა - ცურვა - 1983
16. გვიჩიანი გია - მკლავჭიდი - 1991
17. გიორგობიანი ინგა - აკრობატიკა - 1990
18. გოგიჩაიშვილი ბორის - ძიუდო - 1972
19. გოგოლაური გურამ - ძიუდო - 1971, 1972
20. გოგოლაძე ლერი - წყალბურთი - 1962
21. გოგოლაძე კობა - კრივი - 1998
22. გოკიელი ელენე - მძლეოს. 80 მ. თარჯრბენი, ესტაფეტა 4X100 - 1946
23. გურჩიანი ერეკლე - მკლავჭიდი 1995, 1999, 2005
24. გუჯეჯიანი ლაშა - ძიუდო - 2007
25. დავითაშვილი ალექსი - სუმო - 1998
26. დიასამიძე ასმათ - მშვილდოსნობა - 2002
27. დოლონაძე ანა - ბატუტზე ხტომა - 1993 - 2, 1995, 2000 - 2
28. ებანოიძე ლევან - სუმო 1999
29. ვაზაგაშვილი გიორგი - ძიუდო - 1995
30. ვანშტეინი ლევ - ტყვიის სროლა - 1955
31. ზურაბიანი ოლეგ - ძიუდო - 1976
32. იზორია ნიკოლოზ - კრივი - 2004
33. იმნაიშვილი თამაზ - სასტ. სროლა- 1973, 1974, 1975, 1982, 1984, 1985
34. კაკალაძე კობა - თავისუფალი ჭიდაობა - 2008
35. კაკულია თეიმურაზ - ჩოგბურთი - 1973, 1977, 1978
36. კასიანიკი მოისეი - ძალოსნობა - 1947
37. კახიაშვილი კახი - ძალოსნობა - 1994
38. კვირკველია მანუჩარ - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 2002
39. კიკნაძე ანზორ - ძიუდო - 1967, 1968
40. კიბორძალიძე აკაკი - ძიუდო - 1988
41. კოკორევი ბორის - ტყვიის სროლა - 1998
42. კოსმინინი კონსტანტინე - ტყვიის სროლა - 1981
43. კოლუაშვილი გიორგი - ბ/რ. ჭიდაობა - 2000
44. კუზანაშვილი უშანგი - სამბო - 2008
45. კუნდუხაშვილი სოსლან - კარატე - 2001
46. კურდღელაშვილი მამუკა - სამბო - 1994, 2004
47. კურტანიძე ლუკა - თავისუფალი ჭიდაობა - 1993, 1995, 2002
48. ლადიგინა ოლგა - მშვილდოსნობა - 2002
49. ლეკვეიშვილი თინათინ - ცურვა - 1970
50. ლიპარტელიანი სოსო - ძიუდო - 1993
51. ლომიძე შოთა - თავისუფალი ჭიდაობა - 1967
52. მარგოშვილი დავით - ძიუდო - 2001, 2003
53. მარსაგიშვილი რომან - თავისუფალი ჭიდაობა - 1972
54. მეკოკიშვილი გოჩა - სამბო - 1991
55. მეტრეველი ალექსანდრე - ჩოგბურთი - 1971, 1972, 1974
56. მინდორაშვილი რევაზ - თავისუფალი ჭიდაობა - 2004, 2008
57. მიქიაშვილი ბიძინა - ძალოსნობა - 1996
58. მოდებაძე ალექსი - თავისუფალი ჭიდაობა - 2001
59. მშვენიერაძე პეტრე - წყალბურთი - 1962
60. ნათელაშვილი ჯემალ - ძიუდო - 1968 - 2
61. ნარიმანიძე ხათუნა - მშვილდოსნობა - 2002
62. ნიკიტინი ბორის - ცურვა - 1958
63. ნიჟარაძე ჯიბილო - ძიუდო - 1977, 1978
64. ნიქაცაძე ემზარ - კარატე - 2007
65. ოვოიანი ირინა - აკრობატიკა - 1990
66. ონაშვილი გივი - ძიუდო - 1969, 1972, 1976
67. ოთიაშვილი დავით - თავისუფალი ჭიდაობა - 2002
68. პარუნაშვილი ვალერი - სამბო - 1993
69. რევაზიშვილი გიორგი - ძიუდო - 1997
70. ჟემჩუჟინა ირინა - მხატვრული ტანვარჯიში - 1980
71. ჟღენტი ტარიელ - სასტენდო სროლა - 1982
72. სანეევი ვიქტორ - მძლეოსნობა - სამხტომი - 1971, 1978
73. სანთელაძე სოფრომ - მკლავჭიდი - 1991
74. სალუქვაძე ნინო - ტყვიის სროლა - 2005 - 2, 2008
75. სამხარაძე ვეფხია - მკლავჭიდი 1997, 1998, 1999, 2000
76. სარსანია ზურაბ - კრივი - 1993
77. სარხოიანი სარგის - მაგიდის ჩოგბურთი - 1966, 1968, 1970
78. საღირაშვილი გელა - თავისუფალი ჭიდაობა - 2007
79. სულაქველიძე თენგიზ - ფეხბურთი - 1988
80. ტუტაკაევი ალექსანდრე - ცურვა - 1966
81. უჩაძე ნინო - ტყვიის სროლა - 2005
82. ფალასანიდი ქრისტინე - სინქრონული ცურვა - 1987
83. ფიცხელაური შენგელი - ძიუდო - 1971, 1973, 1975
84. ქამხაძე ჯამბულ - სამბო - 1998
85. ქევხიშვილი დავით - ძიუდო - 2002, 2007
86. ქიბროწაშვილი ანზორ - ძიუდო - 1963, 1967, 1969
87. ქევხიშვილი დავით - ძიუდო - 2007
88. ქორქია მიხეილ - კალათბურთი - 1975, 1977
89. ქულუსაშვილი თინათინ - სამბო - 2008
90. შანიძე დიტო - ძალოსნობა - 1968, 1969, 1971, 1974
91. ჩაჩუა აკაკი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1999
92. ჩიკვილაძე ფარნაოზ - ძიუდო - 1964, 1966
93. ჩიმიშკიანი რაფაელ - ძალოსნობა - 1953
94. ჩიქვანაია გივი - წყალბურთი - 1962
95. ჩოჩიშვილი შოთა - ძიუდო - 1973, 1974, 1975
96. ჩოხელი არჩილ - სამბო - 2001
97. ცირეკიძე ირაკლი - ძიუდო - 2007
98. ციციაშვილი გოჩა - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1994
99. ყიფშიძე ირმა - მხატვრული ტანვარჯიში - 1986
100. ძოძუაშვილი რევაზ - ფეხბურთი - 1972
101. ჭოჭუა ირაკლი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 2001
102. ხაბარელი შოთა - ძიუდო - 1979, 1982
103. ხანიშვილი აკაკი - სამბო - 2001
104. ხარშილაძე რამაზ - ძიუდო - 1976
105. ხასაია ბადრი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 2008
106. ხაჭაპურიძე ლაშა - კარატე - 2003, 2004
107. ხოფერია რუსუდან - ბატუტზე ხტომა - 1987 - 2, 1993 - 2, 1995.
108. ხოხაშვილი ნოდარ - თავისუფალი ჭიდაობა - 1969
109. ხუბულური თემურ - ძიუდო - 1981
110. ხურცილავა მურთაზ - ფეხბურთი - 1972
111. ჯავახაძე ვახტანგ - მკლავჭიდი 1999, 2000
112. ჯანანაშვილი მამუკა - სამბო - 1998
113. ჯანოშვილი ედუარდ - კარატე - 2007
114. ჯანიაშვილი ბადრი - სამბო - 1996
115. ჯინჭველაშვილი გიორგი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 1997
116. ჯიქურაული ივერი - ძიუდო - 1995, 2000.

*დასაწყისი ლელო №52 (12731).*
*გაგრძელება იქნება*

გურამ ძაგანია, პროფესორი

# ქართველი მხედრები ვინძორის სასახლეში

გადაშალეთ ძველი დროის მწერალთა და ისტორიკოსთა, ბევრის მნახველ მოგზაურთა და ვაჭართა ქრონიკები და თქვენ გაეცნობით აურაცხელ ცნობას ქართული ეროვნული ასპარეზობების თაობაზე და მათ შორის მეტწილად ცხენოსნური თამაშობანი იქცევს ყურადღებას.

ქართული ცხენოსნობის მეტად საინტერესო ფაქტებია აღწერილი ძველი დროის ბერძენი მწერლის როდოსელის „არგონავტიკაში“: *„არესის ველი, ქალაქის პირისპირ მდებარეობდა და მდინარის ნაპირს ოდნავ იყო მოშორებული. არესის ველზე ვრცელი ასპარეზი იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები აქ ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად ბრძოლასა და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ ხოლმე“.*

თეიმურაზ და არჩილ მეფეს ლექსად აქვთ აღწერილი ცხენზე თამაშობის წესები, რომლებითაც ჩვენ დღემდე ვსარგებლობთ. ქართული ხალხური პოეზია დასაბამიდან დღემდე აღავლენს ქებას ცხენის და მისი დამამშვენი მხედრის მიმართ, რომელთაც მრავალჯერ უსახელებიათ თავი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში, თუ სპორტულ ასპარეზობებზე.

ქართველ ცხენოსანთა საგმირო საქმეებზე მოგვითხრობენ ისტორიული ფაქტები.

1892 წელს ქართველ ცხენოსანთა გუნდი დიდ ბრიტანეთსაც ესტუმრა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მათი ჯირითი და თამაში. დიდი ბრიტანეთის სამეფო კარზეც კი დაირხა ხმები ჩაუქი მოჯირითეების შესახებ. 1892 წლის 25 ივლისს ქართველი მხედრები მიიწვიეს ვინძორის სასახლეში, სადაც მათ დედოფალი ვიქტორიასა და დიდებულ ლორდთა თანდასწრებით იჯირითეს. მაყურებელთა განცვიფრება და კმაყოფილება იქიდან ჩანს, რომ ქართველ ცხენოსნებს თვით ვიქტორიამ გადაუხადა ულრმესი მადლობა სიამოვნებისთვის.

გენუის სპორტული კლუბის წევრი, მე-6 მსოფლიო ფესტივალის მონაწილე იტალიელი კასტანინი წერდა: *„ძალიან მომეწონა ფუტბოლი ცხენზე (ე.ი. ცხენბურთი). ბევრჯერ მინახავს ცხენით თამაში პოლო, მაგრამ ცხენბურთი თავისი სილამაზით, მოქნილობით და სირთულით ყველა იმ თამაშობას სჯობია“* (კ. ნაჭყებია — „ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი“).

1903 წელს მარტის მიწურულს 20 კაცისგან შედგენილი, კარგად გაწვრთნილი ცხენოსანთა გუნდი გაემგზავრა ბათუმიდან ამერიკაში. გუნდმა ექვსი დღე დაყო მარსელში, სადაც დიდი ყურადღება მიიპყრო.

**პირველი** საჩოგბურთო კორტი საქართველოში ჭიათურის მანგანუმის მრეწველებმა მოაწყვეს 1908 წელს. 1910 წელს უკვე ბათუმში ჩატარდა ჭიათურისა და ბათუმის ჩოგბურთელების შეხვედრა. ერთი წლის შემდეგ კი შეჯიბრება მოეწყო ჭიათურაში.

**პირველმა** ქართველი ტანმოვარჯიშეებიდან საერთაშორისო სარბიელზე აღიარება მოიპოვა **გიორგი ნიკოლაძემ**. 1912 წელს პრაღაში გამართულ სოკოლელთა ფორუმზე იგი 2 ათას მონაწილეს შორის მე-15 ადგილზე გავიდა.

**პირველად** საქართველოში საკრივო მატჩი გაიმართა 1923 წლის 15 ივლისს თბილისში. ამიერკავკასიის სამხედრო ოლიმპიადის პროგრამით, პ. მარლანიძის თაოსნობით მოეწყო **მ. ჯინჭარაძისა** და **კ. ჟიგარევის** შეხვედრა. ამ დროს კრივი, გარდა თბილისისა, უკვე დანერგილი იყო ბათუმსა და სოხუმში.

## 11-17 ივნისი

**11 ივნისი.** 1962 წ. დაიბადა **მანანა მნათობიშვილი**. აკრობატიკა.

**13 ივნისი.** 1976 წ. რეკონსტრუქციის შემდეგ მწყობრში ჩადგა თბილისის „დინამოს“ სტადიონი - ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.

**14 ივნისი.** დაიბადნენ: **დავით კილასონია** (1951 წ) რაგბი; **ოთარ თუშიშვილი** (1978) თავისუფალი ჭიდაობა.

**15 ივნისი.** 1995 წ. ქ. ბათში დასრულდა ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიური დღეები. საქართველოდან მონაწილეობდა 15 სპორტსმენი.

**16 ივნისი.** 1991 წ. დაფუძნდა საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ წმ. გიორგის დღეს ხონში ჩვეულებრივად ყოფილა მრავალი ხალხის კრება დროს გასატარებლად, რომელშიაც უმთავრესი ადგილი ბურთაობას უჭირავს. თავადი, აზნაური და გლეხი ერთად იღებენ მონაწილეობას ბურთაობაში. ზოგი ცხენით და უმრავლესობა კი ფეხ-და-ფეხ. სამწუხაროდ ჩვეულებრივად, ეს წლევანდელი გიორგობაც ხმალ-სატევრის ტრიალით და რამდენიმე კაცის დაჭრით გათავებულა.

***„დროშა“ — 30 აპრილი, ოთხშ. №90 1880 წ.***

## 11-17 ივნისი ქართულ სპორტში

**11-13 ივნისი. მძლეოსნობა.** საქართველოს პირველობა. თბილისი. ახალგაზრდები.

**11-14 ივნისი. ჭადრაკი.** ევროპის ასაკობრივი (8 წ.) ჩემპიონატი.ბათუმი. ჭაბუკები.

**11-15 ივნისი. ტაეკვონდო.** მსოფლიო თასი. ბაქო. დიდები.

**11-16 ივნისი. წყალში ხტომა.** საერთაშორისო ტურნირი. ესპანეთი. დიდები.

**12-14 ივნისი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** საერთაშორისო ტურნირი. რუსთავი. ჭაბუკები.

**13-14 ივნისი. ნიჩბოსნობა** (ბაიდარა და კანოე). ა. გუგუშვილის ხსოვნის ტურნირი. ჭაბუკები. ახალგაზრდები.

**14-17 ივნისი. მხატვრული ტანვარჯიში.** ევროპის ჩემპიონატი. აზერბაიჯანი. დიდები.

**14-17 ივნისი. ძიუდო.** ევროპის პირველობა. სლოვენია. გოგონები. ჭაბუკები.

**15 ივნისიდან. ჭადრაკი.** მერიის თასის ღია საერთაშორისო ტურნირი. თბილისი დიდები..

**15-18 ივნისი.სუმო.** მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები. გერმანია. ახალგაზრდები.

**16 ივნისიდან. სოფტბოლი.** ევროპის თასის შესარჩევი ეტაპი. გერმანია. გოგონები.

**16-20 ივნისი. ველოსპორტი.** საერთაშორისო მრავალდღიანი რბოლა. თურქეთი. ახალგაზრდები.

60 წლის წინათ



1949 წელი. ლელობურთი თბილისში

## ოლიმპიურ თემაზე

**1. რომელი წლიდან მონაწილეობენ ქართველი სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - 1952 წლიდან
ბ - 1956 წლიდან
გ - 1960 წლიდან

**2. ვინ არის ყველაზე ტიტულოვანი ოლიმპიელი საქართველოში?**

ა - ლევან თედიაშვილი
ბ - რომან რურუა
გ - ვიქტორ სანეევი

**3. სულ რამდენი ოლიმპიური მედალი აქვთ მოპოვებული საქართველოს სპორტსმენებს?**

ა - 111
ბ - 114
გ - 118

**4. ვინ არის ყველაზე ტიტულოვანი ოლიმპიელი ქალი საქართველოდან?**

ა - მზია ჯუღელი
ბ - ნინო სალუქვაძე
გ - ქეთევან ლოსაბერიძე

**5. რომელ წელს გახდა საქართველო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი?**

ა - 1991 წელს
ბ - 1992 წელს
გ - 1993 წელს

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

**კალათბურთი.** NBA. პლეი ოფი. ფინალი. III მატჩი

# ორლანდომ პირველი მოიგო



„ორლანდო მეჯიქმა“ ისტორიულ შედეგს მიაღწია - ამ გუნდმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გაიმარჯვა ფინალური სერიის მატჩში, რისი წყალობითაც „ლეიკერსთან“ ჩამორჩენის შემცირება მოახერხა. ასე რომ, ორლანდოში ნებისმიერ შემთხვევაში გაიმართება დაგეგმილი ორი მატჩი (12 და 15 ივნისს), ხოლო თუ ჩემპიონის გამოსავლენად მეექვსე და მეშვიდე შეხვედრის ჩატარება გახდება საჭირო, ამ მატჩებს კალიფორნიელები უმასპინძლებენ.

პირველ მეოთხედში შეუჩერებელი იყო „ლეიკერსის“ ლიდერი **კობი ბრაიანტი** - 13 წუთში მის ანგარიშზე 17 (!) ქულა მოდიოდა. „ორლანდო“ მთელი პირველი ტაიმი მდევრის როლში იყო და დიდ შესვენებამდე სიტუაცია არ შეიცვლებოდა, **რაშარდ ლუისს** წინა მატჩის მსგავსად ზუსტად რომ არ ესროლა შორეული ტყორცნები. მეორე მეოთხედის ბოლო წუთზე მისი ორი სამქულიანის ხარჯზე „მეჯიქმა“ პირველი ტაიმი 59:54 მოიგო.

ბრაიანტმა მეორე ტაიმში ოდნავ მოიწყინა, თუმცა მის ნაკლებად შედეგიან თამაშს სხვა ახსნაც მოეძებნებოდა - „ორლანდო“ თითქმის მთელი გუნდით მეურვეობდა კობის და ამან თავისი შედეგი გამოიღო. მეორე ნახევარში „მეჯიქი“ თითქმის სულ წინ იყო და ყოველი წუთით უახლოვდებოდა გამარჯვებას. ბოლო მეოთხედში **დუაიტ ჰოვარდის** ნახევარკაუჭის შემდეგ, „მეჯიქის“ უპირატესობა სოლიდური გახდა - 91:82. განსაცვიფრებელი იყო მასპინძლების მიერ გამოყენებული ტყორცნების პროცენტული მაჩვენებელი - 64-დან 40 ზუსტი სროლა. მაგრამ „ლეიკერსი“ ასეთ სიტუაციაში არ ნებდება და ეს ამ მატჩში კიდევ ერთხელ დამტკიცდა: **არიზამ** და **ფიშერმა** სამქულიანები ჩააგდეს და სხვაობა ორ ქულამდე დავიდა - 95:93 მასპინძლების სასარგებლოდ. ამ მომენტში „ლეიკერსის“ რიგებში ყველაზე სასარგებლო მოთამაშე **პაუ გასოლი** იყო. წინა მატჩის ოვერტაიმის გმირმა, ახლაც დროულად აიღო თამაში საკუთარ თავზე. სწორედ ესპანელმა გაათანაბრა ანგარიში 2 წუთითა და 41 წამით ადრე - 99:99.

სტუმრებმა წინ გასვლა ვერ მოახერხეს, თუმცა სულ მალე, როცა „ლეიკერსი“ ორი ქულით ჩამორჩებოდა, იმავე გასოლმა ბურთი მოპარა **პიეტრუსს**, პასი ბრაიანტს მიაწოდა, მან კი ბურთი დაკარგა. სწორედ ამ მომენტმა გადაწყვიტა მატჩის ბედი.

იმისთვის, რომ მეტოქე არ გაქცეულიყო, ბრაიანტს პერსონალურის ალებამ მოუწია. პიეტრუსმა ორივე ჯარიმა ჩააგდო - 106:102 საფინალო სირენამდე 28 წამით ადრე. „ლეიკერსს“ სამქულიანი სჭირდებოდა, მაგრამ არიზამ, ბრაიანტმა და ფიშერმა ზედიზედ ააცილეს შორეული ტყორცნები. კობიმ მხოლოდ საშუალო მანძილიდან ჩააგდო - 106:104. რჩებოდა 0.2 წამი, როცა რაშარდ ლუისმა ორი ჯარიმის შესრულების უფლება მიიღო. „მეჯიქის“ ფორვარდს ნერვებმა არ უმტყუნეს და მან ფინალურ სერიაში პირველი გამარჯვება მოუტანა „ორლანდოს“.

**ორლანდო-ლეიკერსი 108:104**

27:31, 32:23, 22:21, 27:29

ო: ჰოვარდი (21+14 მოხსნა), ლუისი (21), ელსტონი (20), თურქოგლუ (18+7 პასი), კ. ლი (4) - პიეტრუსი (18+3 ჩაჭრა), ბეტი (4), ნელსონი (2), გორტატი (0).

ლ: ბრაიანტი (31+8 პასი), პ. გასოლი (23), არიზა (13+7 მოხსნა), ფიშერი (9), ბინუმი (4) - ოდომი (11), ფარმარი (11), უოლტონი (2), ვუიაჩიჩი (0), მბენგა (0).

სერია: 1:2

**კალათბურთი**

# არტესტი საბერძნეთში მიდის?

„ჰიუსტონ როკეტსის“ ლიდერმა **რონ არტესტმა**, რომელიც ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი გახდება, შესაძლოა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბებისგან სერიოზული წინადადებები ვერ მიიღოს. სამაგიეროდ, ამ კალათბურთელის გადაბირებით დაინტერესებულები არიან ბერძნული გრანდები - „ოლიმპიაკოსი“ და „პანათინაიკოსი“. ასე რომ, გამორიცხული არ არის არტესტმა **ჯოშ ჩილდრესის** გზა გაიაროს, რომელიც ორი წლის წინ „ატლანტა ჰოქსში“ თამაშობდა, შარშანდელი სეზონი კი „ოლიმპიაკოსში“ გაატარა.

„ჰიუსტონის“ ფორვარდი რეგულარულ ჩემპიონატში 17.1 ქულას, 5.2 მოხსნასა და 3.3 შედეგიან პასს აგროვებდა, პლეი ოფში კი მისმა მონაგარმა 15.6 ქულა, 4.3 პასი და 4.2 მოხსნა შეადგინა. ფორვარდმა შარშანდელ სეზონში 8.4 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

■ ■ ■

წლევანდელი ზაფხულის პირველი ტრეიდი „ტორონტო რეპტორზმა“ და „ფილადელფია სიქსერზმა“ განახორციელეს. კანადურმა კლუბმა **ჯეისონ კაპონო** დათმო, სანაცვლოდ კი **რეჯი ევანსი** მიიღო. ოფიციალურად გარიგების შესახებ რამდენიმე დღეში გამოცხადდება.

ამ გაცვლის შედეგად, „ტორონტომ“ ფინანსური მდგომარეობა გამოასწორა. ევანსმა უახლოეს სეზონში 4.6 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს, იმ დროს, როცა „ფილადელფიას“ კაპონოსთვის 6.2 მილიონი ექნება გადასახდელი.

■ ■ ■

„სან ანტონიო სპურსის“ არგენტინელი მცველი **მანუ ჯინობილი** დარწმუნებულია, რომ სამშობლოში დასვენება მის



სწრაფ გამოჯანმრთელებას შეუწყობს ხელს. როგორც ცნობილია, „სპურსის“ ერთ-ერთ ლიდერს ფეხის ტრავმა აწუხებს, რის გამოც რეგულარული ჩემპიონატის დიდი ნაწილისა და პლეი ოფის მატჩების გამოტოვებამ მოუწია. მანუ ამბობს, რომ ოქტომბრისთვის, როცა NBA-ში საწვრთნელი ბანაკები გაიხსნება, ის სრულად ჯანმრთელი იქნება.

*„ბოლო ერთი თვის განმავლობაში ტკივილს საერთოდ აღარ ვგრძნობ. ამიტომაც ეჭვი არ მეპარება, რომ საწვრთნელი ბანაკის გახსნისთვის 100 პროცენტით მზად ვიქნები“,* - ამბობს ჯინობილი.



**კრივი**

# ჰეის ვიტალისთან ჩხუბი მოუნდა

ბრიტანელმა სუპერმძიმეწონოსანმა **დევიდ ჰეიმ**, რომელმაც ხელის ტრავმის გამო უარი თქვა 20 ივნისს უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსთან** ჩხუბზე, იმედი გამოთქვა, რომ ამა წლის შემოდგომაზე მიეცემა კლიჩკოების ოჯახის კიდევ ერთ წარმომადგენელთან, WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ **ვიტალი კლიჩკოსთან** შეხვედრის საშუალება. ეს ინფორმაცია ჰეის მენეჯერმა **ადამ ბუტმა** გაავრცელა.

რაც შეეხება თავად ვიტალი კლიჩკოს, ის მორიგ სავარაუდო მოწინააღმდეგეებზე საუბრისგან თავს იკავებს. უკრაინელ მოკრივეს ჯერ WBC-სთან აქვს მოსაგვარებელი იურიდიული უთანხმოება. კრივის მსოფლიო საბჭო დაჟინებით მოითხოვს, რომ ვიტალიმ ტიტული დაიცვას WBC-ის აუცილებელ კანდიდატთან, რუს **ოლეგ მასკაევთან** ბრძოლაში. არადა, უკრაინელმა ამა წლის მარტში საჩემპიონო ქამარი შეინარჩუნა კიდევ ერთ აუცილებელ პრეტენდენტთან, კუბელ **ხუან კარლოს გომესთან** ჩხუბში და აღარ აპირებს მეორე სავალდებულო ბრძოლის გამართვას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

**ჰოკეი.** NHL. სტენლის თასი. ფინალი. VI მატჩი




# მეშვიდე მატჩი გადაწყვეტს

სტენლის თასის წლევანდელი მფლობელი ფინალური სერიის მეშვიდე მატჩში გაირკვევა, რომელიც „დეტროიტის“ მოედანზე გაიმართება. იმის გათვალისწინებით, რომ გუნდებმა წინა ექვს შეხვედრაში სამ-სამი საშინაო მატჩი მოიგეს, ამ სერიაში საკუთარი მოედნის უპირატესობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და შესაბამისად, ბოლო თამაშში ფავორიტად „რედ უინგზი“ მიიჩნევა.

„პიტსბურგისა“ და „დეტროიტის“ შარშანდელ დაპირისპირებაში ყველაფერი სწორედ „მელონ არენაზე“ გადაწყდა, როცა „წითელმა ფრთებმა“ სერიაში 4:2 გაიმარჯვეს. ამჯერად ისტორია არ განმეორდა - „პინგვინებმა“ შესანიშნავი გუნდური მოქმედებითა და მატჩის პირველი ვარსკვლავის - მეკარე **მარკ-ანდრე ფლერის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით მიაღწიეს წარმატებას.

ისევე როგორც წინა შეხვედრაში, „პიტსბურგმა“ აგრესიულად დაიწყო, მაგრამ სტუმრები კვლავ უფრო მეტ საგოლე მომენტს ქმნიდნენ. მეხუთე მატჩში ეს ყველაფერი „პინგვინების“ განადგურებით დასრულდა, ამჯერად კი მასპინძლებს ფლერიმ უშველა. მაგალითად, პირველ პერიოდში „პიტსბურგის“ მეკარემ ორჯერ მოუგო დუელი პირისპირ გასულ **ჰენრიკ ზეტერბერგს**.

„პინგვინზი“ კი იბრძოდა: **კროსბი** თავისუფალი სივრცის მოპოვებას ცდილობდა, **მალკინი** პასებს არიგებდა, აქტიურობდნენ **გერინი** და **ჯორდან სტაალი**. სწორედ ამ უკანასკნელმა გახსნა ანგარიში მეორე პერიოდის პირველ წუთზე. ამ გოლს თამაშის ხასიათი არ შეუცვლია. სტუმრები ინიციატივის შენარჩუნებას ახერხებდნენ და რომ არა, „პიტსბურგის“ მცველების თავდადება, „დეტროიტი“ მეორე პერიოდშივე გაათანაბრებდა ანგარიშს. ერთხელ „პინგვინზი“ ძელმა გადაარჩინა, როცა კარში კვლავ ზეტერბერგი ურტყამდა.

„დეტროიტმა“ თავისი შანსი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, მესამე პერიოდის მეხუთე წუთზე „პიტსბურგმა“ კომფორტული უპირატესობა მოიპოვა. **ტაილერ კენედიმ** ერთ საგოლე პასს გოლიც დაუმატა და ანგარიში 2:0 გახადა.

„რედ უინგზმა“ ერთი გოლი გაქვითა, რაც მატჩის დაძაბული ფინალის გარანტია იყო. ფლერის გარდა, ბოლო წუთების გმირი „პიტსბურგის“ მცველი **რობ სკუდერი** გახდა, რომელიც ჯერ **დაციუკის** დარტყმას გადაეფარა, შემდეგ კი ზეტერბერგის ნასროლი შაიბა ცარიელი კარიდან გამოიტანა, ბოლოს ფლერიმაც გამოიჩინა თავი, როცა **კლირის** ერთი ერთზე დუელი მოუგო.

ბოლო წუთზე „დეტროიტმა“ მეკარე **ოსგუდი** მეექვსე მოთამაშით შეცვალა. ერთ მომენტში **ფრანცენმა** შეტევა დაასრულა და ფლერი კარში შეაგდო, შაიბაც ბადეში უნდა შესულიყო, როცა სკუდერიმ დროულად მიუსწრო და სიტუაცია განმუხტა.

სერიის ბოლო მატჩი თბილისის დროით შაბათს დილით გაიმართება. როგორც ვთქვით, ფავორიტი „დეტროიტია“, თუმცა სპეციალისტები „პიტსბურგის“ ლიდერების - **სიდნი კროსბისა** და **ევგენი მალკინის** გამოღვიძებას ელიან. NHL-ის ვარსკვლავებს ორი მატჩია ქულა არ მოუტანიათ საკუთარი გუნდისთვის და შესაძლოა, სწორედ გადამწყვეტ შეხვედრაში „გაისროლონ“.

**პიტსბურგი-დეტროიტი 2:1**

0:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ჯ. სტაალი-4 (ტ. კენედი-4, სკუდერი-3), 2:0 ტ. კენედი-5 (ტელბოტი-5, ფედოტენკო-7), 2:1 დრეიპერი-1 (ჯ. ერიქსონი-4, ლიდსტრიომი-11).

სერია: 3:3



# ეშმაკები მწვრთნელს ეძებენ

„ნიუ ჯერსი დევილზის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა **ბრენტს სატერმა**. ეს სპეციალისტი „ეშმაკებს“ ორი სეზონის განმავლობაში ავარჯიშებდა. ორივე შემთხვევაში „ნიუ ჯერსი“ პლეი ოფში მოხვდა, მაგრამ პირველივე რაუნდიდან ეთიშებოდა სტენლის თასისთვის ბრძოლას. წელს, „დევილზმა“ მერვედფინალში „კაროლინასთან“ შვიდ მატჩში წააგო სერია.

სულ სატერის ხელმძღვანელობით „ნიუ ჯერსიმ“ 164 მატჩი ჩაატარა და 97 გამარჯვებას მიაღწია. მწვრთნელის თქმით, გუნდიდან წასვლის მიზეზი ოჯახურ საკითხებსა და კანადის ქალაქ რედ-დირში მის ბიზნესსაქმიანობას უკავშირდება. კონტრაქტის მიხედვით, სატერს კიდევ ერთი წელი უნდა ემუშავა „დევილზში“.

# უცხოური სპორტი

## ფეხბურთი. სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი ტურნირი

### ევროპა

#### I ჯგუფი

**შვედეთი-მალტა 4:0**

**შვედეთი:** ისაქსონი, მელბერგი, მაისტოროვიჩი, საფარი, ა. იოჰანსონი, ა. სვენსონი, კალსტრიომი, ვ. ელმი (80. ჰოლმენი), რ. ელმი (77. ს. ლარსონი), იბრაჰიმოვიჩი, ბერგი (77. ჰისენი).

**მალტა:** ჰოგი, დიმეში (80. შიკლუნა), აგიუსი (80. მ. მუსკატი), კარუანა, ბახადა, ა. მუსკატი, ბრიფა, პეისი, ჰატჩინსონი, შემბრი (77. ფენეჩი), ბოგდანოვიჩი.

**გოლები:** 1:0 კალსტრიომი (22), 2:0 მაისტოროვიჩი (52), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (56), 4:0 ბერგი (58)

**მაყურებელი:** 25 271

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 6 | 5 | 1 | 0 | 13-2 | 16 |
| 2. უნგრეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-2 | 13 |
| 3. პორტუგალია | 6 | 2 | 3 | 1 | 8-4 | 9 |
| 4. შვედეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 6-2 | 9 |
| 5. ალბანეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 4-8 | 6 |
| 6. მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 0-21 | 1 |

#### IV ჯგუფი

**ფინეთი-რუსეთი 0:3**

**ფინეთი:** იაასკელაინენი, პასანენი, ტიჰინენი, ჰიიპია, კალიო (53. მოისანდერი), ლიტმანენი (68. ტაინიო), ჰეიკინენი, რ. ერიომენკო, იოჰანსონი, ფორსელი, ა. ერიომენკო (61. კოლკა).

**რუსეთი:** აკინფეევი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, ჟირკოვი, კოლოდინი, ზირიანოვი, სემშოვი, არშავინი, ბისტროვი (77. სემაკი), დენისოვი, კერჟაკოვი (67. პავლიუჩენკო).

**გოლები:** 0:1 კერჟაკოვი (27), 0:2 კერჟაკოვი (53), 0:3 ზირიანოვი (71)

**მაყურებელი:** 37 028

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 18-4 | 16 |
| 2. რუსეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 12-3 | 15 |
| 3. ფინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-10 | 10 |
| 4. უელსი | 7 | 3 | 0 | 4 | 5-7 | 9 |
| 5. აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 0-5 | 1 |
| 6. ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 1 | 5 | 1-15 | 1 |

#### VI ჯგუფი

**უკრაინა-ყაზახეთი 2:1**

**უკრაინა:** ბოგუში, შევჩუკი, რუსოლი, ჩიგრინსკი, მანძიუკი, ტიმოშჩუკი, როტანი (80. კალინიჩენკო), ნაზარენკო, გაი, ვორონინი (68. სელეზნიოვი), მილევსკი.

**ყაზახეთი:** მოკინი, კისლიცინი, ლოგვინენკო, კიროვი (70. ირისმეტოვი), აბდულინი, კარპოვიჩი, სკორიხი, კუკიევი, ერბესი (74. ავერჩენკო), ნურსბაიევი (63. ტრავინი), ხიჟნიჩენკო.

**გოლები:** 0:1 ნუსრბაიევი (19), 1:1 ნაზარენკო (33), 2:1 ნაზარენკო (47)

**მაყურებელი:** 35 000

**ინგლისი-ანდორა 6:0**

**ინგლისი:** გრინი, ლესკოტი, ე. კოული (63. ბრიჯი), ტერი, ჯონსონი, ჯერარდი (46. იანგი), ბექჰემი, ლემპარდი, უოლკოტი, კრაუჩი, რუნი (46. დეფო).

**ანდორა:** ალვარესი (90. გომესი), ა. ლიმა (46. ვალესი), სონეხე, ჩემა გარსია, ი. ლიმა, ხიმენესი, აიალა, ანდორა, ფერნანდო სილვა (79. ფერნანდესი), მორენო, ვიეირა.

**გოლები:** 1:0 რუნი (4), 2:0 ლემპარდი (29), 3:0 რუნი (39), 4:0 დეფო (73), 5:0 დეფო (76), 6:0 კრაუჩი (80)

**მაყურებელი:** 57 897

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 7 | 7 | 0 | 0 | 26-4 | 21 |
| 2. ხორვატია | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| 3. უკრაინა | 6 | 3 | 2 | 1 | 9-6 | 11 |
| 4. ბელარუსი | 5 | 3 | 0 | 2 | 14-7 | 9 |
| 5. ყაზახეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 7-22 | 3 |
| 6. ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 2-25 | 0 |

#### VII ჯგუფი

**ფარერები-სერბეთი 0:2**

**ფარერები:** მიკელსენი, ბენიამინსენი, ოლსენი (78. პეტერსენი), დანიელსენი, ბო, ნაესი, გრეგერსენი, დავიდსენი, ლოკინი, ჰოლსტი (87. ფლოტუმი), სამუელსენი (69. იაკობსენი).

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, ლუკოვიჩი, ივანოვიჩი, სუბოტიჩი, კოლაროვი, კრასიჩი (83. კაჩარი), კუზმანოვიჩი, მილიაში, იოვანოვიჩი, ჟიგიჩი (78. სულეიმანი), პანტელიჩი (65. ლაზოვიჩი).

**გოლები:** 0:1 იოვანოვიჩი (43), 0:2 სუბოტიჩი (62)

**მაყურებელი:** 4 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 15-5 | 18 |
| 2. საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-6 | 10 |
| 3. ლიტვა | 7 | 3 | 0 | 4 | 6-6 | 9 |
| 4. ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 5. რუმინეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 6. ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 1-7 | 1 |

#### IX ჯგუფი

**მაკედონია-ისლანდია 2:0**

**მაკედონია:** ნიკოლოსკი, მიტრესკი, სედლოსკი, პოპოვი, ლაზარევსკი, სუმულიკოსკი (78. გროჟდანოვსკი), გეორგიევსკი, დესპოტოვსკი, ნაუმოსკი, სტოიკოვი (66. ივანოვსკი), პანდევი.

**ისლანდია:** გუნლეიფსონი, სტეინსონი, ეირიქსონი, კ-ო. სიგურდსონი, ს. იონსონი, გუნარსონი, გისლასონი, პალმასონი (74. გუდმუნდსონი), ჰალფრედსონი, ე. იონსონი (62. საევარსონი), სმარასონი.

**გოლები:** 1:0 სტოიკოვი (10), 2:0 ივანოვსკი (86)

**მაყურებელი:** 8 000

**ჰოლანდია-ნორვეგია 2:0**

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ვან ბრონკჰორსტი (46. ბრააჰეიდი), ჰეიტინგა, მატიისენი, ოოიერი, ვან დერ ვაარტი, რობენი (77. ბაბელი), ვან ბომელი, შხაარსი, კუიტი, ვან პერსი (83. ჰუნტელაარი).

**ნორვეგია:** კნუდსენი, ჰოილანდი, ვაელერი, ი-ა. რიისე, პედერსენი, ფევანგი, ჰაუგერი, ბ-ჰ. რიისე (41. ბრაატენი), გრინდჰეიმი (67. სკიელბრედი), ვინსნესი (79. ტეტეი), კარიუ.

**გოლები:** 1:0 ოოიერი (33), 2:0 რობენი (51)

**მაყურებელი:** 45 500

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 7 | 7 | 0 | 0 | 16-2 | 21 |
| 2. მაკედონია | 6 | 2 | 1 | 3 | 4-7 | 7 |
| 3. შოტლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 4. ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 6-12 | 4 |
| 5. ნორვეგია | 5 | 0 | 3 | 2 | 2-5 | 3 |

### აზია

#### I ჯგუფი

| | |
|---|---|
| ავსტრალია-ბაჰრეინი | 2:0 |
| იაპონია-კატარი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრალია | 7 | 5 | 2 | 0 | 10-0 | 17 |
| 2. იაპონია | 7 | 4 | 3 | 0 | 10-4 | 15 |
| 3. ბაჰრეინი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-8 | 7 |
| 4. კატარი | 8 | 1 | 3 | 4 | 5-14 | 6 |
| 5. უზბეკეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 5-9 | 4 |

#### II ჯგუფი

| | |
|---|---|
| ს. კორეა-ს. არაბეთი | 0:0 |
| ირანი-საემიროები | 1:0 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ს. კორეა | 7 | 4 | 3 | 0 | 11-3 | 15 |
| 2. ჩრ. კორეა | 7 | 3 | 2 | 2 | 7-5 | 11 |
| 3. ირანი | 7 | 2 | 4 | 1 | 7-6 | 10 |
| 4. ს. არაბეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 8-8 | 10 |
| 5. საემიროები | 8 | 0 | 1 | 7 | 6-17 | 1 |

### ამხანაგური მატჩები

**ბელარუსი-მოლდოვა 2:2**

**გოლები:** 1:0 როდიონოვი (5), 2:0 ბლიზნიუკი (27), 2:1 კალინკოვი (77), 2:2 ანდრონიჩი (84)

**ესტონეთი-პორტუგალია 0:0**

**პორტუგალია:** ბეტო, მიგელი, როლანდო, რიკარდო კარვალიო (59. პეპე), გონსალო ბრანდაო (67. დუდა), ტიაგო, ზე კასტრო (89. ბრუნო ალვეში), ბოა მორტე (84. უგო ალმეიდა), ელისეუ (67. რაულ მეირელეში), ედინიო, ნანი.

**იტალია-ახ. ზელანდია 4:3**

**იტალია:** ამელია, სანტონი (66. ძამბროტა), ლეგროტალიე, გამბერინი, დოსენა, გატუზო (60. მონტოლივო), პალომბო, პეპე (60. კამორანეზი), როსი (46. პირლო), კუალიარელა (60. იაკუინტა), ჯილარდინო (60. ტონი).

**გოლები:** 0:1 სმელტცი (13), 1:1 ჯილარდინო (33), 1:2 კილენი (42), 2:2 ჯილარდინო (48), 2:3 კილენი (57-პენ), 3:3 იაკუინტა (68), 4:3 იაკუინტა (72)

**მაყურებელი:** 2 000

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### სამხრეთ აფრიკა 2010

| | |
|---|---|
| ეკვადორი-არგენტინა | 2:0 |

#### ევრო 2011

#### UNDER 21

| | |
|---|---|
| ლუქსემბურგი-უნგრეთი | 0:1 |
| ბულგარეთი-ისრაელი | 3:4 |
| ნორვეგია-სლოვაკეთი | 2:2 |

#### დანია

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| აკადემისკი-ჰერფიოლგე | 0:4 |
| ფრემი-ნიკიობინგი | 4:0 |

#### ნორვეგიის თასი

| | |
|---|---|
| ბორუმი-სტრიომსგოდსეტი | 3:1 |
| კონგსვინგერი-სკარბოვიკი | 4:0 |
| ნოტოდენი-ასკერი | 1:3 |

#### შვეიცარია

#### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ლუგანო-ლუცერნი | 1:0 |

#### რუმინეთი

| | |
|---|---|
| ოტოპენი-ფარული | 6:0 |
| არჯესი-დინამო | 5:2 |
| ბრაშოვი-პ. ტიმიშოარა | 1:0 |
| გაზ მეთანი-კლუჟი | 2:0 |
| გლორია (ბუზ)-გლორია (ბის) | 2:1 |
| პანდური-ოცელული | 1:0 |
| რაპიდი-პოლიტეხნიკა | 2:2 |
| უნირეა-სტიაუა | 1:1 |
| უნივერსიტატეა-ვასლუი | 0:1 |

### კალათბურთი

#### იტალია

#### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| სიენა-მილანი | 80:57 |

#### საფრანგეთი

#### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ნანსი-ვილერბანი | 53:69 |

### ხელბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი

#### შესარჩევი

| | |
|---|---|
| ბულგარეთი-გერმანია | 22:34 |
| უკრაინა-ლიტვა | 24:23 |
| უნგრეთი-სლოვაკეთი | 29:30 |
| სერბეთი-შვეიცარია | 35:27 |
| ჩეხეთი-პორტუგალია | 30:26 |
| კვიპროსი-ესპანეთი | 19:36 |
| ნორვეგია-მაკედონია | 36:30 |
| საფრანგეთი-ლუქსემბურგი | 35:18 |
| სლოვენია-ბელარუსი | 38:26 |
| ჩერნოგორია-თურქეთი | 33:26 |
| ბელგია-ისლანდია | 25:33 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ჰალე

| | |
|---|---|
| ლევი-ლაკო | 6:7, 2:6 |
| ბერდიხი-ზვერევი | 6:3, 2:6, 6:7 |
| შუტლერი-ბეკერი | 4:6, 6:2, 4:6 |
| კოლშრაიბერი-ტურსუნოვი | 6:4, 7:6 |
| ცონგა-ჰაასი | 3:6, 6:7 |

#### ATP. ლონდონი

| | |
|---|---|
| გარსია ლოპესი-მიულერი | 7:6, 6:3 |
| დარცისი-მარტინი | 6:2, 6:4 |
| ჩილიჩი-მაუ | 6:7, 6:7 |
| იუჟნი-ბალდატისი | 6:4, 7:6 |
| კარლოვიჩი-ბენეტო | 7:6, 6:7, 6:2 |
| მიურეი-სეპი | 6:1, 6:4 |
| ჰიუიტი-ჟილი | 3:6, 6:2, 6:2 |
| მატიო-ფერერო | 4:6, 4:6 |
| სიმონი-დიმიტროვი | 7:6, 7:6 |
| საფინი-მალისე | გადაიდო |

#### WTA. ბირმინგემი

| | |
|---|---|
| ვოზნიაკი-გოვორცოვა | 6:4, 6:4 |
| კეოტავონგი-მირზა | 1:6, 6:7 |
| მაკაროვა-ვოგელი | 3:6, 6:3, 2:6 |
| ტანასუგარნი-კავადაი | 6:7, 6:2, 4:6 |
| გორგესი-ერანი | შეწყდა |
| უ. რადვანსკა-ჩეტოვსკა | შეწყდა |
| შარაპოვა-გლეტჩი | შეწყდა |
| კანეპი-ვიკმაიერი | გადაიდო |

## ჩოგბურთი

# რაფა უიმბლდონზე იქნება

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** გამოაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს უიმბლდონზე შარშან მოპოვებული ტიტული, დასაცავად. რაფა გულშემატკივრებს ჰპირდება, რომ ლონდონში 100 პროცენტით მომზადებული ჩავა და „დიდი სლემის" სერიის რიგით მესამე ტურნირში ითამაშებს. ასე რომ, ესპანელმა ჩოგბურთელმა უარყო ყველა ჭორი იმის თაობაზე, თითქოს ის მუხლის ტრავმის გამო აპირებდა უიმბლდონის გამოტოვებას.

რაფაელმა ეს ინფორმაცია სამედიცინო შემოწმების შემდეგ გაავრცელა. *„200 პროცენტით დავიხარჯები იმისთვის, რათა უიმბლდონს სრულ მზადყოფნაში შევხვდე. ამ ტურნირზე სტარტის აღება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იქნება ჩემს კარიერაში"*, - ამბობს მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ესპანელმა ისიც დაამატა, რომ ინგლისის დედაქალაქში 16 ივნისს გაემგზავრება, მანამდე კი სამშობლოში გაივლის წვრთნას.

შეგახსენებთ, რომ მუხლის ტრავმასთან დაკავშირებით, ნადალმა უარი თქვა ლონდონში ამ კვირას მიმდინარე ტურნირში გამოსვლაზე, სადაც შარშან მთავარი პრიზი მოიპოვა.

ამასობაში, როლან გაროსის ახალმა ჩემპიონმა **როჯერ ფედერერმა** იმედი გამოთქვა, რომ ნადალი უიმბლდონზე მისი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი იქნება: *„რაფას მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ და იმედი მაქვს, რომ არ*



*მოუწევს უიმბლდონის გამოტოვება. მას პარიზში პრობლემები არ ეტყობოდა და სავარაუდოდ, შეძლებს ლონდონში გამოსვლას".*

სხვათა შორის, ამ კვირას არც ფედერერმა მოისურვა გერმანიის ქალაქ ჰალეს ტურნირში თამაში. *„მინდა ბოდიში მოვუხადო ტურნირის ორგანიზატორებს და გერმანიაში ჩემს თაყვანისმცემლებს,* - განაცხადა ფედერერმა. - *იმედი მაქვს, მათ ესმით ჩემი მდგომარეობა: ბოლო დღეები ემოციურად ძალიან გადატვირთული იყო და ახალ ტურნირზე სათამაშოდ მზად არ ვიყავი. ახლა დასვენება და ძალების მშვიდად აღდგენა მჭირდება".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## TV პროგრამა

### 11 ივნისი. ხუთშაბათი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**06:45** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ანდორა.
**08:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-პარაგვაი.
**10:15** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-რუსეთი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ანდორა.
**14:10** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-პარაგვაი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-რუსეთი.
**18:10** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ანდორა.
**20:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** სასტვენი.
**21:00** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**22:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-პარაგვაი.
**23:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:10** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-რუსეთი.
**02:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**03:35** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-მარსელი.
**05:25** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნ

#### EUROSPORT

**10:40** ცხენოსნობა. ერთა თასი. სენტ გალენი. შვეიცარია.
**11:35** ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
**12:30** ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
**13:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ნორვეგია.
**14:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-მალტა.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. IV დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**18:00** ველოსპორტი. Criterium du Dauphine Libere. V ეტაპი (LIVE).
**19:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. IV დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**22:35** ავტოსპორტი. ლე მანის სერია. მიმოხილვა.
**22:45** ბრძოლა წესების გარეშე.
**00:00** ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი. კვალიფიკაცია. საფრანგეთი (LIVE).
**02:00** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საბერძნეთი.
**02:30** რესტილინგი.

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. თავისუფალი პრაქტიკა. საფრანგეთი.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
**14:30** ახალი ამბები.
**15:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ნორვეგია.
**16:30** კრიკეტი. World Twenty 20. სუპერ 8. ბრიტანეთი (LIVE).
**19:30** ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.
**20:35** ახალი ამბები.
**21:00** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. კვალიფიკაცია. საფრანგეთი (LIVE).
**23:00** ახალი ამბები.
**23:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ნორვეგია.
**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-მალტა.
**00:45** ახალი ამბები.

ვარსკვლავები მოედნებს მიღმა

# წვრილი პოში

ინგლისის ნაკრებისა და "მილანის" ნახევარმცველის **დევიდ ბექჰემის** მეუღლემ **ვიქტორია ბექჰემმა** ინგლისური საზოგადოება გააკვირვა. საქმე ის არის, რომ პოში ჯინსის მოკლე შარვალში გამოწყობილი ჩავიდა ლონდონში, არადა, ბრიტანელები ვიქტორიასგან დახვეწილ ჩაცმულობას არიან მიჩვეულნი.

აქამდე ცნობილი იყო, რომ Spiece Girls-ის ყოფილ მომღერალს ძალიან წვრილი ფეხები აქვს და მისგან ამის ხასგაზმას არ მოელოდნენ. პრესაში იმასაც კი წერდნენ, რომ ბექჰემის მეუღლეს ანორექსია სჭირს.

მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლა. თუ რამდენად ნორმალურია ასეთი სიგამხდრე, ეს ყველამ თავად უნდა გადაწყვიტოს.

უფრო საინტერესო მეორე ფოტოა, სადაც ვიქტორია მაკიაჟის გარეშეა წარმოდგენილი.







# ბალაკები მაიამიში

ინგლისის თასის მოგებით დასრულებული სეზონის შემდეგ, "ჩელსის" გერმანელი ნახევარმცველი **მიხაელ ბალაკი** მეუღლესთან და სამი შვილის დედასთან - **სიმონასთან** ერთად მაიამიში ისვენებს.

როგორც The Sun-ის პაპარაცები ირწმუნებიან, სიმონი თავის წითელ ბიკინიში შესანიშნავად გამოიყურებოდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაიკმა მესამედ იქორწინა

ლეგენდარულმა ამერიკელმა მოკრივემ, 42 წლის **მაიკ ტაისონმა** მესამე ცოლი მოიყვანა. ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა 32 წლის **ლაკიჰა სპაისერთან** (Lakiha Spicer) ლას ვეგასში იქორწინა.

სამლოცველო La Bella Wedding-ის მფლობელის სიტყვებით, ტაისონმა და მისმა პატარძალმა შეუღლების უფლება ქორწილამდე 30 წუთით ადრე მიიღეს.

ტაისონი ოთხი წლის ქალიშვილის - **იკსოდუსის** ტრაგიკული დაღუპვიდან ორი კვირის თავზე დაოჯახდა. გარდაცვლილი გოგონას დედა "რკინის მაიკის" ერთ-ერთი საყვარელი იყო, რომელიც მოკრივესთან ქორწინებაში არ ყოფილა.



# 70 SMS დღეში

ბოლო დროს, მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი **ვესლი სნეიდერი** იშვიათად ხედავს თავის ახალ მეგობარ გოგონას, ჰოლანდიელ მოდელ **იოლანტა კაბო ვან კასბერგენს**, რომელიც მამაკაცთა ჟურნალ FHM-ის ვერსიით, ჰოლანდიის ყველაზე სექსუალურ ქალად არის მიჩნეული.

იშვიათი შეხვედრების გამო, ვან კასბერგენმა მოკლე ტექსტური შეტყობინებებით აიკლო ფეხბურთელი. გაზეთ De Telegraaf-ის მტკიცებით, "რეალის" ნახევარმცველი თვეში დაახლოებით 2 ათას SMS-ს იღებს, რაც საშუალოდ დღეში სამოცდაათ და საათში ოთხ შეტყობინებას უდრის.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ იოლანტას ოფიციალურად ჯერ არ გამოუცხადებია პოპულარულ ჰოლანდიელ მომღერალ **იან შმიტთან** ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge